ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
18 ნოემბერი **ორშაბათი** 2013
№272 (14 188) ფასი 80 თეთრი



## მსოფლიოს ჩემპიონები
ბატუტზე ხტომა
↳11

# USA მართლოდ წავაგეთ?
## არადა, მოგებული გვეგონა


↳13

ბორჯღალოსნები რუსთავში
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

## თოკოს პირველი
ქულებსაც ველით


↳12



## სიტყვის კაცი
↳3
კოკაია გადადგა



დიდიე დროგბამ (მარცხნივ) და სამუელ ეტოომ ბრაზილიაში თამაში გაინაღდეს

## ისინი ითამაშებენ მუნდიალზე...
№22 ნიგერია
№23 კოტ დივუარი
№24 კამერუნი

## დარჩა 8 საგზური
რომელთა მფლობელებსაც ხვალ შევიტყობთ
↳9

## აუცილებლად მოსაგები
ინტერვიუ ალექსანდრე ჩივაძესთან
↳2
U21. დღეს, გორში 14:00
**საქართველო-სლოვაკეთი**



● U21. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. III ჯგუფი

# აუცილებლად მოსაგები

## ალექსანდრე ჩივაძე: გულშემატკივარი ფეხბურთელებმა უნდა აიყოლიონ

დღეს გორში ძალზე მნიშვნელოვანი მატჩია. საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებს მხოლოდ გამარჯვება აძლევს ხელს, რათა III შესარჩევი ჯგუფიდან პლე ოფში გავიდეს. ინგლისელებს აქვთ ასეთი გამოთქმა - Must Win Game, ანუ თამაში, რომელიც უნდა მოიგო - დღეს ასე დგას საკითხი ჩვენი ახალგაზრდული ნაკრებისთვის.

14 ნოემბერს ალექსანდრე ჩივაძის განვრთნილმა გუნდმა სტუმრად შოტლანდიასთან ფრე ითამაშა, არადა 85-ე წუთამდე იგებდა. მიუხედავად ამისა, ჩივაძის გუნდი პლე ოფში მოხვედრის შანსს ინარჩუნებს და დღეს იმის იმედიც აქვს, რომ გორში სტადიონზე ბევრი ხალხი მივა. საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს თბილისს გარეთ თამაში კარგად აქვს დაცდილი - ამ რამდენიმე წლის წინათ ზესტაფონში თურქეთი 4:0 დაამარცხა და იქნებ, დღესაც გაგვახაროს.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები მართლაც საინტერესო გუნდია, რამდენიმე გამორჩეული, ნიჭიერი ფეხბურთელი ჰყავს, რომელთაც მატჩის ბედის გადაწყვეტა შეუძლიათ. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე შესარჩევ ეტაპზე ეს გუნდები უკვე შეხვდნენ ერთმანეთს - სლოვაკეთში 0:1 წავაგეთ.

გუშინ ჩივაძეს დავუკავშირდით და რამდენიმე კითხვა დავუსვით...

**- რა მდგომარეობაა გუნდში, ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელადაა?**

- „ზესტაფონის" მცველმა თედორე გრიგალაშვილმა ამ გუნდის დუბლებში თამაშის დროს ტრავმა მიიღო. შოტლანდიაში ყოფნისას ეს ტრავმა ვარჯიშზე გაუმიზეზდა, გუშინაც შეახსენა თავი და სლოვაკეთთან მისი თამაში გამოირიცხა.

**- მის ნაცვლად სხვა მცველი გამოიძახეთ ნაკრებში?**

- კი, „ზესტაფონის" კიდევ ერთი მცველი თორნიკე გრიგალაშვილი.

**- საინტერესოა, რა განლაგებით ითამაშა საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა შოტლანდიაში 14 ნოემბერს...**

- მარჯვენა მცველი - ნიკა კვეკვესკირი, დაცვის ცენტრში - მამუკა კობახიძე და სოლომონ კვერკველია, მარცხნივ - დავით უბილავა; ნახევარდაცვის ცენტრში - გიორგი პაპავა და ლაშა პარუნაშვილი; თავდასხმის ცენტრში - გიორგი ქანტურია, მარჯვენა ფლანგზე ჯაბა ჯიღაური, მარცხნივ - ჯანო ანანიძე, შუაში - ვაკო ყაზაიშვილი.

**- სლოვაკეთთან მატჩისთვის განლაგებასა და შემადგენლობაში მნიშვნელოვან ცვლილებებს გეგმავთ?**

- ყველა ფეხბურთელი მაქსიმალურად მზად უნდა იყოს საბრძოლველად - ამას ვგეგმავთ.

**- სლოვაკეთს სტუმრად უკვე ეთამაშეთ, საგოლე მომენტები ვერ გამოიყენეთ და მერე აქეთ გაუშვით გოლი. როგორ დაახასიათებდით მოწინააღმდეგე გუნდს?**

- თქმა აღარც კი სჭირდება იმას, რომ ძალიან რთული თამაში გველის. სლოვაკეთის ახალგაზრდული ნაკრები ძალისმიერი, კარგად ჩამოყალიბებული გუნდია, ახლახან ჰოლანდიას 2:2 ეთამაშა და ცხრილში მასთან პირველ-მეორე ადგილებს იყოფს - ეს ყველაფერი სწორედ იმაზე მიუთითებს, თუ რაოდენ სერიოზული მეტოქე გვყავს.

**- ალბათ, იმის იმედიც გაქვთ, რომ გორში ამ შეხვედრას ბევრი გულშემატკივარი დაესწრება და, შესაბამისად, მხარდაჭერაც დიდი იქნება...**

- დარწმუნებული ვარ, გორელი გულშემატკივრები მხარს აქტიურად დაგვიჭერენ, თუმცა ისიცაა, რომ ქომაგი კარგი თამაშით ფეხბურთელებმა უნდა აიყოლიონ.

**დავით თავართქილაძე**

**დღეს**

გორი. თენგიზ ბურჯანაძე
საქართველო-სლოვაკეთი 14:00

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 4 | 3 | 1 | 0 | 13-2 | 10 |
| 2. სლოვაკეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 14-5 | 10 |
| 3. საქართველო | 5 | 2 | 1 | 2 | 6-9 | 7 |
| 4. შოტლანდია | 5 | 2 | 1 | 2 | 7-8 | 7 |
| 5. ლუქსემბურგი | 5 | 0 | 0 | 5 | 1-17 | 0 |

**მომდევნო მატჩი**

**5 მარტი, 2014**

საქართველო-ლუქსემბურგი



ალექსანდრე ჩივაძე

# გიორგი პაპავა: იმედით გვაქვს და ქომაგსაც ველით

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები დღეს გორში სლოვაკეთს შეხვდება და ევროპის ჩემპიონატზე თამაშის შანსი რომ შეინარჩუნოს, საამისოდ გამარჯვება სჭირდება. 21-წლამდელთა ნაკრებისა და თბილისის „დინამოს" საყრდენი ნახევარმცველი **გიორგი პაპავა** გულდაწყვეტილია, რომ შოტლანდიიდან გუნდი მხოლოდ ქულის (1:1) ამარა დაბრუნდა.

*„შოტლანდია თბილისში იოლად დავამარცხეთ, მაგრამ საკუთარ მოედანზე გარდაიქმნა და გაცილებით ძლიერად ითამაშა. უპირატესობას ხან ისინი ფლობდნენ, ხან - ჩვენ, თუმცა მეტოქეზე გაცილებით მეტი რეალური საგოლე მომენტი შევქმენით. შოტლანდიელები განსაკუთრებით მაშინ გააქტიურდნენ, როცა ჩვენ დავწინაურდით. ბოლოს კალუმ პატერსონმა ისეთი გოლი გაგვიტანა, მგონი, თავადაც ვერ წარმოიდგენდა. ცხადია, ფრეც არ არის ცუდი შედეგი, მაგრამ გული მწყდება - მოგება შესაძლებელი იყო და მხოლოდ ქულას დავჯერდით. 1:1-ზეც გვქონდა ძალიან კარგი შანსი, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. გიორგი ქვილითაიამ მცველი მოატყუა, მეკარესთან მარტო დარჩა და გოლს ველოდით, როცა მცველმა ბურთი კარიდან გამოიტანა. არადა, ჰოლანდიასთან სლოვაკების ფრე ძალიან გვაწყობდა და პირველ ადგილზე გასვლის რეალური შანსიც გვიჩნდებოდა. თუმცა იმედი კიდევ გვაქვს"*, - ამბობს პაპავა და იქვე დასძენს:

*„თუ ევროპის ჩემპიონატზე გასვლა გვსურს, აუცილებლად 3 ქულა უნდა მოვიპოვოთ. მოედანზე მოსაგებად გავალთ და იმედია, გულშემატკივრებს გავახარებთ. მოტივაცია არ გვაკლია. მხოლოდ ის გვადარდებს, რომ ბოლო დროს ნაკრების თამაშებსაც კი ცოტა მაყურებელი ესწრება. იმედია, გორში გულშემატკივარი მრავლად მოვა - ეს ჩვენთვის ძალიან დიდი მხარდაჭერა იქნება".*



გიორგი პაპავა (№15) შოტლანდიასთან თბილისურ მატჩში
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

**მერაბ მამულაშვილი**

● U19. ევროპის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი. XI ჯგუფი

# გიორგი აბურჯანია: ჩვენი მთავარი პლუსი ერთსულოვნებაა

**დღეს 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის XI შესარჩევ ჯგუფში ბოლო ტურის შეხვედრებია. 15:00 საათზე მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე პირველი ადგილის ბედს ჯგუფის ლიდერები - საქართველო და ჰოლანდია გაარკვევენ. ჩვენს გუნდს ელიტრაუნდის საგზური უკვე გარანტირებული აქვს, პირველ ადგილზე გასასვლელად კი ქულაც ჰყოფნის. პარალელურად, დაიწყება მატჩი „დინამო არენაზე", სადაც უელსი მოლდოვას დაუპირისპირდება.**

**საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების რამდენიმე წევრს განვლილი თამაშების შეფასება ვთხოვეთ და სადღეისო შანსებზეც ვკითხეთ...**

**ბექა ქურდაძე**, მეკარე:

- 6 ქულით ელიტრაუნდში ღირსეულად გავედით. რაც შეეხება ჰოლანდიასთან თამაშს, მოედანზე დაწყნარებულები გავალთ, რადგან მიზანს უკვე მივაღწიეთ და ახლა მხოლოდ ერთი რამ მოგვეთხოვება - ჩვენი შესაძლებლობები სრულად გამოვავლინოთ. მართალია, ევროპის ჩემპიონატზე გასულ 17-წლამდელთა ნაკრებში არ ვყოფილვარ, მაგრამ ბიჭების უმრავლესობა თამაშობდა იმ ტურნირზე და ნახევარფინალში სწორედ ჰოლანდიასთან დამარცხდა. ახლაც, ორივე გუნდის ბირთვს იგივე ფეხბურთელები შეადგენენ და რევანშის აღებას ვეცდებით.

**- თქვენ გუნდის ყველაზე პატარა წევრი ხართ. თამაშებამდე ხომ არ ნერვიულობდით?**

- თავიდან კი ვღელავდი, მაგრამ მოედანზე გასული, მით უფრო, ჩვენი ბიჭების თამაშის შემხედვარე, დავმშვიდდი და თავისუფლად ვიყავი. საერთოდ, შენიშნავდით, რომ გუნდი გამართულ ფეხბურთს აჩვენებს. ჩვენ ბევრი კარგი ინდივიდუალისტი გვყავს, მაგრამ ერთსულოვნება გვახასიათებს, გუნდურ ფეხბურთს ვთამაშობთ. ჩვენი ძალა სწორედ ამაშია - ყველა ერთმანეთს აზღვევს და სხვისი შეცდომის გამოსწორებას ცდილობს. გადაჭარბებულად ნათქვამში არ ჩამომართვათ და, კარგად ვგრძნობთ, რამხელა პატივია ქვეყნის ნაკრების ფორმის ტარება, ამიტომ გულშემატკივარს იმედები არ უნდა გავუცრუოთ.

**დავით ჯიქია**, თავდამსხმელი:

- უპირველესად, თანადგომისთვის დიდი მადლობა გულშემატკივარს და მერე ბიჭებს, რომლებმაც ორივე შეხვედრაში თავი დადეს. ახლა მთავარი ჰოლანდიასთან შეხვედრაა. ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში წავაგეთ და იმედია, რევანშს ავიღებთ.

**- ჰოლანდია ისეთი გუნდია, რომელთან მოგებას ვერც ერთ ქართულ ნაკრებს ვერ მოვთხოვთ...**

- რა თქმა უნდა, მაგრამ მე მხოლოდ სურვილი გამოვხატე და ის მაიმედებს, რომ შარშანდელი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ჩვენი გუნდი მართლა გაიზარდა და უკეთ შეთამაშდა. ტრაბახის გარეშე ვიტყვი - ასეთი ჩამოყალიბებული და ორგანიზებული საქართველოს ნაკრები ჯერ არ მინახავს.

**- იმასაც დიდი მნიშვნელობა ექნება, ჰოლანდიასთან შეხვედრას რამდენი მაყურებელი დაესწრება?**

- ცხადია, ეს ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. ხალხი სტადიონს სანახევროდაც თუ ავსებს, ეს ჩვენზე ძალიან კარგად მოქმედებს. ბიჭების სახელით გპირდებით, რომ თავს არ დავზოგავთ და ბოლომდე ვიომებთ. თან იმასაც ვეცდებით, სანახაობრივი ფეხბურთიც ვაჩვენოთ. რა გამოგვივა, ეს მოედანზე გამოჩნდება.

**გიორგი აბურჯანია**, ნახევარმცველი:

- კარგია, რომ ელიტრაუნდის საგზური ჰოლანდიასთან შეხვედრამდე მოვიპოვეთ. მოლდოვასა და უელსთან გუნდმა ძალიან კარგი ფეხბურთი აჩვენა. არანაკლებ მახარებს ის ამბავი, რომ გუნდი და მისი თითოეული წევრი თამაშიდან თამაშამდე იზრდება.

**- ამ ნაკრებს მოკლედ როგორ დაახასიათებდით?**

- მთავარი ერთსულოვნებაა. ესაა ჩვენი ყველაზე დიდი პლუსი. გამორჩეული არავინ გვყავს, მაგრამ მეორე მხრივ, ყველა გამორჩეულია. ჩვენთან ერთი ყველასათვის თამაშობს და ყველა - ერთისთვის. ეს სულისკვეთება გუნდურ ფეხბურთში გამოიხატება.

**- ყველაზე თვალშისაცემი ის არის, რომ ბურთს ნაკლებად „აწვალებთ" და სწრაფად მოქმედებთ...**

- ეს ძალზე მნიშვნელოვანია. ბურთის თრევას არც ერთი ნაკრებისთვის კარგი არასოდეს მოუტანია. დღევანდელი ფეხბურთი ტემპის შენელებას ვერ იტანს, ამით თავად წააგებ. ეს ყველაფერი ხომ საკუთარი თვალით გვინახავს და ვცდილობთ, წინა თაობების შეცდომები აღარ გავიმეოროთ. ეს არის მწვრთნელების მოთხოვნა, რასაც ყველა დიდ ყურადღებას ვაქცევთ.

**- საერთოდ, ვასილ მაისურაძე რა დავალებებს გაძლევთ?**

- ითხოვს, რომ მეტოქის საჯარიმოსკენ მაქსიმალურად ავიწიოთ, პრესინგით შევავიწროვოთ. არ მახსენდება ერთი შეხვედრაც კი, მათ შორის, ძლიერ მეტოქეებთანაც, „უკნიდან" თამაში რომ მოეთხოვა.

**- თქვენი აზრით, ჰოლანდიასთან საჩვენო შედეგის მიღწევა შესაძლებელია?**

- ამ გუნდს 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატიდან კარგად ვიცნობდით, მაგრამ მას შემდეგ მათ თამაშშიც რაღაც შეიცვლებოდა. ჰოლანდიის ნაკრების თბილისურ თამაშებსაც გავარჩევთ. ვეცდებით, ჩვენი თამაში მოვახვიოთ თავს. შანსებს კი 50/50 ვაფასებ.

**მერაბ მამულაშვილი**

**ბოლო ტური**

**18 ნოემბერი**

მიხეილ მესხი
საქართველო- ჰოლანდია 15:00

დინამო არენა
უელსი-მოლდოვა 15:00

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 2 | 2 | 0 | 0 | 7-1 | 6 |
| 2. ჰოლანდია | 2 | 1 | 1 | 0 | 3-0 | 4 |
| 3. უელსი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-5 | 1 |
| 4. მოლდოვა | 2 | 0 | 0 | 2 | 0-5 | 0 |



მარჯვნივ გიორგი აბურჯანია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოფიციალური განცხადება

# ილია კოკაიამ ზესტაფონის პრეზიდენტის პოსტი დატოვა

საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის" ოფიციალურმა ვებგვერდმა გამოაქვეყნა კლუბის პრეზიდენტის ილია კოკაიას განცხადება, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„როგორც მოგეხსენებათ, რამდენიმე დღის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე მე ვისაუბრე ქართულ საფეხბურთო ოჯახში შექმნილ პრობლემებზე და ამ პრობლემების წარმოქმნის მიზეზებზე, სადაც არადამაკმაყოფილებლად შევაფასე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობა და მიულებლად მივიჩნიე საფეხბურთო ოჯახის სათავეში რეალური ძალის არმქონე პრეზიდენტის ყოფნა, რომლის უნიათო საქმიანობის მწვერვალი გახლდათ ფეხბურთის ფედერაციის მიერ დაფუძნებული იურიდიული სტრუქტურის მიერ მიღებული ამასწინანდელი გადაწყვეტილება, რომელმაც პირდაპირი დარტყმის ქვეშ დააყენა თანამედროვე საფეხბურთო სამყაროს მოწყობის ისეთი ქვაკუთხედი, რასაც საკონტრაქტო სისტემა წარმოადგენს.

ჩემი ღრმა რწმენით, ფედერაცია დღეისათვის არა ფეხბურთის მსახურების სახლად, არამედ ვიწრო, პირადი და ხშირ შემთხვევაში მერკანტილური ინტერესების რეალიზების საშუალებად იქცა.

აქტუალურია საფეხბურთო კლუბების არათანაბარი დაფინანსების ძალიან მტკივნეული თემა. მაშინ, როდესაც საფეხბურთო ოჯახი სახელმწიფოს მხრიდან დახმარების გაწევის ყოვლისმომცველი და სამართლიანი დახმარების მოლოდინშია, საფეხბურთო კლუბის ბედი ხშირ შემთხვევაში დამოკიდებულია კონკრეტულ რაიონსა თუ რეგიონში მოქმედი ჩინოვნიკის სიმპათია-ანტიპათიაზე და მის ურთიერთობაზე სამთავრობო სტრუქტურებთან. სწორედ ამაში უნდა ვეძიოთ ქართული ფეხბურთის წინაშე არსებული მრავალი, მათ შორის, გარიგებული მატჩებისა და სხვადასხვა მაქინაციების პრობლემების სათავე. ფედერაციამ ფეხბურთის წინაშე არსებული პრობლემები ვერც სახელმწიფოსთან მოაგვარა.

შექმნილი სამწუხარო რეალობიდან გამომდინარე, მე ვურჩიე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, ქართული ფეხბურთისათვის ფასდაუდებელი სამსახურის გაწევის მიზნით, თავისივე სურვილით დაეტოვებინა დაკავებული თანამდებობა. მისი მხრიდან ამ რჩევის არგამოყენების შემთხვევაში, დავიტოვე უფლება, თავად წავსულიყავი კლუბიდან.


ილია კოკაია

აქედან გამომდინარე, ვსარგებლობ რამდენიმე დღის წინ გაჟღერებული უფლებით და გაუწყებთ საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის" პრეზიდენტის თანამდებობიდან ჩემი გადადგომისა და კლუბიდან წასვლის შესახებ.

აქვე მინდა ვუთხრა ჩვენი გუნდის გულშემატკივარს, რომ ვრჩები საკუთარი სიტყვისა და პირობის ერთგული - თანამდებობიდან წასვლამდე ვამტკიცებ კლუბის ბიუჯეტს, რაც უზრუნველყოფს გუნდის შეუფერხებელ ფუნქციონირებას მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე. საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის" მართვის ფუნქციას დღეიდან კლუბის მენეჯმენტი განახორციელებს.

რაც შეეხება კლუბის შემდგომ ბედს, ის, როგორც ეს ჯერ კიდევ ზაფხულში იქნა გაცხადებული, ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან საკუთარ თავზე აღებული და საჯაროდ გაჟღერებული თანადგომის ვალდებულებების შესრულებაზე იქნება დამოკიდებული. ეს საკითხი კლუბის მენეჯმენტთან დამატებითი განხილვის საგანი გახდება.

საჯაროდ ვაცხადებ იმის თაობაზე, რომ არც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას დღეიდან აღარ მივიჩნევ საფეხბურთო ცხოვრების მარეგულირებელ ინსტანციად. აქვე გეტყვით, რომ კლუბიდან წასვლის მიუხედავად, ჩემს მიზანს სულაც არ წარმოადგენს ფეხბურთიდან წასვლა და საფეხბურთო ცხოვრებიდან განზე დგომა.

მინდა კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ ქართულ ფეხბურთში მეგულება ძალიან ბევრი წესიერი და ამავე დროს კომპეტენტური ადამიანი, რომელთაც აწუხებთ და სტკივათ სადღეისოდ არსებული მდგომარეობა. გაძლევთ პირობას, რომ აქტიურ მონაწილეობას მივიღებ ჯანსაღ ძალთა გაერთიანებისა და კონსოლიდაციის საქმეში, რათა საერთო ძალისხმევით ქართულ საფეხბურთო ოჯახში ერთხელ და სამუდამოდ წესრიგი დამყარდეს.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენი კლუბის ყველა გულშემატკივარს, როგორც ზესტაფონში, ასევე მთელ საქართველოში და ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ! მეამაყება, რომ უამრავი ადამიანისთვის "ზესტაფონი" გახდა ერთგვარი სიმბოლო ფეხბურთის კეთილსინდისიერი მსახურების და საქმის სუფთა ხელებით კეთებისა".

ზუგდიდი

# დარასელია მწვრთნელად, ნიტაიშვილი დირექტორად...

## ...მაგრამ ჭეჟიას განცხადება ჯერ დაკმაყოფილებული არ არის


გიორგი დარასელია

„ზუგდიდის" ან უკვე ყოფილმა დირექტორმა **მალხაზ ჭეჟიამ** საგანგებო ბრიფინგზე ბოლო დროს კლუბის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე ილაპარაკა, საკრებულოს თავმჯდომარე ზეწოლაში დაადანაშაულა და გადადგომის განცხადება დაწერა. მაშინ ვივარაუდეთ, რომ ჭეჟიას წასვლა „ზუგდიდში" გუნდის ყოფილი მთავარი მწვრთნელის, **კობა ნიტაიშვილის** დაბრუნების ნიშანი უნდა ყოფილიყო. რეალურად, ჭეჟია სწორედ მასთან კონფლიქტს შეეწირა.

როგორც შევიტყვეთ, 35 წლის ნიტაიშვილს დაბრუნება მართლა შესთავაზეს, ოღონდ, არა მთავარი მწვრთნელის, არამედ კლუბის დირექტორის პოსტზე. რაც შეეხება მთავარი მწვრთნელის პოსტს, ეს ვაკანსია **გიორგი დარასელიას** შესთავაზეს. 44 წლის სპეციალისტი თანახმაა, „ზუგდიდში" იმუშაოს. ოქტომბერში დარასელიამ „ლელოს" უთხრა, რომ სამწვრთნელო კარიერას ისრაელში ან აზერბაიჯანში გააგრძელებდა. ისრაელში მას კონკრეტული მოლაპარაკებებიც ჰქონდა, მაგრამ ებრაელებს ვერ შეუთანხმდა და საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტა. მას სურს, რომ „ზუგდიდი" კრიზისული ვითარებიდან გამოიყვანოს.

შესაძლოა, ქალაქის საკრებულომ, მუნიციპალიტეტმა და გამგეობამ კლუბს დამატებით 130 ათასი ლარი დაურიცხონ, რათა საშემოდგომო ეტაპის დასრულებამდე დარჩენილ 6 ტურში გუნდმა ქულების მაქსიმუმი აიღოს და უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნოს. ამავე დროს, გადაწყდა, რომ გუნდი „ბაიას" საწვრთნელ ბაზაზე ივარჯიშებს და შეკრებების დროსაც იქვე დაბინავდება.

ჩვენი ინფორმაციით, წიტაიშვილისა და დარასელიას კანდიდატურებს დღეს დაამტკიცებენ. ამის გადამოწმება ვცადეთ თავად ნიტაიშვილთან, რომელმაც დაგვიდასტურა - ასეთი ვარიანტი განიხილებაო, თუმცა დამტკიცებამდე კომენტარს მოერიდა. ასევე მოიქცა დარასელიაც.

კარგია, რომ სპეციალისტი, რომელმაც გორის „დილასა" და „სკა ენერგიაში" თავი კარგად წარმოაჩინა, საქართველოში დაბრუნდა და ცოდნას ისევ ჩვენს ფეხბურთს მოახმარს. საქართველო არც ისე მდიდარია, კვალიფიციურ მწვრთნელებს იოლად რომ შეელიოს. საკითხავი ისაა, რამდენად სტაბილურ გარემოში მოუწევს დარასელიას მუშაობა. სტაბილურობა ხომ ნორმალური კლუბის ჩამოყალიბების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

და მაინც, ბოლო ინფორმაციით, ნიტაიშვილის დანიშვნის საკითხი ჯერ კიდევ გასარკვევია. საქმე ისაა, რომ ახალი დირექტორის დასანიშნად გარკვეული პროცედურებია გასავლელი. ჯერჯერობით, ზუგდიდის საკრებულოს მალხაზ ჭეჟიას გადადგომის განცხადება არ დაუკმაყოფილებია. თუ მას უფლებამოსილებას შეუჩერებენ, დირექტორის მოვალეობას დროებით ჭეჟიას მოადგილე **რევაზ პერტაია** შეასრულებს. თუმცა ესეც ვერსიის დონეზეა.

ჭეჟიას წასვლა-დარჩენაზეა დამოკიდებული ახალდანიშნული მწვრთნელ-კონსულტანტის **სერგო გაბელაიას** ბედიც. ფაქტია, რომ გამოცდილი სპეციალისტი ამ დაპირისპირებამ უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო.

მოკლედ, ზუგდიდის საფეხბურთო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ამბები ხდება. ამის მიღმაც ზოგი უფრო დიდი ბრძოლის კონტურებს ხედავს... თუმცა ამაზე სხვა დროს.

**მერაბ მამულაშვილი**

ამხანაგური მატჩები

# კაჭარავამ გუნდი დინამოსთანაც გააკონტროლა

მას შემდეგ, რაც ცხინვალის „სპარტაკის" თავკაცად **კახა კაჭარავა** დაინიშნა, გუნდი უკეთ ათამაშდა და საკონტროლო შეხვედრაშიც შედეგიანად გაისარჯა - პირველ ლიგაში მოთამაშე „დინამო 2" ვიტალი დარასელიას სახელობის „დინამოს" აკადემიის ხელოვნურსაფარიან მოედანზე 2:0 დაამარცხა.

პირველი გოლი 25-ე წუთზე გავიდა - **ლევან ჭაფოძის** ფლანგურ ჩაწოდებას **თორნიკე თუხარელმა** დაახვედრა შედეგიანი დარტყმა.

როგორც „სპარტაკის" პრესსამსახურმა გვაცნობა, დინამოელებსაც ჰქონდათ სახიფათო მომენტები, თუმცა მათ **სოსლან ნანიევმა** არ გაატანინა გოლი.

მეორე ბურთი კი 87-ე წუთზე გავიდა - **კონსტანტინე ხიზანეიშვილის** გადაცემას **დავით გელაშვილმა** მიაყოლა უზადო თავური.

გელაშვილი სწრაფი თავდამსხმელია და როგორც კი გამოჩნდა მოედანზე, სპეციალისტების ყურადღებაც მიიქცია. წინა სეზონში „სპარტაკი" პირველ ლიგაში რომ გამოდიოდა, გელაშვილმა პირველ წრეში 10 გოლი გაიტანა, მერე კი ტრავმის გამო აღარ უთამაშია, ორი ოპერაციის გაკეთებაც კი დასჭირდა, მოედანზე კი „დინამო 2-თან" შეხვედრაში დაბრუნდა.

„სპარტაკმა" ამ შემადგენლობით ითამაშა: **ს. ნანიევი, ჭაფოძე, მგელაძე, ქურდაძე, კ. ხიზანეიშვილი, კემუხტაშვილი, კილასონია, კაკაშვილი, თუხარელი, თექთურმანიძე, მეტრეველი.** მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: **ნარიმანიძე, გელაშვილი, მაქაცარია, ცერცვაძე, თვალავაძე, გაძაოვი, მოსაშვილი, ი. შენგელია, დ. ნანიევი.**

უმაღლესი ლიგის მე-13 ტურში „სპარტაკი" ბოლნისის „სიონს" ესტუმრება.


www.fcspartaki.ge-ს პრესსამსახურის ფოტო

# ფოლადზე რუსთაველმა იმარჯვა

გუშინ რუსთავშიც გაიმართა ამხანაგური მატჩი - იქაურმა „მეტალურგმა" „ფოლადის" სტადიონზე ბოლნისის „სიონი" 3:1 დაამარცხა. რუსთაველთაგან გოლები **გიორგი ჩირგაძემ, ლევან კორღალიძემ** და **ირაკლი სიხარულიძემ** გაიტანეს. „მეტალურგის" სასტარტო შემადგენლობა ასეთი იყო:

**სეფიაშვილი, ჯაფარიძე, მახვილაძე, საჯაია, სუხიაშვილი, კაკუბავა, ქავთარაძე, ვასაძე, ჩირგაძე, სიხარულიძე, ტულუში.** მეორე ტაიმში კი ამ ფეხბურთელებმა ითამაშეს: **ბედიაშვილი, კაკულია, მაისაშვილი, მახვილაძე, ხაბელაშვილი, ექვთიმიშვილი, გოგინაშვილი, კორღალიძე, ორბელაძე, სიხარულიძე, ტულუში.**

24 ნოემბერს, საქართველოს ჩემპიონატის მორიგ ტურში, „მეტალურგი" საჩხერის „ჩიხურას" უმასპინძლებს.

# ტესტი ქართველებთან და აფრიკელებთან

სანაკრებო პაუზით „ვიტ ჯორჯიამაც" ისარგებლა, მეორე ლიგის „მარკ სტარზს" შეხვდა და 1:1 ითამაშა. ცნობისთვის - „მარკ სტარზი" თენგიზ სულაქველიძის სახელობის აკადემიის ბაზაზე შექმნილი გუნდია, სადაც, ჩვენებურების გარდა, აფრიკელი ახალგაზრდებიც თამაშობენ. მეორე ლიგის აღმოსავლეთ ზონაში ეს გუნდი მეორე ადგილზეა.

„ვიტ ჯორჯიამ" პირველი ტაიმი ამ შემადგენლობით ითამაშა: **დაუშვილი, გეთიაშვილი, ადამაძე, კასრაძე, იაშვილი, წყაროზია, მაისურაძე, კორიფაძე, ჯანელიძე, სიჭინავა, ლობჟანიძე.** მეორე ტაიმი: **ისერგიშვილი, მჭედლიშვილი, ჩიტიშვილი, კასრაძე, ჯავაშვილი, დავლაშელიძე, ლიბრაძე, პავლიაშვილი, ხვისტანი, კვირკვია, კუხალეიშვილი.**

პირველი გოლი (II ტაიმში) „ვეტერინარებმა" გაიტანეს - თავი განაპირა მცველმა **გიორგი მჭედლიშვილმა** გამოიჩინა, თუმცა ვიტელებმა უპირატესობა მალევე გაფლანგეს. როგორც ჩანს, „ვიტ ჯორჯია" სათანადოდ ვერ განეწყო ქვედალიგელთან სასპარინგოდ, „მარკ სტარზმა" კი დიდი მონდომებით ითამაშა და უმაღლესლიგელთან ფრეს გამორჩა.

ეროვნული ჩემპიონატის დამდეგ ტურში „ვიტ ჯორჯია" მცხეთაში „ზუგდიდს" ისტუმრებს.

**დავით თავართქილაძე**

● ლეგიონერები



გოგიტა გოგუა (მარჯვნივ) საგოლე შეტევაში მონაწილეობდა

### ხუბუტია ლიდერია, მჭედლიძე ისევ მეორე

# გოგუას დაწყებული ვეღარ დაასრულეს

სანაკრებო პაუზის დროს კლუბები მხოლოდ მეორე (და ქვედა) დივიზიონებში თამაშობენ. გასულ უქმეებზე ჩვენთვის საინტერესო მატჩები რუსეთსა და იტალიაში გაიმართა.

გუშინ რუსეთის I დივიზიონის 24-ე ტურის მატჩები გაიმართა. ხაბაროვსკში „სკა ენერგიამ" სანკტ პეტერბურგის „დინამოს" უმასპინძლა და დაუზავდა - 1:1. საოცარია, მაგრამ ფაქტია - ამ სტადიონს ჯერაც ლენინის სახელი ჰქვია. მასპინძელთა რიგებში მხოლოდ ერთი ქართველი თამაშობდა - **გოგიტა გოგუა**, **გიორგი ნავალოვსკი** კი არ გამოჩენილა. ერთ-ერთ აუტსაიდერთან ქულების დაკარგვის შემდეგ ვეღარ ვიტყვით, რომ **ვალდას ივანაუსკასის** გუნდი პრემიერლიგაში გადავა.

როგორც რუსული მედია იუწყება, „სკა ენერგიას" მამოძრავებელი ძალა კვლავ გოგუა იყო. სწორედ მან წამოიწყო კომბინაცია მე-19 წუთზე, რომელიც გოლით დასრულდა. გოგუამ მარცხენა ფრთაზე **რადჩენკო** მოძებნა, რომელმაც **ნათან ჟუნიორს** საგოლე პასი გადააწოდა. ასე გახსნა ანგარიში გორის „დილას" ყოფილმა ფეხბურთელმა.

ლიდერმა „მორდოვიამ" სტუმრად 2:1 დაამარცხა „გაზოვიკი". გამარჯვებულთა რიგებში 90 წუთი ითამაშა **აკაკი ხუბუტიამ**, ხოლო მასპინძელი **ზურაბ არზიანი** სათადარიგო იყო. „მორდოვია" 52 ქულით ერთპიროვნული ლიდერია. ეს სარანსკელთა ზედიზედ მე-5 გამარჯვება იყო, რაც „მორდოვიას" მოკრძალებულ ისტორიაში პირველად მოხდა.

**დავით სირაძისა** და **გუჯა რუხაიას** „ნალჩიკი" ამ ტურს ტოვებს (რადგან ჩემპიონატში კენტი რაოდენობის გუნდებია), ხოლო „ალანიას" შემადგენლობაში, ტრავმების გამო, კვლავ ვერ თამაშობენ **ოთარ მარცვალაძე** და **გოჩა ხოჯავა**.

იტალიაში ქართველთა „ემპოლიმ" ტურის ცენტრალურ მატჩში უშანსოდ მოუგო „ლანჩანოს" - 3:0. ორივე ჩვენებური სათადარიგო იყო, **ლევან მჭედლიძე** თამაშის დასრულებამდე 5 წუთით ადრე გამოჩნდა, ხოლო **ირაკლი შეყილაძე** სკამზე დარჩა. ამ მოგების შემდეგ „ემპოლის" 14 თამაშიდან 27 ქულა აქვს. ზუსტად ამდენით ლიდერობს მჭედლიძის ყოფილი გუნდი „პალერმო", რომელსაც ერთი გოლით მეტი აქვს გატანილი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# არის ვიზა!

## ალკორკონში არაბულის დებიუტი დეკემბრამდე შედგებაო...

**ბაჩანა არაბულის** საკითხი დადებითად გადაწყდა - ესპანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს 17 და 19-წლამდელთა ნაკრებების ყოფილ კაპიტანს (რომლის ტრანსფერიც საფეხბურთო კლუბ „საბურთალოს" ეკუთვნის) შრომის ვიზა მისცა და 18 წლის თავდამსხმელი მალე სეგუნდა დივიზიონის კლუბ „ალკორკონში" ითამაშებს.

*„ესპანეთში, ისევე როგორც ევროკავშირის სხვა ქვეყნებში, ჩვენს მოთამაშეებზე შრომის ვიზას საკმაოდ რთული პროცედურების გავლის შემდეგ გასცემენ. ამჯერადაც ეს იყო მიზეზი, გაფორმებული კონტრაქტის მიუხედავად, არაბული „ალკორკონში" დღემდე რომ ვერ თამაშობდა. ეს პრობლემა უკვე მოგვარდა. დაახლოებით, ერთ კვირაში ბაჩანა ესპანეთში გაემგზავრება და სავარაუდოდ დეკემბრამდე „ალკორკონში" სადებიუტო შეხვედრასაც ჩაატარებს",* - გვითხრა „საბურთალოს" პრეზიდენტმა **ტარიელ ხეჩიკაშვილმა**.

შეგახსენებთ, რომ არაბული მადრიდის „ალკორკონში" 31 აგვისტოს ჩაირიცხა. სეგუნდა დივიზიონის კლუბთან მან ნახევარწლიანი საიჯარო ხელშეკრულება გააფორმა. არაევროკავშირელობის გამო, ესპანეთში შრომის უფლებას ის ორთვენახევარი ელოდა.

**მერაბ მამულაშვილი**



ბაჩანა არაბულმა ესპანეთში შრომის უფლება მოიპოვა

# საშემოდგომო გავისტუმრეთ

## ქართული ლეგიონის მონაგარის შეჯამება ბალტიისპირეთსა და შუა აზიაში

**ქართველ ლეგიონერთა ერთ ნაწილს მალე ზამთრის პაუზა დაუდგება, ბევრი მათგანისთვის კი სეზონი უკვე დასრულდა. საუბარია იმ ქვეყნებზე, სადაც ეროვნული პირველობები „გაზაფხული-შემოდგომის" პრინციპით იმართება. ჯერჯერობით, გვერდს ავუვლით ბელარუსს, რადგან იქ ჯერ კიდევ ორი ტურია ჩასატარებელი...**

### ფინეთი: სირბილაძე და სხვები

ამ სეზონში ფინეთში ფეხბურთს ათამდე ჩვენებური თამაშობდა, მაგრამ მხოლოდ 31 წლის **ირაკლი სირბილაძე** იყო უმაღლესი დივიზიონის - ვეიკაუსლიგის წევრი. მისმა ტურკუს „ინტერმა" 33 თამაშში 40 ქულა დააგროვა და საბოლოოდ მე-9 ადგილი დაიკავა. მართალია, საქართველოს ნაკრების ფორვარდმა 9 გოლით (30 მატჩში) კლუბის ბომბარდირობა დაიბევა და ლიგაშიც მხოლოდ 7 ფეხბურთელი გაუშვა წინ, მაგრამ ეს შედეგი ახლოსაც ვერ მოვა შარშანდელთან, როცა სირბილაძე 21 გოლით ვეიკაუსლიგის ბომბარდირი გახდა.

ქართველებით დიდად დახუნძლული არც რანგით მეორე - იკიონენლიგა იყო. „კოოტეპეს" რიგებში ითამაშა 28 წლის მცველმა **გიორგი ოსიტაშვილმა**. მისმა გუნდმა მე-3 ადგილი დაიკავა, გიორგიმ კი 24 მატჩში 3 გოლი გაიტანა.

27 წლის ნახევარმცველი **კახაბერ სამსონია** „კაიაანის" ღირსებას იცავდა. ამ გუნდმა ბოლო, მე-10 ადგილი დაიკავა და კაკონენლიგაში გავარდა. სამსონიას ანგარიშზე 25 თამაში და 5 გოლია.

რანგით მე-3, კაკონენლიგის აღმოსავლეთ ზონაში მე-3 ადგილი დაიკავა ჰელსინკის „ატლანტისმა". ამ გუნდის კარს იცავდა 27 წლის **ლევან ლომიძე**. „ატლანტისის" 27-დან 24 მატჩში კარში სწორედ ქართველი კიპერი იდგა.

აქვე, მე-6 ადგილზე გავიდა კტპ, რომლის მეკარე **ზურაბ ტალახაძეს** (25 წლის) ერთ მატჩშიც არ მიუღია მონაწილეობა.

იმავე ლიგაში მე-7 ადგილი დაიკავა „ფუტურამ". აქ 25 წლის **თეიმურაზ აფრიამაშვილმა** 23 მატჩში 3 გოლი გაიტანა.

ჩრდილოეთის ზონაში წარუმატებლად იასპარეზა „ორპამ", რომელიც 27 ქულით გავარდა. ამ გუნდში ორმა ქართველმა ითამაშა - მცველმა **ლაშა დეკანოსიძემ** (26 წლის, 14 თამაში, 6 გოლი) და ნახევარმცველმა **ნიკა კილაძემ** (24 წლის, 6 თამაში, 1 გოლი). დეკანოსიძე, შესაძლოა, გახსოვდეთ ბელარუსში გამოსვლით, ან ცხინვალის „სპარტაკში" თამაშით.

დაბოლოს, სამხრეთის ლიგაში „კაპამ" მე-7 ადგილი დაიკავა. ამ გუნდში კი 7 მატჩში 1 გოლი 34 წლის **ლაშა ჩხაიძემ** გაიტანა.

### ესტონეთი: ზაქარიას შემდეგ, ზაქარიას მოსვლამდე

ესტონეთის უმაღლეს ლიგაში (მეისტრილიგა) ამ სეზონში ორი ქართველი თამაშობდა. კალევის „სილამიაემ" მე-3 ადგილი დაიკავა. მის რიგებში 22 წლის ნახევარმცველი **დავით ლორთქიფანიძე** ირიცხებოდა, მაგრამ მას არ უთამაშია. მისი თანაგუნდელია 19 წლის **ირაკლი ტორინავა**. ის რუსეთის მოქალაქეა ისევე როგორც „ფლორას" ფორვარდი **ირაკლი ლოგუა** (30 თამაში, 8 გოლი), რომელსაც რუსულ პრემიერლიგაშიც კი აქვს ნათამაშები მოსკოვის „დინამოს" შემადგენლობაში.

„პაიდე" მე-5 ადგილს დასჯერდა. ამ გუნდში 23 წლის ფორვარდმა **თენგიზ ეთერიამ** 16 მატჩში 1 გოლი გაიტანა.

რანგით მეორე, ესილიგა A-ში 19 წლის მეკარე **კახა მახარაძის** გუნდი „ირბისი" ბოლო ადგილზე გავიდა, ჩვენებურმა კი მხოლოდ 4 თამაშში მიიღო მონაწილეობა.

შეგახსენებთ, რომ შარშან ესტონურ ლიგაში 17 გოლი გაიტანა **ზაქარია ბეგლარიშვილმა**, რომელიც „ფლორაში" სექტემბერში ხელახლა ჩაირიცხა, თუმცა 2014 წლამდე ამ გუნდში თამაშის უფლება არ აქვს.

### ლატვია: ჩემპიონი თარხნიშვილი

გაცილებით მრავალრიცხოვანი (და წარმატებულიც) იყო ლატვიის ქართული ლეგიონი. „ვენტსპილსმა" ჩემპიონის ტიტული ჩამოართვა „დაუგავას" - 67 ქულით იპირველა 10-გუნდიან ვირშლიგაში. თანაგუნდელებთან ერთად, ლატვიის ჩემპიონი გახდა 23 წლის ნახევარმცველი **თორნიკე თარხნიშვილი** (21 თამაში, 3 გოლი), რომელიც ბალტიის ამ ქვეყანაში ბოლნისის „სიონიდან" წავიდა.

მეორე ადგილზე „სკონტო" გავიდა, კლუბი, რომელმაც ბოლო ტურში დაკარგა ჩემპიონობის შანსი. ამ გუნდს ჩვენებური სპეციალისტი, 38 წლის **თამაზ პერტია** წვრთნის. „სკონტოს" რიგებში ოთხმა ქართველმა ითამაშა. ბუნებრივია, მათ შორის ყველაზე გამორჩეული **ირაკლი კლიმიაშვილია** - 25 წლის ნახევარმცველმა 15 თამაშში 1 გოლი გაიტანა.



თორნიკე თარხნიშვილმა ვენტსპილსთან ერთად ლატვიის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა

26 წლის მცველი **ლადო დათუნაშვილი** იშვიათად თამაშობდა (8 მატჩი), ხოლო 18 წლის **ლაშა დვალმა** (3 თამაში), ტრავმის გამო, თითქმის მთელი სეზონი გამოტოვა. მოგეხსენებათ, ლაშა „რედინგში" გადავიდა, რომლის შემადგენლობაშიც მომავალი სეზონიდან ითამაშებს. ის ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ იმედად ითვლება. „სკონტოში" ირიცხებოდა 20 წლის მცველი **ლევან ქაჯიაშვილიც**, რომელმაც მხოლოდ ერთ მატჩში მიიღო მონაწილეობა.

შარშანდელი ჩემპიონი დაუგავპილსის „დაუგავა" მე-3 ადგილს დასჯერდა. ამ გუნდში სამმა ჩვენებურმა ითამაშა: 24 წლის მცველმა **ბიძინა ცინცაძემ** (13 მატჩი, 1 გოლი), 26 წლის მცველმა **გიორგი ჩიხრაძემ** (14 მატჩი) და 27 წლის ფორვარდმა **მამუკა ლონლაძემ** (16 მატჩი, 1 გოლი). ლონლაძემ სეზონი „ილუკსტესში" დაიწყო (9 მატჩი, 2 გოლი) და მერე დაუბრუნდა „დაუგავას", სადაც წინა ორი სეზონი ძალზე ნაყოფიერი ჰქონდა (შესაბამისად, 21 და 18 გოლი).

მე-4 ადგილი წარმატებაა რიგის „დაუგავასთვის", რომლის რიგებშიც ნახევარმცველი **გიორგი დიაკვნიშვილი** (25 წლის, 22 მატჩი, 1 გოლი) გამოდიოდა. ლონლაძის ყოფილმა კლუბმა „ილუკსტესმა" კი მხოლოდ 12 ქულა მოაგროვა და გავარდა. ამ გუნდში ითამაშეს: 24 წლის მცველმა **გიორგი ხუმარაშვილმა** (17 მატჩი, 4 გოლი), 23 წლის ნახევარმცველმა **ჯემალ ჯალიაშვილმა** (16 მატჩი, 3 გოლი) და 25 წლის ფორვარდმა **გიორგი ტუხაშვილმა** (12 მატჩი).

პირველი ლიგის „აუდაში" ითამაშეს **კობა თორთლაძემ**, **ილია რეხვიაშვილმა** და **დავით ბახტურიძემ**. სამწუხაროდ, ამ ლიგის სტატისტიკურ მონაცემებს ვერ მივაკვლიეთ, თუმცა ცნობილია, რომ რეხვიაშვილმა სეზონში 6 გოლი გაიტანა, ხოლო ბახტურიძემ - 4.

### ლიტვა: არაფრით გამორჩეული

ლიტვის A ლიგის ჩემპიონი „ჟალგირისი" გახდა, სადაც ქართველები არ ირიცხებიან, ისევე, როგორც მეორეადგილოსან „ატლანტისში", რომელსაც მოსკოველი ქართველი **კონსტანტინ სარსანია** წვრთნის.

მე-5 ადგილზე გასული „კრუოიას" განაცხადში 7-ჯერ მოხვდა 22 წლის **გურამ ბედოიძე**, თუმცა მოედანზე გასვლამ ერთხელაც არ მოუწია.

გარგჟდაის „ბანგამ" 35 ქულით მე-6 ადგილი დაიკავა. 19 წლის ნახევარმცველმა **ვაჟა ბედოიძემ** 23 მატჩში მიიღო მონაწილეობა, 24 წლის ნახევარმცველმა **თამაზ ჩარგეიშვილმა** 24 მატჩში 5 გოლი გაიტანა. გუნდში იყო კიდევ ერთი ქართველი - 19 წლის ფორვარდი **ირაკლი ღერკენაშვილი** (14 მატჩი).

11 ქულით უკანასკნელი ადგილი დაიკავა „ტაურასმა", მაგრამ არ გავარდა (ლიტვაში გაისად 10-გუნდიანი ჩემპიონატი იქნება). ამ გუნდში 21 წლის ნახევარმცველმა **ირაკლი თვალავაძემ** 16 მატჩში მიიღო მონაწილეობა. I ლიგაში ითამაშეს **გიგა მელიქიშვილმა** (ნევეჟისი), **გიორგი ოდიშვილმა** (პოლონია), **ცოტნე ჩანქსელიანმა** (პალანგა) და **ბესიკ ამაშუკელმა** (ტრაკაი).

### უზბეკეთი: ვეღარ შეწვდა

შუა აზიის ამ ქვეყანაში ჩვენთვის ყველაზე ნაცნობი გუნდის, ტაშკენტის „ფახთაქორის" ღირსებას იცავდა 26 წლის ნახევარმცველი **კახა მახარაძე**, წარსულში ცნობილი ფეხბურთელის, **მალხაზ მახარაძის** ვაჟი. შარშან ის უზბეკეთის ჩემპიონი გახდა, ახლა კი მისი გუნდი 54 ქულით მე-4 ადგილს დასჯერდა. კახამ 24 მატჩში 6 გოლი გაიტანა.

„ფახთაქორს" მხოლოდ ერთი საფეხურით (თუმცა 14 ქულით) ჩამორჩა „ოლმალიქი", რომლის ღირსებას იცავდა 27 წლის მცველი **გიორგი კვესიეშვილი** (11 თამაში). I დივიზიონის „ანდიჟონში" კი, რომელიც უმაღლესში დაბრუნდა, 31 წლის ფორვარდი **ლევან მდივნიშვილი** ირიცხებოდა.

### ყაზახეთი: გავარდნას გადარჩა

დასრულდა ყაზახეთის პირველობაც. ჩემპიონატის ქვედა ექვსეულში მე-2 ადგილი დაიკავა „ატირაუმ", რომლის შემადგენლობაშიც 28 მატჩში 2 გოლი გაიტანა 30 წლის **გიორგი ფეიქრიშვილმა**. ფეიქრიშვილი 2010 წელს „ატირაუში" გამოდიოდა, მერე ორი სეზონი საქართველოში გაატარა (ტორპედო, სიონი), წლეულს კი ისევ ყაზახეთში დაბრუნდა.

ქვედა დივიზიონის „კიზილჟარში" გამოდიოდა 26 წლის ფორვარდი **დავით ჩაგელიშვილი**. ამ გუნდმა მე-4 ადგილი დაიკავა ჩემპიონატში

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილანის ინტერი



ერიკ ტოჰირი მონდომებით იწყებს

# 10 წლის მერე 10 საუკეთესო კლუბში

## ერიკ ტოჰირის გლობალური გეგმები

**ბიზნესმენთა ოჯახში დაბადებულ-გაზრდილმა და წინაპრების გზის გამგრძელებელმა ერიკ ტოჰირმა, რომელიც „ინტერის" ახალი მფლობელია, მილანში ჩასასვლელად მოიცალა და გუნდი გადაიბარა. თავის დროზე სპორტით გატაცებული ტოჰირი გახდა პირველი აზიელი, რომელსაც ეკუთვნოდა NBA-ს გუნდის წილი, საუბარია „ფილადელფია სევენთისიქსერზზე". 2012 წელს ტოჰირმა თავის კოლექციას მეიჯორლიგის ბინადარი ვაშინგტონის „DC იუნაიტედი" შემატა. ახლა კი „ნერაძურის" ჯერი დადგა. მისთვის უცხო არც მედიაბიზნესია. 43 წლის ტოჰირი გლობალიზაციის მომხრეა, უცხოეთიდან ფანების მოზიდვას გეგმავს და ამავდროულად მასიმო მორატის ოჯახთან კვლავ მჭიდრო თანამშრომლობა სწადია. შეგახსენებთ, რომ იგი „ინტერის" აქციათა 70% მფლობელი გახდა.**

**- როგორ შეხვდნენ თქვენს სამშობლოში ერიკ ტოჰირს როგორც „ინტერის" პრეზიდენტს?**

- ჩემი აზრით, ამ ამბავს ძალიან კარგი გამოხმაურება მოჰყვა. გარდა პრესისა, ეს სოციალურ ქსელებშიც ჩანს. პოზიტიურ კომენტარებს არამარტო იტალიელები, ინდონეზიელებიც ტოვებენ ფანებს, ქვეყნებს შორის კარგი ურთიერთობაა.

**- თქვენ ხართ ადამიანი, რომელიც მედიას და ამ საქმეს ძალიან კარგად იცნობთ. რამდენად მნიშვნელოვანია „ინტერის" მომავლისთვის მასმედიის და კლუბის ოფიციალური არხის როლი?**

- ვფიქრობ, ბიზნესში დღესდღეობით მედია ძალიან დიდ როლს თამაშობს და თავისთავად სასიხარულოა, რომ ჩვენ უკვე გვაქვს არხი. თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ გადასახედია სტრატეგია, თუ რას და როგორ მივაწვდით მაყურებლებს, რომლებიც უნდა გვყავდნენ ინდონეზიიდანაც, აშშ-დანაც და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. ყველა უნდა დავაინტერესოთ. ისეთი ქვეყნები, რომლებსაც მთელი მსოფლიო იცნობს თავისი კულტურით, სამზარეულოთი, ფეხბურთით, ცხოვრების სტილით, არც ისე ბევრია - აშშ, ინგლისი, იტალია, საფრანგეთი... ჩვენ კიდევ უფრო უკეთ უნდა დავუკავშიროთ ხალხი იტალიას და „ინტერს". საჭიროა კლუბის მდიდარი ისტორიისა და მიღწევების შესახებ გადაცემები. ერთი სიტყვით, ყველაფერი დეტალურად უნდა დავგეგმოთ.

**- გათამაშებთ ვალტერ მაცარი დაგეგმილ ამხანაგურ მატჩში?**

- არა, მე არ ვარ კარგი ფეხბურთელი... მაგრამ ვარ კარგი მენეჯერი.

**- გულშემატკივრებს აინტერესებთ სატრანსფერო პოლიტიკა. იგეგმება ახალი ფეხბურთელების შეძენა? და დაიმატებს თუ არა „ინტერი" ინდონეზიელ მოთამაშეს?**

- ტრანსფერებზე ვიფიქრებთ და ვიმუშავებთ. ინდონეზიელ ფეხბურთელს? არა.

**- რას იტყვით როგორც ინტერის ახალი პრეზიდენტი?**

- ჩემთვის ეს ახდენილი ოცნებაა. ინდონეზიაში სერია A ბრწყინვალე პერიოდში 1980-იან წლებში შეგვიყვარდა. დიდი ყურადღებით ვადევნებდით თვალს ჩემპიონატს და განსაკუთრებით რამდენიმე კლუბს. ჩემი და ჩემი პარტნიორების არჩევანი რა საკვირველია, „ინტერი" იყო. ძალიან მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ გავაგრძელებთ

> „ჩემი მიზანია: წარმატება მინდორზე და ბიზნესში"

ნაბიჯ-ნაბიჯ და იმავე შემართებით გუნდის განვითარებას და იმ საქმის გაგრძელებას, რომელიც მისტერ მორატიმ გააკეთა ბოლო 18 წლის განმავლობაში. ეს უმნიშვნელოვანესია.

**- მაგალითად, „ბაიერნი", „დორტმუნდი" და „არსენალი ძალიან განვითარდნენ ბოლო წლებში როგორც სპორტული, ასევე ფინანსური კუთხით. როგორი იქნება „ინტერის" სტრატეგია?**

- პირველად ზუსტად ამ თემაზე ვისაუბრეთ მე და მისტერ მასიმო მორატიმ, როდესაც რამდენიმე თვის წინ ერთმანეთს მილანში შევხვდით. თუ ჩვენ გვინდა, რომ მომავალი 10 წლის განმავლობაში 10 საუკეთესო გუნდს შორის ვიყოთ, აუცილებლად უნდა გავაკეთოთ სამი რამ - მოვიგოთ, ვითამაშოთ მიმზიდველი ფეხბურთი და ვიყოთ ფინანსურად გამართულები. რასაკვირელია, მისტერ მორატისთან ერთად და „ინტერის" ტრადიციების პატივისცემითა და დაფასებით, აქტიურად დაიწყება ახალი მიმართულებით მუშაობა - ბიზნესის კუთხით. ჩემი ვიცე-პრეზიდენტი იქნება ანჯელო მარიო. ჩვენი მიზანი ამჟამად გახლავთ მოვიზიდოთ რაც შეიძლება მეტი ფანი აზიიდან, სადაც 2,5 მილიარდ ადამიანზე მეტია და აშშ-დან სადაც 250 მილიონზე ვსაუბრობთ. ცხადია, ყველა არა, მაგრამ ბევრი მათგანი უნდა გახდეს ჩვენი ოჯახის წევრი და ვფიქრობ, ეს „ინტერისთვის" ძალიან კარგი იქნება. ამ კუთხით გლობალიზაცია ფინანსურადაც წაგვადგება და ძალიან მახარებს, რომ ძირითადი საფუძველი უკვე არის, რაც მისტერ მორატისა და მწვრთნელის ვალტერ მაცარის სამთვიანი მუშაობის დამსახურებაა, რისთვისაც დიდი მადლობა მათ. თუ როგორი იქნება ჩვენი თამაში უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში უკვე გამოკვეთილია და ეს მართლაც მნიშვნელოვანია. ახლა მთავარია კარგად დავაკავშიროთ ერთმანეთთან სპორტული და ფინანსური მხარე, წარმატება მინდორზე და ბიზნესში.

**- იტალიაში ფეხბურთისადმი დიდი ვნებაა და უყვართ მმართველები, რომლებსაც თავის მხრივ, ძალიან უყვართ კლუბი და ფეხბურთი.**

- მე ყველა საქმეს ვნებით ვაკეთებ. დიდი ენთუზიაზმით და შემართებით მივედი 2001 წელს მედიაბიზნესში და იგივეა სპორტთან, კერძოდ „ინტერთან" მიმართებაშიც. სხვაგვარად საქმეს არც ვაკეთებ. შესაძლოა, ვინმეს აზრით ეს სისუსტეა, მაგრამ სწორედ ემოცია და შემართებაა, რაც მატარებს ყოველდღე ოფისში. ამიერიდან, „ინტერი" ჩემი ყოველდღიური საფიქრალია. იტალიაში არ ვცხოვრობ და თამაშებზე დასწრების პრობლემაც არის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ შემართება მაკლია. სერია A-ში მატჩების ნაწილი ინდონეზიის დროით გვიან ღამით იწყება ხოლმე, მაგრამ მე ვუყურებდი ამ მატჩებს, ვნერვიულობდი, ვრეკავდი, ვგზავნიდი მესიჯებს. ახლა კი ერთმანეთს კიდევ უფრო მჭიდროდ უნდა დავუკავშირდეთ, ახალი ხელმძღვანელობა, მისტერ მორატი და მთლიანად ოჯახი.

**- როგორც ირკვევა ჩემპიონთა ლიგის 2016 წლის ფინალი მილანში იქნება. ითამაშებს თუ არა „ინტერი" იმ მატჩში?**

- ეს ყველასათვის გამოწვევაა. ეტაპობრივად უნდა განვვითარდეთ და მოვუმატოთ იმისთვის, რომ 2016 წელს ფინალში ვიყოთ. თუმცა ეს ადვილი არ იქნება, ყველამ ერთად ძალიან ბევრი უნდა ვიმუშაოთ. ვიტყოდი, რომ ჯერ მთავარია ამ სეზონზე მოვახდინოთ კონცენტრაცია, რადგან ახლა უაღრესად მნიშვნელოვანი პერიოდია, გარდამავალი როგორც ახალი, ასევე წინა მმართველობისთვისაც და არ დაგვავიწყდეს, ფეხბურთელებისთვისაც. ერთად, თან კარგად მუშაობა უნდა ვისწავლოთ. თუ ყველანი მოვინდომებთ, შეგვიძლია მსოფლიოში საუკეთესოთა შორის ვიყოთ.

ამბები

## ქუინზ პარკის დილემა

ინგლისური „ქუინზ პარკ რეინჯერსი" შესაძლოა 62 მილიონი გირვანქით დაჯარიმდეს. საქმე ისაა, რომ 2012-2013 წლების სეზონი გუნდმა 80-მილიონიანი დანაკარგით დაასრულა, რაც არც არის გასაკვირი მის მიერ მაღალაანზღაურებადი ფეხბურთელების შეძენისა და მათთან სარფიანი კონტრაქტების გაფორმების გამო. ერთი სიტყვით, კლუბმა ფინანსური ფეარ პლეი დაარღვია და ხსენებული სეზონის ანგარიშზე პასუხი 2015 წელს უნდა აგოს, როდესაც ახალი კანონი ამოქმედდება. გუნდებს ფიქსირებული 18-მილიონიანი ბიუჯეტის ზემოთ დახარჯულ ყოველ მილიონზე +1 მილიონის ჯარიმის სახით გადახდა მოუწევთ. შესაბამისად, ქპრ-ს რომელმაც 80 მილიონი იზარალა, 62-მილიონიანი გადახარჯვა გამოსდის და ამდენივე უნდა გადაიხადოს, ოღონდ თუ ამ სეზონში პრემიერლიგის საგზურს მოიპოვებს და 2015 წლისთვის ანუ შემდეგ სეზონში ელიტაში ითამაშებს. ამრიგად, ცოტა პარადოქსული სიტუაცია იქმნება - კლუბს არ აწყობს, რომ უმაღლეს ლიგას დაუბრუნდეს, რადგან ეს ჯარიმას საერთოდ აარიდებს თავიდან ანდაც გადახდას გადაუვადებს. თუმცა იდეალური გამოსავალი ვერც ეს არის, რადგან ამ შემთხვევაში შესაძლოა ქპრ გადასახადებისგან თავის ძალით არიდებაში დადანაშაულდეს და ახალი ფეხბურთელების დამატება დიდი ხნით აეკრძალოს.

## ჰიდინკს ფეხბურთი მოენატრა



გუს ჰიდინკი

**გუს ჰიდინკმა** 22 ივლისს მახაჩკალის „ანჟი" დატოვა და მას მერე უმუშევარია. როგორც ირკვევა, ჰოლანდიელს მობეზრდა უქმად ყოფნა, ფეხბურთი მოენატრა და ყველას თავი შეგვახსენა.

*„რასაკვირველია, კარგია როდესაც რამდენიმე თვე ისვენებ და სხვა საქმით ხარ დაკავებული. თუმცა ახლა ვგრძნობ, რომ მაქვს ენერგია და სურვილი ფეხბურთში დაბრუნებისა. კონკრეტულად რა სახით, ჯერ არ ვიცი. ისევ მწვრთნელად ვიმუშავებდი სადმე. ჩემით ავსტრალიის ნაკრები გახლდათ დაინტერესებული, მაგრამ ეს ის არ იყო, რაც ამ ეტაპზე მინდა"* - ამბობს 67 წლის ჰიდინკი.

## ინტერი კამბიასოს ემშვიდობება?

**ესტებან კამბიასო**, რომელიც 2004 წლის მერე, მილანის „ინტერის" წევრი და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა, შესაძლოა სეზონის ბოლოს გუნდიდან წავიდეს. მოგეხსენებათ, „ნერაძურიში" ახალი ხელმძღვანელობა მოვიდა. 33 წლის არგენტინელს გუნდთან მოქმედი კონტრაქტი 2014 წლის ზაფხულზე ეწურება და თავისუფალი აგენტი ხდება. როგორც მისი ძმა და აგენტი **ფედერიკო** ამბობს, განიხილება „რივერ პლეიტში" დაბრუნების საკითხი. იქ კამბიასომ 2001-2002 წლების სეზონი გაატარა, 12 გოლი გაიტანა და „კლაუსურა" მოიგო.

## კონოპლიანკამ რიბერის მეუღლეზე იხუმრა

უკრაინის ნაკრების ნახევარმცველი **ევგენი კონოპლიანკა** საფრანგეთზე გამარჯვებით ისეთი გახარებული იყო, რომ ცოტა არაკორექტული განცხადებაც კი გამოუვიდა.

*„ყველას ყოჩაღ! ზოზულიას ყოჩაღ, ფედეცკის ყოჩაღ! „ოქროს ბურთი" ფედეცკის უნდა მისცენ და არა რიბერის. მართალია რიბერის ცოლმა „ოქროს ბურთისთვის" უკვე მოამზადა ვაზა, მაგრამ არა უშავს, შიგნით ყვავილებს ჩააწყობს. რატომ არ იძლევა ზოზულია ინტერვიუს? მან დათქვა, რომ თუ მსოფლიოს ჩემპიონატზე გავალთ, პრესასთან საუბარს მერე განაახლებს,"* - განაცხადა კონოპლიანკამ.

შეგახსენებთ, რომ უკრაინელებმა მე-9 საპლეიოფო მატჩი გამართეს და პირველად მოიგეს, თანაც 2:0 - ანგარიშით, რომელიც პლეი ოფში არავის მოუბრუნებია. საპასუხო მატჩი 19 ნოემბერს პარიზში გაიმართება.

გვერდი მოამზადა
**გიორგი კაკაბაძემ**



კონოპლიანკა ფრანგების წინააღმდეგ მატჩში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავი


ანდრეა პირლო

# პირლო იუვედან წასვლას არ გამორიცხავს

## აძურა მუნდიალის ფავორიტებს არაფრით ჩამორჩება

**იტალია-გერმანიის ამხანაგურ შეხვედრაში ანდრეა პირლომ კიდევ ერთხელ მოახდინა კლასის დემონსტრირება და გვაჩვენა, რომ მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატზე სწორედ ის იქნება „სკუადრა აძურას" ხერხემალი. მატჩის შემდეგ ანდრეა „კორიერე დელო სპორტს" გაესაუბრა და თამაშის გარდა, სხვა საინტერესო თემებზეც გაამახვილა ყურადღება.**

### ნაკრები

იტალიის ნაკრების სამუნდიალო შანსებს ბევრი სკეპტიკურად უყურებს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ასეა თითქმის ყველა დიდი საფეხბურთო ფორუმის წინ. კარგად მახსოვს, მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატამდეც არავის სჯეროდა ჩვენი წარმატების და დაახლოებით ანალოგიური ვითარება იყო ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის დაწყებამდე. გერმანელებთან შეხვედრაში ნათლად გამოჩნდა, რომ მუნდიალის ფავორიტებს ბევრი არაფრით ჩამოვრჩებით. პირადად მე, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და მჯერა, რომ უმაღლესი მიზნისთვის ვიბრძოლებთ.

### სკუდეტოსთვის ბრძოლა

ჯერჯერობით, საუკეთესო ფეხბურთს „რომა" აჩვენებს და ეს მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ორ ტურში ქულები დაკარგეს. დედაქალაქელებს ძლიერი დაცვა და სახიფათო შეტევა ჰყავთ, რასაც მოაქვს კიდეც შედეგი. თუმცა, არც ჩვენ ვართ ნაკლებნი და ვფიქრობთ, სკუდეტოს მოპოვების კარგი შანსი გვაქვს. წესით, ჩემპიონობისთვის ბრძოლა სამ გუნდს შორის უნდა გაჩაღდეს. მესამე, რა თქმა უნდა, „ნაპოლია". უნდა მივაქციოთ ყურადღება „ფიორენტინასაც", რომელიც **მარიო გომესის** გარეშეც ახერხებს ძლიერი მეტოქეების დამარცხებას. ვფიქრობ, სკუდეტოსთვის ბრძოლა უპრეცედენტოდ საინტერესო იქნება.

### მომავალი

„იუვენტუსიდან" ჩემს შესაძლო წასვლაზე ბევრს საუბრობენ და უნდა ვაღიარო, რომ ეს თემა ჩემთვისაც აქტუალურია. სეზონის ბოლოს, ტურინულ გრანდთან კონტრაქტი მიმთავრდება და ჯერ კიდევ არ ვიცი, სად გავაგრძელებ კარიერას. დიდი შანსია, „ბიანკონერიში" დავრჩე, თუმცა არც წასვლას გამოვრიცხავ. არა იმიტომ, რომ გუნდის მწვრთნელთან და კლუბის მესვეურებთან კონფლიქტი მაქვს, შესაძლოა, უბრალოდ ახალი გამოწვევა მივილო. თუმცა, დღეს ამ თემაზე ლაპარაკი ნაადრევია.

### მილანი

„მილანიდან" წასვლა არასდროს მინანია და ეს მიუხედავად იმისა, რომ ამ გუნდში ჩემი გულის ნაწილი დარჩა. სამი წლის წინ, არჩევანი გავაკეთე და ვფიქრობ, რომ ამით მხოლოდ მოვიგე. სამწუხაროა, რომ „როსონერი" ღრმა კრიზისშია, მაგრამ შეუძლებელია ასე დიდხანს გაგრძელდეს - დარწმუნებული ვარ, მილანელები მალე იპოვნიან გამოსავალს. მასიმილიანო ალეგრის განკარგულებაში ბევრი მაღალი კლასის ფეხბურთელია, რომლებიც აუცილებლად ათამაშდებიან. ვფიქრობ, მილანს" ჯერ კიდევ შეუძლია მაღალი ადგილებისთვის ბრძოლა.

მილანი

# გალიანიმ პსჟ გამორიცხა

## თუ წასვლაა, მხოლოდ პოლიტიკაში წავალ

მილანური კრიზისის შესახებ ბევრი ითქვა და კიდევ უფრო მეტი დაიწერა. იტალიურ სპორტულ პრესაში აქტიურად მუსირებს აზრი, რომ თვით **ადრიანო გალიანი** დატოვებს კლუბს და მართვის სადვეებს **სილვიო ბერლუსკონის** შვილი **ბარბარა** ჩაიბარებს. ითქვა ისიც, რომ ბარბარა ბერლუსკონის მთავარი დამხმარე ამ საქმეში **პაოლო მალდინი** იქნება. ეჭვები კიდევ ერთმა ინფორმაციამ გააღრმავა, რომელიც გალიანის ფრანგულ პსჟ-ში შესაძლო გადაბარგებას ეხება. ამ თემაზე, საგანგებო კომენტარი თავად გალიანიმ გააკეთა და შემდეგი განაცხადა:

*„მე პსჟ-ში? - ეს იგივეა, რომ ამერიკის დაზვერვის აგენტი რუსთა ბანაკში გადავიდეს. ერთადერთი საფეხბურთო კლუბი, სადაც შესაძლებელია ვიმუშაო, ეს „მილანია" და ვმუშაობ კიდეც. ამ ეტაპზე, ჩემი კლუბიდან წასვლა არ იგეგმება და შესაბამისად, ახალ სამსახურს არ ვეძებ. თუმცა, ადრე თუ გვიან, შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს და მეც პოლიტიკაში წავიდე. დიახ, ეს იდეა მიტაცებს და არაა გამორიცხული, სილვიო ბერლუსკონის პარტიაში გავწევრიანდე".*

იტალიელ ჟურნალისტთა მტკიცებით, ადრიანო გალიანიმ უკვე მიიღო შეთავაზება სილვიო ბერლუსკონისგან, რომელიც პარტია „ფორცა იტალიაში" საკმაოდ მაღალ თანამდებობას ითვალისწინებს. ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს „მილანის" ვიცე-პრეზიდენტი.


ადრიანო გალიანი

ვარსკვლავი


ხოსე კალეხონი ნეაპოლში ბედნიერია

# აქ მხოლოდ ორი კლუბი არ იბრძვის

მიმდინარე სეზონში მადრიდის „რეალიდან" ნეაპოლში გადასული **ხოსე კალეხონი** შესანიშნავად ასპარეზობს და „ნაპოლის" ერთ-ერთ ლიდერად გვევლინება. 26 წლის შემტევმა იტალიური კლუბის შემადგენლობაში 12 მატჩი გამართა და 6 გოლი გაიტანა, რაც ბრწყინვალე შედეგია. მოკლედ, კალეხონის გარჯით მთელი ნეაპოლი კმაყოფილია და თავად ფეხბურთელიც არ ნანობს, რომ ესპანეთიდან იტალიაში გადაბარგდა:

*„ნეაპოლში ფეხბურთი რელიგიაა, აქ მუდმივად მაჩერებენ ქუჩაში და მთხოვენ, რომ მომდევნო თამაში მოვიგოთ. „იუვენტუსთან" თამაშის წინ, ქალაქში გავედი და სახლში ძლივს დავბრუნდი - ტიფოზები მთხოვდნენ, რომ „იუვე" მინასთან გაგვესწორებინა. სამწუხაროდ, მათი თხოვნა ვერ შევასრულეთ და მწარე მარცხი ვიწვნიეთ, თუმცა ვეცდებით, მეორე ეტაპზე რევანში ავიღოთ. ზოგადად, იტალიაში გადმოსვლით ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან აქ შესანიშნავი გარემო დამხვდა, სადაც ყველა მეგობრულად გეპყრობა. ამასთან, სერია A ძალიან საინტერესო ტურნირია, სადაც მუდმივად ორი გუნდი არ იბრძვის ჩემპიონობისთვის. ძლიერი კონკურენტები გვყავს და ერთი ფეხის დაცდენა შეიძლება ძვირად დაგიჯდეს. იმედია, სეზონს ჩავარდნის გარეშე გავივლით და დასახულ მიზნებს მივაღწევთ".*

იტალიის ნაკრები

# როსი და დე როსი ძირითადში

## ბარცალი სახლში

იტალიის ნაკრებმა გერმანიასთან ამხანაგური მატჩი ორი წამყვანი ფეხბურთელის გარეშე ჩაატარა - **დანიელე დე როსის** ტრავმა ჰქონდა, **ჯუზეპე როსი** კი შეკრებაზე მაღალი ტემპერატურით გამოცხადდა. როგორც „გაძეტა დელო სპორტი" იუწყება, ორივე გამოჯანმრთელდა და მზად არის, „სკუადრა აძურას" ნიგერიასთან პაექრობაში დაეხმაროს. ეს შეხვედრა ლონდონში დღეს გაიმართება.

ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, **ჩეზარე პრანდელი** დე როსის და როსის ძირითადი შემადგენლობისთვის მოიაზრებს. სავარაუდოდ, იტალია 4-3-3 ტაქტიკით გაირჯება, ცენტრფორვარდის პოზიციაზე **ალბერტო ჯილარდინოს** ვიხილავთ, ფლანგებიდან კი მას **ალესიო ჩერჩი** და ჯუზეპე როსი დაეხმარებიან. ანუ, პრანდელი უფრო გახსნის გუნდს და სასტარტოში ერთბაშად სამ გამოკვეთილ შემტევს გაამწესებს. შესაბამისად, თადარიგში დარჩებიან **მარიო ბალოტელი** და **პაბლო ოსვალდო**. თუმცა, ეს მხოლოდ ვარაუდებია, მთავარი სიტყვა კი სწორედ პრანდელის ეთქმის.

იტალიის ნაკრებს დანაკლისიც აქვს - **ანდრეა ბარცალიმ** გერმანიასთან პაექრობისას ტრავმა მიიღო და ნიგერიასთან თამაშს ვერ შეძლებს. მეტიც, დიდი შანსია, ანდრეამ სერია A-ს მომდევნო ტურის მატჩი გამოტოვოს, რომელშიც „იუვენტუსი" „ლივორნოს" ესტუმრება. ზუსტი დიაგნოზი უახლოეს პერიოდში გამოცხადდება და გავიგებთ, რამდენ ხანს მოუწევს უქმობა ბარცალის.


ჯუზეპე როსი ნიგერიასთან ძირითადში მოიაზრება

მოსაზრება

# ჩემპიონთა ლიგის საგზური და რომელიმე თასი

„ფიორენტინას" 36 წლის ნახევარმცველმა **მასიმო ამბროზინიმ** იტალიელ სპორტულ ჟურნალისტებს კომენტარი მისცა და განაცხადა, რომ მიმდინარე სეზონში, მისი გუნდის მიზანი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება და რომელიმე ტურნირის მოგება იქნება:

*„სკუდეტო? - არა, სერია A-ში გაჩემპიონება მეტისმეტიად თამამი ოცნებაა. „ფიორენტინა" პროგრესირებადი გუნდია და შესაძლოა ცოტა მოგვიანებით, მაგრამ ამ ეტაპზე, სკუდეტოს ვერ შევწდებით. „იუვენტუსი" და „ნაპოლი" უფრო მაღლა დგანან და მოულოდნელად, მათ მარაქაში „რომაც" გაერია. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს „ინტერი", რომელიც შესანიშნავად ასპარეზობს. ჩვენი მიზანი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება და რომელიმე ტურნირის მოგებაა - თუ იტალიის თასსაც მოვიგებთ და ევროპალიგასაც, ეს უკვე ბრწყინვალე შედეგი იქნება. რამდენ ხანს ვაპირებ ფეხბურთის თამაშს? - სიმართლე გითხრათ, ამ თემაზე არ მიფიქრია. დღეს თავს კარგად ვგრძნობ და ენთუზიაზმის ნაკლებლობას არ ვუჩივი, ხვალინდელ დღეზე კი ხვალ ვიფიქრებ".*


მასიმო ამბროზინი კარიერის დასრულებაზე არ ფიქრობს

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გერმანიის ნაკრები

# იტალიასთან ამხანაგურს ხედირა შეეწირა



## სამის ოპერაცია უკვე გაუკეთეს, მუნდიალზე მისი გამგზავრება ძალიან საეჭვოა, თუმცა იმედი მაინც არის



იოახიმ ლიოვი და გერმანია შოკშია: სამი ხედირა იტალიასთან მძიმედ დაშავდა და დიდი შანსია, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ იასპარეზოს

იტალიასთან ამხანაგური მატჩის შემდეგ, რომელიც **იოახიმ ლიოვისთვის** ბუნდესმწვრთნელის რანგში მეასე იყო და რომელიც ფრედ 1:1 დასრულდა (შაბათის ნომერში ვწერდით), გერმანიის ნაკრებმა მცირე ბანკეტი მოიწყო - ლიოვმა და მისმა გუნდმა ვახშამზე იტალიური წითელი ღვინით ისიამოვნა, მაგრამ გერმანელებს ხასიათი ამ ვახშამმაც ვერ გამოუკეთა. **სამი ხედირას** ძალიან სერიოზულმა ტრავმამ არა მარტო გერმანიის ნაკრები, არამედ მთელი საფეხბურთო გერმანია და ცხადია, მადრიდის „რეალის" ხელმძღვანელები და გულშემატკივრებიც დაამწუხრა. ხედირას ოპერაცია შაბათსვე გაუკეთეს, მაგრამ ცხადია, რომ მისთვის ეს სეზონი უკვე დამთავრებულია და ძალიან საეჭვოა, რომ სამიმ მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზოს, რაც ბუნდესგუნდისთვის უდიდესი დანაკლისი იქნება.

26 წლის ხედირა ვეტერან **ანდრეა პირლოსთან** ორთაბრძოლისას დაშავდა, თუმცა პირლოს ამაში ბრალი არ მიუძღვის. პარასკევს საღამოს ჩატარებულმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ხედირას მარჯვენა მუხლის წინა და შიდა მყესები გაუწყდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მის გამოჯანმრთელებას დაახლოებით 6 თვე დასჭირდება, მსოფლიოს ჩემპიონატის სტარტამდე კი ექვს თვეზე ოდნავ მეტია დარჩენილი. გერმანიის ნაკრების მთავარი ექიმის, **ჰანს-ვილჰელმ მიულერ-ვოლფარტის** თქმით, არსებობს მცირეოდენი შანსი და იმედი, რომ ხედირა მუნდიალამდე გამოჯანმრთელებას და ფორმაში შესვლას მოასწრებს, მაგრამ ამისათვის პატარა სამედიცინო სასწაულია საჭირო.

*„ეს სამისთვის, ჩვენთვის და მადრიდის „რეალისთვის" უდიდესი დარტყმაა. ხედირა არა მარტო მოედანზე, არამედ მოედნის მიღმაც ძალიან საჭირო კაცია. სამი ბუნებით ოპტიმისტია, რაც, შესაძლოა, მას გამოჯანმრთელების პროცესის დაჩქარებაში დაეხმაროს. იმედს ვიტოვებ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე მისი წაყვანა მოხერხდება,"* - განაცხადა ლიოვმა.

### ლიოვი ლამს პირველ რიგში მარჯვენა მცველად ხედავს

აღსანიშნავია, რომ გერმანიის ნაკრებს ახლა საკადრო პრობლემები სწორედ ნახევარდაცვის ცენტრში აქვს, რადგან **ბასტიან შვაინშტაიგერი** და **ილქაი გიუნდოგანიც** ტრავმირებულები არიან. მილანში, იტალიასთან, ლიოვმა „ბაიერნის" მწვრთნელ **ხოსეპ გვარდიოლას** მიბაძა და ხედირასთან ერთად, საყრდენ ნახევარმცველად **ფილიპ ლამი** ათამაშა, თუმცა მატჩის წინ განმარტა და მატჩის შემდეგაც გაიმეორა, რომ ლამის ადგილს პირველ რიგში მარჯვენა მცველის პოზიციაზე ხედავს, ამ შემთხვევაში კი ფილიპი საყრდენად უბრალოდ გამოვცადე, რადგან მინდოდა გამეგო, როგორ იმუშავებდა „ბაიერნის" ტაქტიკური ვარიანტი გერმანიის ნაკრებშიო.

ამრიგად, მუნდიალზე ლამი საყრდენად შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ვიხილოთ, თუ ლიოვს სხვა გამოსავალი არ ექნება. იტალიასთან მატჩის შემდეგ კი გაიზარდა იმის შანსი, რომ იოგის სხვა გამოსავალი არ დარჩეს.

### ჰიოვედესი მარჯვნივ კარგი იყო

იტალიასთან მარჯვენა მცველის პოზიციაზე საკმაოდ კარგად ითამაშა **ბენედიქტ ჰიოვედესმა**, რომელიც „შალკეში" ცენტრალური მცველია. და საერთოდ, „სკუადრა აძურასთან" გერმანიის ნაკრების ბოლო დროს არაერთგზის გაკრიტიკებულმა დაცვამ საკმაოდ დამაჯერებლად ითამაშა. განსაკუთრებით ცენტრალური მცველები, **მატს ჰუმელსი** და **ჟერომ ბოატენგი** გამოირჩეოდნენ, ეს უკანასკნელი იტალიელთა მთავარ დამრტყმელ ძალას, **მარიო ბალოტელის** შესანიშნავად მეურვეობდა და ფაქტობრივად არაფერი გააბედინა. ბოატენგი ზოგადად მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი გახლდათ.

სამაგიეროდ, გერმანიის ნაკრებს წინა ხაზი არ უვარგოდა: აშკარაა, რომ **მიროსლავ კლოზეს** და **მარიო გომესის** არყოფნაში, ცენტრფორვარდის პოზიციაზე **მარიო გიოტცეს** გამწესებამ არ გაამართლა. ეს უკანასკნელი ცენტრალური თავდამსხმელი არცაა, მაგრამ წინ არაერთხელ უთამაშია და ლიოვმა კიდევ ერთხელ სცადა, მაგრამ საბოლოოდ დარწმუნდებოდა, რომ ამ ვარიანტს მომავალი არ აქვს.

### ინგლისთან ნოიერის, ლამის და იოზილის გარეშე

რაკი კლოზე და გომესი ტრავმირებულები არიან ხვალ ინგლისთან ამხანაგურ შეხვედრაში ცენტრფორვარდის პოზიციაზე თავისი შესაძლებლობების დამტკიცების შანსი „გლადბახის" „ათიანს", **მაქს კრუზეს** მიეცემა. უკვე ცნობილია, რომ „უემბლიზე" ბუნდესგუნდის ძირითად შემადგენლობაში ვიხილავთ **მარკო როისს** და **მარსელ შმელცერსაც**. ბრუნდება გამოჯანმრთელებული **პერ მერტეზაკერიც**.

სამაგიეროდ, ლიოვმა ნაკრებიდან **მესუთ იოზილი, ფილიპ ლამი** და **მანუელ ნოიერი** გაათავისუფლა. იოზილს ისედაც ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემა და იტალიასთან თამაშში მხოლოდ მეორე ტაიმში ჩაერთო, ლამს მომავალ უქმეებზე „ბაიერნთან" ერთად დორტმუნდის „ბორუსიასთან" უმნიშვნელოვანესი თამაში ელის, ნოიერის გათავისუფლება კი იმაზე მიუთითებს, რომ ლიოვს ინგლისთან **რომან ვაიდენფელერისთვის** შანსის მიცემა უნდა.

*„ინგლისთან ექსპერიმენტირების ბოლო შანსი მოგვეცემა, ახალი წლიდან ამის დრო აღარ იქნება. ლამი, ნოიერი და იოზილი ძირითადი შემადგენლობის მყარი წევრები არიან, ინგლისთან კი სხვა ფეხბურთელების გამოცდა მინდა,"* - აღნიშნა ლიოვმა, რითაც ფაქტობრივად დაადასტურა, რომ ვაიდენფელერის დებიუტი ბუნდესგუნდში სწორედ ლონდონში შედგება.

**გოტფრიდ ლენცი**

● საავარაუდო ტრანსფერი

# ტორესი ფალკაოს ხურდაში?



რადამელ ფალკაო

ბრიტანული წყაროების მტკიცებით ლონდონის „ჩელსის" თავკაც **ჟოზე მოურინიოს** მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, „სტემფორდ ბრიჯზე" კოლუმბიელი **რადამელ ფალკაო** წაიყვანოს.

„მონაკო" კოლუმბიელის სანაცვლოდ 52 მილიონ ფუნტ სტერლინგს ითხოვს, „ჩელსი" კი ამ თანხის შოვნას ნაწილობრივ **ფერნანდო ტორესის** გაყიდვით აპირებს.

ჟოზე მოურინიო თავად დაესწრო კოლუმბიისა და ბელგიის ნაკრებთა მატჩს და ფალკაოს დააკვირდა. არ არის გამორიცხული ტორესი სწორედ „მონაკოში" აღმოჩნდეს ფალკაოს ტრანსფერის „ხურდად".

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ამხანაგური მატჩი

# 50 ათასი ესპანელთა კარში გატანისთვის

| ეკ. გვინეა-ესპანეთი | 1:2 |
| --- | --- |

**გოლები:** 0:1 კასორლა (13), 1:1 ჯ. ბერმუდესი (36), 1:2 ხუანფრანი (43)

**ესპანეთი (4-1-2-2-1):** რეინა - ხუანფრანი, ბერტრა, ი. მარტინესი (80. სერხიო რამოსი), ა. მორენო - ჩაბი ალონსო (43. ბუსკეტსი) - კასორლა (58. ვილია), კოკე (57. ინიესტა) - ხესუს ნავასი (66. პედრო), მატა - ნეგრედო (46. ლორენტე)

ეკვატორული გვინეის დედაქალაქ მალაბოში ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად ესპანეთის ნაკრები ჩავიდა. ეკვატორული გვინეა წლების განმავლობაში ესპანეთის კოლონია გახლდათ და არც არის გასაკვირი, რომ ამ ქვეყნის ნაკრებში რამდენიმე ესპანელი ფეხბურთელი თამაშობს. **ემილიო ნსუე, როდოლფო ბოდიპო, ივან ბოლადო, ხავიერ ბალბოა** - ეს ფეხბურთელები ლა ლიგის მოყვარულებს კარგად უნდა ეცნობოდეთ. მასპინძელთა მთავარი მწვრთნელი კი **ანდონი გოიკოეჩეა** გახლავთ. თამაშის ბინძური სტილის გამო, მას „ყასაბი ბილბაოდან" შეარქვეს. გოიკოეჩეას, თავის დროზე, არაერთი ფეხბურთელი დაუმტვრევია, სახელი კი **დიეგო მარადონასთვის** ფეხის მოტეხვით გაითქვა. როგორც ჩანს, ბასკის საუკეთესო მოსწავლე **ტიერი ფიჯუ** გახლავთ - ავსტრიული „ჰორნის" ფეხბურთელმა პირველ ტაიმში რამდენჯერმე იუხეშა და გაძევებას გვინეელი არბიტრის მიკერძოების გამო გადაურჩა, ტაიმის ბოლოს კი 31 წლის ფეხბურთელმა **ჩაბი ალონსოს** ტრავმა მიაყენა, რის გამოც „რეალის" საყრდენმა მოედანი დატოვა. საბედნიეროდ, ალონსოს ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა და ის მოედანს მალე დაუბრუნდება.

მასპინძლების აგრესიულ სტილზე მატჩის შემდეგ **ვისენტე დელ ბოსკემაც** ისაუბრა: *„უცნაური მატჩი გამოდგა. მეტოქე ფიზიკურად კარგად იყო მომზადებული და იოლად არაფერს გვითმობდა. გვინეელთა აგრესიული მოქმედებების წყალობით, ისე ვერ ვითამაშეთ, როგორც გვსურდა".*

თავად თამაშზე კი სათქმელი ბევრი არაფერია. „ფურია როხა" თავს არ იკლავდა და თამაშის საშუალებას მეტოქესაც აძლევდა. შედეგადად, კოლუმბიაში დაბადებულმა **ჯიმი ბერმუდესმა**, რომელიც ეკვადორულ „ლდუ ლოხაში" თამაშობს, თავური დარტყმით გოლიც გაიტანა, რის გამოც 50 ათასი ევროც მიიღო. ესპანელთა მხრიდან თავი **სანტი კასორლამ** და **ხუანფრანმა** გამოიჩინეს. ამ უკანასკნელმა ნაკრებში პირველი გოლი გაიტანა.

სხვათა შორის, ხუანფრანი მცველებს შორის ყველაზე გამოცდილი გახლდათ - ეს მატჩი მისთვის მეშვიდე იყო. **ინიგო მარტინესი** და **ალბერტო მორენო** ნაკრებში მეორედ თამაშობდნენ, **მარკ ბარტრას** კი სულაც დებიუტი ჰქონდა.

მომდევნო ამხანაგურ მატჩს ვისენტე დელ ბოსკეს გუნდი სამშაბათს, სამხრეთ აფრიკის ნაკრებთან გამართავს.

**ტატო ბაციკაძე**



ესპანელთა კარში გოლი ბერმუდესმა გაიტანა

● კურიოზი

# როგორ აერიათ მედოლე მანოლო დელ ბოსკეში

16 ნოემბერს ესპანეთის ეროვნულმა ნაკრებმა ეკვატორულ გვინეაში ამხანაგური მატჩი გამართა და 2:1 მოიგო. მატჩის დღეს კი ერთი კურიოზული ფაქტი მოხდა. ბევრს მოეხსენება ვინ არის **მანოლო** - „ვალენსიას" და ესპანეთის ნაკრების თავგადაკლული ფანი, რომელიც „ფურია როხას" თამაშებს არ აცდენს (თბილისშიც ბრძანდებოდა) და ყველას თავისი უზარმაზარი დოლით ახსოვს.

მანოლო ამ შეხვედრაზეც გაჰყვა საყვარელ გუნდს და მალაბოს აეროპორტში ესპანეთის ნაკრების დასახვედრად მისულ ფანებს **ვისენტე დელ ბოსკეშიც** აერიათ. მანოლოს აფრიკელებმა წრე დაარტყეს და „დელ ბოსკე, დელ ბოსკეს" შეძახილებით.

ფანებს ბოლოს ისე გაუტკბათ „დელ ბოსკესთან" ურთიერთობა, რომ „მარკა" წერს, გვინეელ პოლიციელებს რომ არ ეყოჩაღათ, მანოლოს მათგან თავის დაძვრენა გაუჭირდებოდაო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




მანოლო საყვარელ ნაკრებს ყველგან თან დაჰყვება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის ნაკრები

# ჯილდო დამსახურებისთვის

**ფრენკ ლამპარდისთვის** ჩილეს ნაკრებთან შეხვედრა 103-ე აღმოჩნდა ეროვნულ გუნდში. მოქმედ ფეხბურთელებს შორის მასზე მეტჯერ „სამი ლომის" შემადგენლობაში მხოლოდ **სტივენ ჯერარდსა** და **ეშლი კოულს** უთამაშიათ. ასეულის კლუბის წევრები, ეგრეთ წოდებული „ცენტურიონები", ფრენკის გარდა ინგლისს სულ 7 ჰყავს: **პიტერ შილტონი** (125), **დევიდ ბექჰემი** (115), **ბობი მური** (108), სტივენ ჯერარდი (107), **ბობი ჩარლტონი** (106), ეშლი კოული (105), **ბილი რაიტი** (105).

ლამპარდმა მეასე საიუბილეო შარშან უკრაინასთან ფრედ დასრულებულ შეხვედრაში ითამაშა, თუმცა ჯილდო მხოლოდ პარასკევის მატჩის დაწყებამდე გადასცეს. *„ამ მიღწევისთვის დიდი დრო დამჭირდა. 100 თამაშის ჩატარება ნაკრებში განსაკუთრებული მოვლენაა. ჩემამდე ეს სიმაღლე ჯერარდმა და კოულმაც გადალახეს. ცერემონიალზე სერ ჯეფ ჰერსტის (1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ჰეთთრიკის ავტორი) მოწვევის იდეა ასოციაციაში გაუჩნდათ. ცხადია, ჩემთვის ეს პატივი იყო. მამაჩემი კი თავად დავპატიჟე. მისგან იმდენად დავალებული ვარ, მან თავადაც იცის, რომ რაღაც წილად ნაკრების გმირი ისიც არის,"* - განაცხადა ვეტერანმა.

35 წლის ნახევარმცველმა კომენტარი შეხვედრის დასრულების შემდეგაც გააკეთა. მოგეხსენებათ, სამხრეთამერიკელებმა **ალექსის სანჩესის** დუბლის წყალობით იმარჯვეს: *„წაგება არავის უყვარს, თუმცა ვფიქრობ, ასეთი მარცხის შემდეგაც კი შეგვიძლია დადებითის დანახვა. ვერც უარყოფითს გავექცევით. მეტოქეს საშუალება მივეცით, უამრავი საგოლე მომენტი შეექმნა. არადა, უნდა გვხსომებოდა, რომ ის მაღალი დონის იყო. ჩილემ რადიკალურად განსხვავებულ სტილში ითამაშა, ვიდრე შეჩვეულები ვართ. მეორე მხრივ, თამაში კარგი საყურებელი გამოდგა. პირველი ტაიმის შემდეგ ანგარიში შეიძლებოდა 2:2 ან 3:3 ყოფილიყო. მოედანზე საუკეთესო სტუმართა მეკარე კლაუდიო ბრავო იყო. ჩვენგან კი ადამ ლალანას გამოვყოფდი, ვინც ყველაზე ცოცხლად გამოიყურებოდა, სანამ არ შეცვლიდნენ. ორშაბათს „უემბლიზე" უკვე ტოპგუნდთან გვიწევს თამაში. გერმანიასთან ნამდვილად უკეთ თამაში გვმართებს".*

## გერმანიასთან ჰარტის იმედად

ინგლისის ნაკრების თავკაცმა დაადასტურა, რომ ჩილესგან განსხვავებით, გერმანიის ნაკრებთან თამაშს ძირითადში **ჯო ჰარტი** დაიწყებს. მოგეხსენებათ, არადამაჯერებელი თამაშისთვის 26 წლის კარის დარაჯმა „მანჩესტერ სიტის" უკანასკნელი 4 შეხვედრა სათადარიგოთა სკამზე გაატარა. *„როდესაც ინგლისის ნაკრების ფორმა გაცვია, ერთი მხრივ ეს უზარმაზარი პასუხისმგებლობა, მეორე მხრივ კი სერიოზული ტესტია ნებისმიერისთვის. დარწმუნებული ვარ, რომ ჯოს ეს კარგად ესმის და მზად არის ზეწოლისთვის,"* - აცხადებს **ჰოჯსონი**.

ერთია, თუ რას ფიქრობს ჰარტზე ინგლისელთა მთავარი მწვრთნელი, ხოლო მეორე - „სიტის" დამრიგებელი **მანუელ პელეგრინი**. „ტელეგრაფის" ცნობით, „ქალაქელთა" ჩილელმა თავკაცმა იანვარში „ქუინზ პარკიდან" **ჟულიო სეზარის** ყიდვა და ჰარტის გასხვისება გადაწყვიტა. მართალია, ბოლო შეხვედრებში უკანასკნელი არ თამაშობს, თუმცა „სიტიში" არც **კოსტელ პანტილიმონის** იმედად დარჩენას აპირებენ.

## კიდევ ერთი ტრავმა

ინგლისის ნაკრებმა ჩილესთან მეორე ტაიმში საზარდულის ტრავმის გამო **ფილ ჯონსი** დაკარგა. „მანჩესტერ იუნაიტედის" 21 წლის მცველის ასპარეზობა გერმანიასთან ხვალინდელ შეხვედრაში უკვე გამორიცხა. პრინციპულ დაპირისპირებაში მას ალბათ



ფრენკ ლამპარდ-უფროსმა ვაჟს საჩუქრად სიმბოლური ოქროსფერი ქუდი გადასცა

არსენალი




## ახლაც არ დასრულდება ჭორაობა?

**ვოიცეხ შჩესნი** ვარშავის „ლეგიის" აკადემიის აღზრდილია, თუმცა მის ჩამოყალიბებაში არანაკლები წილი აქვს „არსენალსაც". ჩრდილოლონდონელებმა მისი ტალანტი 2006 წელს შენიშნეს. მაშინ ვოიცეხი მხოლოდ 15 წლისა იყო. განვლილი 7 წლის განმავლობაში „ბრენტფორდში" გატარებულ 6 თვეს თუ არ ჩავთვლით, პოლონელი მხოლოდ „მეთოფეთა" ღირსებას იცავს. ვოიცეხმა სულ 121 თამაშის ჩატარება მოასწრო, რაც მისი ასაკისთვის ნამდვილად არ არის ცოტა. უქმეებზე ფეხბურთელმა უკვე მეორედ მოაწერა ხელი „არსენალთან" ხელშეკრულების გაგრძელებაზე. „ემირეიტსზე" ის 2018 წლის ზაფხულამდე დარჩება. არსენ ვენგერი იმედოვნებს, რომ ეს ფაქტი მაინც დააცხრობს ჟურნალ-გაზეთებში აგორებულ ჭორების ტალღას, თითქოს კლუბი ახალ მეკარეს ეძებს.

ვოიცეხ შჩესნი: *„ბედნიერი ვარ, რომ კლუბთან თანამშრომლობა გავაგრძელე. „არსენალი" ჩემი მეორე სახლია და მიხარია, რომ მომავალი მასთან კიდევ დიდი ხნით დავაკავშირე. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა ვუთხრა ყველას, ვინც მთელი ამ წლების განმავლობაში მხარში მედგა. ლონდონში პირველად ჩამოსვლის შემდეგ ხომ უამრავი ადამიანი დამიდგა გვერდში".*

**არსენ ვენგერი**: *„მოხარულები ვართ, რომ ვოიცეხმა დარჩენა გადაწყვიტა. ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ის უნიჭიერესი ფეხბურთელია, ვისაც განსაკუთრებულად ძლიერი ხასიათი აქვს. ის დღემდე აგრძელებს ზრდას პროფესიულ ასპარეზზე. მას შეუძლია ბევრად უფრო ძლიერი გახდეს თავის საქმეში".*

ამბები

## დე ბრუინი მზად არის

**კევინ დე ბრუინი** მზად არის, „ჩელსიდან" იჯარით წასვლას დათანხმდეს, თუმცა იმედი აქვს, რომ იანვრამდე შეძლებს დამტკიცებას, რომ გუნდს ჯერ კიდევ სჭირდება. აი, რას ამბობს 22 წლის ბელგიელი: *„მე „ჩელსის" ფეხბურთელი ვარ და იმას, თუ სად ვითამაშებ, სწორედ კლუბი წყვეტს. იანვარში რა შეიძლება მოხდეს, ამ თემაზე არავისთან მილაპარაკია, თუმცა ჯერ ნოემბერია და დრო კიდევ მაქვს სიტუაციის გამოსასწორებლად. იმას, რომ ამ ზაფხულზე ლონდონში დავრჩი, არ ვნანობ. ჩანს, რომ მწვრთნელს მოეწონა ჩემი თამაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მე აქ არ ვიქნებოდი. მესმის, რომ უთამაშებელი ფეხბურთელისთვის ნაკრებში დაძახება ავანსია. თუკი ეს დიდხანს გაგრძელდა, ერთ დღეს უკვე აღარავის გავახსენდები. ასე რომ, ბევრი რამ მაქვს გასათვალისწინებელი. მთავარია, რომ ძველებურად ბევრს ვმუშაობ და არც საკუთარი თავის რწმენა დამიკარგავს".*

## ერიქსენი ახალ წლამდე დაისვენებს

„ტოტენჰემის" 21 წლის გამთამაშებელმა **კრისტიან ერიქსენმა** კოჭის ტრავმა ნორვეგია-დანიის (1:2) შეხვედრის პირველ ტაიმშივე მიიღო და წინასწარი მონაცემებით ახალ წლამდე მოუწევს პაუზის აღება. ყოველ შემთხვევაში ასე ვარაუდობს დანიელთა მთავარი მწვრთნელი **მორტენ ოლსენი**.

## ტერის დათმობაზე წასვლა მოუწევს

„დეილი მეილის" მტკიცებით, თუკი **ჯონ ტერის** „სტემფორდ ბრიჯზე" დარჩენა სურს, მას ამჟამინდელი ხელფასის სოლიდურ წილზე მოუწევს უარის თქმა. მოქმედი ხელშეკრულებით დასავლეთლონდონელები კაპიტანს კვირაში 165 ათას ფუნტს უხდიან, ხელმოსაწერად კი სთავაზობენ კონტრაქტს, რომლის თანახმადაც მხოლოდ 100 ათასს მიიღებს. რაც შეეხება კონტრაქტის ხანგრძლივობას: მოგეხსენებათ, „ჩელსის" „კანონების თანახმად" 30 წლის ზემოთ ვერც ერთი მოთამაშე 1-წლიანზე ხანგრძლივ ხელშეკრულებას ვერ მიიღებს.

## ფლამინიმ ტრადიცია დაარღვია

„დეილი სტარის" ინფორმაციით, წინა კვირას „ოლდ ტრეფორდზე" შეხვედრის დასრულების შემდეგ „არსენალის" პერსონალსა და **მატიო ფლამინის** შორის ინციდენტი მოხდა. **ვიკ აკერსმა** (გუნდის ერთ-ერთი მენეჯერი) და მატიომ ერთმანეთს უცენზურო სიტყვებით მიმართეს. ამის მიზეზი 29 წლის ფეხბურთელის მიერ „მეთოფეთა" ტრადიციის უგულებელყოფა გახადა. ფრანგმა ნახევარმცველმა მოედანს მოკლესახელოებიანი მაისურით მიაშურა, მაშინ როცა დანარჩენების ფორმა გრძელი სახელოებით იყო. ტრადიციის თანახმად კი მსგავს გადაწყვეტილებას მოედანზე გასვლამდე გუნდის კაპიტანი იღებს. ფლამინიმ **ტომას ვერმალენის** თხოვნა არ შეასრულა, მეტიც, მან მაისურას სახელოები უბრალოდ მოაჭრა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

მანჩესტერ იუნაიტედი

# მანჩესტერი VS ბელგიის ნაკრები
# დაპირისპირება ფელაინის გამო

**მარუან ფელაინის** ტრავმირებული მაჯა უკვე დიდი ხანია, აწუხებს. როდის უნდა გაიკეთოს ოპერაცია 25 წლის ნახევარმცველმა, ამის თაობაზე „მანჩესტერ იუნაიტედსა" და ბელგიის ფეხბურთის ფედერაციაში განსხვავებული გეგმები აქვთ. არსებობს დროებითი გამოსავალიც, თუმცა ის ნაკლებად ეფექტურია და თანაც მარუანს ლამის ერთ თვემდე ამ შემთხვევაშიც გაუცდება. შესაბამისად, ამაზე მხარეები ნაკლებად ფიქრობენ. ოპერაცია, რომელიც პრობლემას ერთხელ და სამუდამოდ მოაგვარებდა, თავისთავად რთული არ არის, მაგრამ მას გრძელი სარეაბილიტაციო პერიოდი აქვს. საშუალოდ 10-12 კვირა გრძელდება. ბელგიელი ექიმები ამტკიცებენ, რომ ფელაინის ოპერაციის გადადება აღარ შეიძლება. მათ თავისი გათვლები აქვთ. სურთ, რომ ფეხბურთელს რაც შეიძლება მეტი დრო დარჩეს მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად, „იუნაიტედში" თავისი გრაფიკი აქვთ. ამ ეტაპზე „ეშმაკებს" **მაიკლ კერიკიც** დაშავებული ჰყავთ. ფელაინის გამოკლებამ კი გუნდს შეიძლება უმძიმესი დარტყმა მიაყენოს ისედაც სუსტ წერტილში. ნახევარდაცვის ცენტრი **დევიდ მოიესისთვის** მტკივნეული თემაა. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის გადამწყვეტი მატჩების გარდა შობის დღესასწაულის შემდეგ ე.წ. „ბოქსინგ დეიზი" იწყება. დატვირთული გრაფიკის პირობებში კი შოტლანდიელს თითოეული ფეხბურთელი დასჭირდება, ვისაც სირბილი შეუძლია.

## უელბეკი საოპერაციოა

„იუნაიტედის" სამედიცინო შტაბს საქმეები არ ელევა. ფელაინის გარდა მას გადასაწყვეტი აქვს **დენი უელბეკის** ოპერაციის საკითხიც. ქირურგიული ჩარევის შემთხვევაში ფეხბურთელს 4-5 კვირიანი პაუზა ემუქრება. 22 წლის თავდამსხმელს თვეზე მეტია მარჯვენა მუხლი აწუხებს და თამაშს ვინ ჩივის, სირბილსაც ვერ ახერხებს. უელბეკი სპეციალურ სამკურნალო კურსს გადის, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ. უელბეკს ანალოგიური მიზეზით ოპერაცია უკვე ორჯერ ჩაუტარდა. მედიკოსები ამჯერად გართულებებს უკვე აღარ ელოდებიან.

## შეთავაზება მექსიკელს

„დეილი სტარის" ინფორმაციით, დევიდ მოიესი 25 წლის **ხავიერ ერნანდესისთვის** ახალი, გაუმჯობესებული ხელშეკრულების შეთავაზებას აპირებს. „იუნაიტედი" „ჩიჩარიტოს" კვირაში ხელფასის 60-დან 80 ათას ფუნტამდე გაზრდას სთავაზობს. ხავიერი „იუნაიტედში" მესამე თავდამსხმელად ითვლება. მისი უმთავრესი პრობლემაც სწორედ ეს არის. ის რეგულარულ სათამაშო პრაქტიკას ითხოვს.

## ზაჰა იჯარით მიდის

20 წლის გარემარბი **ვილფრიდ ზაჰა** „მანჩესტერ იუნაიტედში" დიდი იმედებით მივიდა, თუმცა საქმე ისე არ აეწყო, როგორც წარმოედგინა. ფეხბურთელი თანაამპლუელებთან კონკურენციაში დამარცხდა და იძულებული გახდა, ახალი გუნდის ძებნა დაეწყო. თავის მხრივ მოიესს უკვე გადაწყვეტილი აქვს, რომ ზაჰას იანვარში იჯარით გაუშვებს. გასარკვევი დარჩა მხოლოდ ის, თუ სად. „დეილი მეილის" ცნობით, დიდი შანსია, „ეშმაკები" ზაჰაზე „ნიუკასლს" მოურიგდნენ. გეტყვით იმასაც, რომ იანვარში არა უბრალოდ იჯარით, არამედ „ოლდ ტრეფორდს" საბოლოოდ დატოვებენ ნახევარმცველი **ანდერსონი** (25 წლის) და მეკარე **ანდერს ლინდეგორი** (29).



მარუან ფელაინის ოპერაცია სჭირდება, თუმცა ექიმები თარილზე რიგი მიზეზების გამო ვერ თანხმდებიან

მუნდიალი 2014. აფრიკა. პლეი ოფი



სამუელ ეტოო მუნდიალზე ითამაშებს

# ნაცნობი ტრიო: ნიგერია, კოტ დივუარი, კამერუნი

| ნიგერია-ეთიოპია | 2:0 (2:1) |
|---|---|
| გოლები: 1:0 მოზესი (20-პენ), 2:0 ობინა (82) | |
| **სენეგალი-კოტ დივუარი** | **1:1 (1:3)** |
| გოლები: 1:0 სოუ (77-პენ), 1:1 კალუ (90) | |
| **კამერუნი-ტუნისი** | **4:1 (0:0)** |
| გოლები: 1:0 ვებო (4), 2:0 მუკანჯო (30), 2:1 აკაიჩი (51), 3:1 მაკუნი (66), 4:1 მაკუნი (86) | |
| **19 ნოემბერი** | |
| ალჟირი-ბურკინა ფასო | (2:3) |
| ეგვიპტე-განა | (1:6) |

**მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი დასასრულს მიუახლოვდა. აფრიკის ზონაში ორი მატჩი დარჩა გასამართი, მაგრამ აქედან ერთ წყვილში ყველაფერი უკვე გადაწყვეტილია და რეალური ბრძოლა მხოლოდ ალჟირში თუ იქნება.**

## არწივები მეხუთედ

პირველ სამ წყვილში კი გამარჯვება და მუნდიალის საგზური ნიგერიამ, კოტ დივუარმა და კამერუნმა მოიპოვეს. ნიგერიელებს ყველაზე სუსტი და გამოუცდელი მეტოქე ჰყავდათ, რომელსაც ორივე შეხვედრაში სძლიეს. ეთიოპიაში გამარჯვების შემდეგ, **სტივენ კეშის** შეგირდებმა საშინაო შეხვედრაშიც უპირატესობა თავიდანვე ხელთ იგდეს და მე-20 წუთზე **ვიქტორ მოზესის** მიერ რეალიზებული პენალტით დაწინაურდნენ კიდეც. ამ გოლმა წყვილში პრაქტიკულად ყველაფერი გადაწყვიტა, შეხვედრას კი წერტილი მოსკოვის „ლოკომოტივის" ფორვარდმა **ვიქტორ ობინამ** დაუსვა - 2:0.

მიუხედავად იმისა, რომ მისმა გუნდმა ორი მატჩის ჯამში 1:4 წააგო, ეთიოპიელთა მწვრთნელმა **სიუნეტ ბიშოუმ** მარცხი არბიტრს დააბრალა:

„სტივენ კეშის უდიდეს პატივს ვცემ. მას ძალიან ძლიერი და ორგანიზებული გუნდი ჰყავს, მაგრამ ჩვენ დღეს არბიტრის მიკერძოების გამო წავაგეთ. პირველ ტაიმში, როდესაც ანგარიში 0:0 იყო, მან მასპინძელთა კარში ორი ასპროცენტიანი პენალტი არ დანიშნა, შემდეგ კი ნიგერიელები გამოგონილი 11-მეტრიანით დააჯილდოვა," - განაცხადა ბიშოუმ მატჩის შემდეგ.

„სუპერ არწივებმა" მუნდიალის საგზური მეხუთედ მოიპოვეს. შეგახსენებთ, რომ 1994 წლიდან მოყოლებული, როდესაც ნიგერიამ მუნდიალზე პირველად იასპარეზა, ამ გუნდმა მხოლოდ ერთი, 2006 წლის ჩემპიონატი გამოტოვა.

## ზედიზედ მესამედ

მსოფლიოს ჩემპიონატზე ზედიზედ მესამედ იასპარეზებს კოტ დივუარი, რომელსაც სენეგალის სახით საკმაოდ ძლიერი მეტოქე ჰყავდა. პირველ შეხვედრაში **დროგბამ** და კომპანიამ 3:1 იმარჯვეს, საპასუხო მატჩში კი დიდი ხნის განმავლობაში ანგარიში 0:0 იყო, თუმცა **მუსა სოუს** მოედანზე გამოჩენამ ყველაფერი შეცვალა - **ალენ ჟირესის** შეგირდებმა გაცილებით აქტიურად შეუტიეს და 77-ე წუთზე ანგარიშიც გახსნეს. ფინალური ეტაპის საგზურის მოსაპოვებლად მასპინძლებს კიდევ ერთი გოლი სჭირდებოდათ. ბოლო წუთებზე სენეგალი მთელი გუნდით შეტევაში გადავიდა და კინალამ გაიტანა - „გენკის" მცველმა **კარა მბოჯიმ** რეალური შანსი ვერ გამოიყენა, რის შემდეგაც დაუწერელი კანონი ამოქმედდა და სენეგალმა გოლი აქეთ გაუშვა - **სალომონ კალუმ** 94-ე წუთზე გაიტანა. 1:1 და ორი ფრანგის, ჟირესის და **საბრი ლამუშის** დაპირისპირება ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა.

## მუნდიალზე ეტოოც მიდის

მუნდიალზე ვიხილავთ **ფოლკერ ფინკესაც**. „ფრაიბურგის" ყოფილმა დამრიგებელმა, რომელიც, თავის დროზე, კინალამ საქართველოს ნაკრების მწვრთნელიც გახდა, **რუუდ კროლის** მიერ გაწვრთნილი ტუნისი დაამარცხა. „ლომების" რიგებში არ გაუტანია **სამუელ ეტოოს**, სამაგიეროდ თავის გამოჩენა მისმა პარტნიორმა **პიერ ვებომ** შეძლო, მეორე გოლი კი **მუკანჯომ** გაიტანა. მეორე ტაიმში სიტუაცია **აჰმედ აკაჩის** გოლმა დაძაბა - მუნდიალზე გასასვლელად ტუნისს მხოლოდ ერთი ბურთი სჭირდებოდა, მაგრამ მასპინძლებს მხსნელად **ჟან მაკუნი** მოევლინა. „რენის" ნახევარმცველმა დუბლი შეასრულა და კამერუნი ისტორიაში მეშვიდე მუნდიალზე გაიყვანა. აღსანიშნავია, რომ 30 წლის ფეხბურთელს ნაკრებში სულ 3 გოლი ჰქონდა გატანილი, დუბლი კი კარიერის განმავლობაში სულ ორჯერ, 2009 წელს ჰქონდა შესრულებული, როდესაც ჯერ კიდევ „ლიონის" რიგებში ირჯებოდა.

დარჩენილი ორი მატჩი 19 ნოემბერს გაიმართება. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ უკვე ცნობილ ტრიოს განაც შეუერთდება, აი, ალჟირის და ბურკინა ფასოს წყვილში გარკვეული ჯერ არაფერია. გეტყვით, რომ გამარჯვების შემთხვევაში ალჟირი მსოფლიოს ჩემპიონატზე მეოთხედ (1982, 1986, 2010) ითამაშებს, ბურკინა ფასო კი ტურნირის დებიუტანტი იქნება.



კალუ და დროგბა ბრაზილიაში ითამაშებენ

ამხანაგური მატჩები

# გასეირნება მაიამიში

| ჰონდურასი-ბრაზილია | 0:5 |
|---|---|

**გოლები:** 0:1 ბერნარდი (22), 0:2 დანტე (55), 0:3 მაიკონი (66), 0:4 ვილიანი (70), 0:5 ჰალკი (74)

**ბრაზილია (4-2-3-1):** ვიქტორი - მაიკონი, დავიდ ლუისი (72. მარკინიოსი), დანტე, მაქსველი (71. ლუკას ლეივა) - ლუის გუსტავო, პაულინიო - ბერნარდი (46. რობინიო), ოსკარი (64. რამირესი), ნეიმარი (67. ჰალკი) - ჟო (46. ვილიანი)

მაიამიში, 71 124 მაყურებლის წინაშე (საფეხბურთო მატჩზე დასწრების რეკორდი ფლორიდის შტატში), ბრაზილიის ნაკრებმა ჰონდურასი გაანადგურა და მოგებათა სერია 5 შეხვედრამდე გაზარდა. **ლუიშ ფელიპე სკოლარიმ** კარში არა **ჟულიო სეზარი**, არამედ „ატლეტიკო მინეიროს" მეკარე **ვიქტორი** გაამწესა, თუმცა ლიბერტადორესის თასის მფლობელს საქმე პრაქტიკულად არ ჰქონია. მეორე ნახევარში ცვლილებაზე **რობინიო** და **მარკინიოსი** გამოვიდნენ. „მილანის" შემტევი ნაკრებში 2-წლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნდა (ბოლოს 2011 წლის კოპა ამერიკაზე ითამაშა), 19 წლის მარკინიოსს კი „სელესაოში" დებიუტი ჰქონდა.

პირველ ტაიმში „სელესაომ" მხოლოდ ერთი ბურთი გაიტანა. 22-ე წუთზე, მარჯვენა ფლანგზე მყოფმა **პაულინიომ** საჯარიმოში ჩააწოდა, გადაცემას **ბერნარდი** გამოეხმაურა და ნაკრებში თავისი სადებიუტო გოლი შეაგდო - 0:1. შესვენებამდე საინტერესო ბევრი არაფერი მომხდარა, სამაგიეროდ, მეორე ნახევარში გულშემატკივრებმა ოთხი გოლი იხილეს, რომელთაგანაც განსაკუთრებით აღსანიშნავი მეოთხე და მეხუთე ბურთები იყო. 70-ე წუთზე **ვილიანმა** ბერნარდის მსგავსად ნაკრებში თავისი პირველი გოლი შესანიშნავი დარტყმით გაიტანა, რამდენიმე წუთში კი ბრაზილიელებმა ძალიან ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს, რომელიც რობინიოს ქუსლით გაკეთებული პასით და **ჰალკის** უზუსტესი დარტყმით დასრულდა. ანგარიში შეიძლებოდა უფრო დიდიც ყოფილიყო, მაგრამ **ლუის გუსტავომ** და იმავე ჰალკმა ჰონდურასის გოლკიპერ **ვალიადარესს** ვერ აჯობეს.



„სელესაომ" მორიგი შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა

# მესის გარეშე ძნელია



რიკი ალვარესი და მისმა თანაგუნდელებმა ეკვადორელებს ვერ აჯობეს

| ეკვადორი-არგენტინა | 0:0 |
|---|---|

**არგენტინა (4-3-3):** რომერო - რონკალია (63. საბალეტა), გარაი, ფ. ფერნანდესი, ორბანი - მასკერანი, ბანეგა (69. ბილია), დი მარია - რ. ალვარესი (79. მაქსი როდრიგესი), ლავეცი (63. აგუერო), იგუაინი (71. პალასიო)

**ლიონელ მესის** გარეშე დარჩენილმა არგენტინის ნაკრებმა, აშშ-ში, კერძოდ, ნიუ ჯერსიში, ეკვადორის ნაკრებთან ითამაშა და უგოლო ფრეს გამორჩა. **ალეხანდრო საბელიამ** შეკრებაზე ორ ისეთ ფეხბურთელს უხმო, რომელთაც ნაკრებში ნათამაშები არ ჰქონდათ და ორივე ძირითად შემადგენლობაში გაამწესა - **ფაკუნდო რონკალიამ** 63 წუთი ითამაშა, „ბორდოს" მარცხენა მცველმა **ლუკას ორბანმა** კი მინდორზე 90 წუთი გაატარა.

„ალბისელესტემ" საკმაოდ მძიმე შთაბეჭდილება დატოვა და მარცხს იღბლის წყალობით გადაურჩა, თუმცა შეხვედრის ბოლო წუთებზე კინალამ გამარჯვება მოიპოვა. პირველ ტაიმში უპირატესობას ეკვადორის ნაკრები ფლობდა და მე-12 წუთზე **ანტონიო ვალენსიას** რეალური საგოლე შანსი შეექმნა - **ჯეფერსონ მონტეროს** ჩაწოდების შემდეგ, „მანჩესტერ იუნაიტედის" გარემარბი კარის წინ აღმოჩნდა, მაგრამ მისი თავური ხარიხას მოხვდა. ამის შემდეგ, გოლის გატანა მონტეროს შეეძლო, თუმცა **სერხიო რომეროსთან** პირისპირ დარჩენილს არგენტინელთა გოლკიპერმა აჯობა.

მეორე ტაიმის დებიუტში რომერომ საკუთარი გუნდი უკვე **პარედესის** დარტყმის შემდეგ იხსნა. აქედან მოყოლებული, უპირატესობა არგენტინელთა მხარეს გადავიდა და 88-ე წუთზე კინალამ ანგარიშიც გაიხსნა - ცვლილებაზე გამოსულმა **მაქსი როდრიგესმა** ანტონიო ვალენსიას მსგავსად ძელს გაარტყა და საბოლოოდ, მატჩი 0:0 დასრულდა.

მომდევნო ამხანაგურ მატჩს არგენტინა ხვალ (გამთენიისას) ბოსნიის ნაკრებთან გამართავს. ჟურნალისტების ვარაუდით, საბელია შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილებას განახორციელებს. კარში რომეროს ადგილი „ბოკას" გოლკიპერმა **აგუსტინ ორიონმა** უნდა დაიკავოს, დაცვაში **საბალეტა, ოტამენდი** და **როხო**, ხოლო შეტევაში **პალასიო** და **აგუერო** უნდა ვიხილოთ.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კრივი

# ხარაბაძე ევროპის ჩემპიონია

## თითო ოქრო-ვერცხლი, ორი ბრინჯაო და გუნდური მესამე ადგილი

ანაპაში ჭაბუკ მოკრივეთა ევროპის პირველობაზე გამგზავრების წინ საქართველოს კრივის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, AIBA-ს დელეგატმა **ვლადიმერ ახალკაცმა**, რომელიც ამ შეჯიბრებაზე ჟიურის თავმჯდომარედ იყო მიწვეული, ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ ქართველი მოკრივეები კარგად არიან მომზადებული და კონტინენტის პირველობაზე 3-4 მედალს ვგეგმავთო. მართლაც, ტყავის ხელთათმანის ნორჩმა ქართველმა ოსტატებმა (მწვრთნელი კუკური შავგულიძე) ანაპაში სხვადასხვა სინჯის ოთხი ჯილდო მოიპოვეს.

უკვე გაუწყეთ, რომ 46 კილოგრამ წონით კატეგორიაში **გიორგი ჩარგაზიამ** ნახევარფინალური შეხვედრა აზერბაიჯანელ რუფატ ჰუსეინოვთან წააგო და იტალიელ კარმელო მელფისთან ერთად ბრინჯაოს მედალს დასჯერდა (ამ წონის ფინალში ზეინალოვი რუს მაგომედ მაგომედბეკოვთან დამარცხდა). მსგავს წარმატებას მიაღწია 52 კილოში **უჩა მაისურაძემ**. იგი ნახევარფინალში რუს ტემირლან ხანგიჩიევს დანებდა. ამ უკანასკნელმა გადამწყვეტ პაექრობაში აზერბაიჯანელი ტაიფურ ალიევი დაჯაბნა და ოქროს მედალი დაიმსახურა. მეორე ადგილზე ალიევი გავიდა. მეორე ბრინჯაოს მედალი აქაც იტალიელს — მარკო ამოროსოს ერგო.

გასულ უქმეებზე ქართველ მოკრივეთაგან განსაკუთრებით **გიორგი ხარაბაძემ** (66 კგ, პირადი მწვრთნელი **ანატოლი ცქიფურიშვილი**) ისახელა თავი. როგორც გაუწყეთ, ნახევარფინალში მან იტალიელ ფილიპო გრესანის აჯობა, ფინალში კი უკრაინელი სტერან გრეკული ჩამოიშორა გზიდან (3:0) და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ამ წონაში მესამე ადგილები გრესანისა და ანდრეი ჩენცოვს (რუსეთი) ხვდათ.

74 კილოში ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას იცავდა **რატი ტლაშაძე**. ნახევარფინალში მან ანდრეი პანკოვი ჩამოიშორა გზიდან. გადამწყვეტი პაექრობა ფრანგ ლუი ტოტისთან წააგო. ოქრო ტოტის ხვდა. მეორე იყო ტლაშაძე. მესამე ადგილები პანკოვსა და სანდრო პოლეტანს (ბოსნია-ჰერცეგოვინა) ერგოთ. სულ ანაპაში მედლების 13 კომპლექტი გათამაშდა. შეჯიბრებაში მონაწილე 27 ქვეყნის წარმომადგენელთაგან - 13 მედალი (6 ოქრო, 3 ვერცხლი, 4 ბრინჯაო) მასპინძლებმა - რუსებმა მოიპოვეს. ერთი ოქროთი და ორი ვერცხლით მეორე გუნდური ადგილი ირლანდიას ერგო, რომელიც შეჯიბრებაში 11 სპორტსმენით ჩაება. 4 მედლით (1 ოქრო, 1 ვერცხლი, 2 ბრინჯაო) გუნდური მესამე ადგილი საქართველოს ცხრაკაციანმა ნაკრებმა დაიკავა. ასევე, თითო ოქროს მედალი მოიპოვეს ბულგარეთმა (+3 ბრინჯაო), სომხეთმა (+1 ბრინჯაო), ინგლისმა (+1 ვერცხლი), მოლდოვამ (+1 ვერცხლი) და საფრანგეთმა. აზერბაიჯანმა 3 ვერცხლი და 1 ბრინჯაო, უკრაინამ 2 ვერცხლი და ამდენივე ბრინჯაო, ხოლო იტალიამ 7 ბრინჯაო დაიმსახურა.


გიორგი ხარაბაძე

ვაჟა დანელია

● ძიუდო. ევროპის პირველობა

# წავიდა თავის ხარჯით, მაგრამ...

ბულგარულ სამოკოვში ამ უქმეებზე ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი 23-წლამდელთა შორის. ჩვენმა ფედერაციამ ამ ტურნირს ამჯერადაც უგანა და გუნდი არ გაუგზავნია, თუმცა ერთი მონაწილე, 20-წლამდელთა შორის ევროპის პრიზიორი **გიორგი ბროლაშვილი** (60) საკუთარი ხარჯით მაინც გამოვიდა. სამწუხაროდ, წარუმატებლად – პირველივე წრეში დამარცხდა.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ჩვენებურს დიდად არც წილისყრამ გაუმართლა, რადგან პირველივე მეტოქედ რუსთა მომავალი ფინალისტი **ალბერტ ოგუზოვი** ერგო. ბროლაშვილმა მას იუკო კი აართვა, მაგრამ მთლიანობაში, ამ შეხვედრაში მაინც რუსი დომინირებდა – სამჯერაც გააფრთხილებინა ქართველი, ბოლოს კი ვაზარზე დააგდო.

ამდენად, ბროლაშვილს ევროპის ჩემპიონატზე მეტი შეხვედრის ჩატარება არც დასცალდა, ისე დაემშვიდობა ტურნირს. რაც შეეხება ოგუზოვს, მან ფინალამდე წარმატებით გაიარა გზა, იქ კი თანაგუნდელ **არამ გრიგორიანთან** დამარცხდა.

ირაკლი თავაძე

● მშვილდოსნობა



# გამგეობა კმაყოფილია

## მშვილდოსნობაში ისევ აირია ვითარება და ერთი ჯგუფი 7 დეკემბერს რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებს ითხოვს

პარასკევს გაიმართა საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციის გამგეობის სხდომა, რომელმაც ერთ-ერთ საკითხად აღნიშნული მოთხოვნაც განიხილა. როგორც ფედერაციაში გვითხრეს, ამ იდეას გამგეობამ მხარი არ დაუჭირა და არც ვადამდელი საარჩევნო ყრილობის დანიშვნა მიიჩნია მიზანშეწონილად. თუმცა წინა წლების გამოცდილებიდან გამომდინარე, ჩვენი მხრიდან დავძენთ, რომ ეს მაინც არ ნიშნავს საკითხის საბოლოოდ მოგვარებას.

წლეულს მშვილდოსნობის ფედერაციაში არჩევნები მაინც ჩატარდება, ოღონდ არა ვადამდელი და საპრეზიდენტო, არამედ გეგმიური და საანგარიშო, რაც წლის ბოლოს ჩვეულებრივ იმართება ხოლმე ყველა ფედერაციაში. ჯერ მისი ჩატარების თარიღი უცნობია, თუმცა გვაიმედებენ, რომ აუცილებლად დეკემბერში გაიმართება, ზუსტ თარიღს კი გამგეობა ამ დღეებში დაადგენს. ისე, პარასკევს გამგეობამ უკვე შეაჯამა ფედერაციის ერთწლიანი მუშაობა – მას 13 წევრიდან 11-მა დადებითი შეფასება მისცა.

ამასობაში ფედერაცია ერთი ადგილობრივი ტურნირისთვისაც ემზადება, რომელიც მომავალ უქმეებზე თბილისში ჩატარდება. ახლა მშვილდოსანთათვის აქტუალური ზამთრის ანუ დარბაზის შეჯიბრებებია და ჩვენებიც მსგავსი ასპარეზობებისთვის ემზადებიან. ახლანდელი ტურნირიც მათ შემოწმებას ისახავს მიზნად და ამიტომ მხოლოდ ქართველები ისვრიან. წლეულს ჩვენები უცხოეთში წასვლას უფულობის გამო ველარ შეძლებენ, მაგრამ გაისად კი მნიშვნელოვანი შეჯიბრებები ელოდებათ მსოფლიოს თასების, ევროპისა და მსოფლიოს პირველობების ჩათვლით.

ირაკლი თავაძე

● წიგნის თარო

იშვიათად იღებენ ხელში კალამს და მოგონებებს წიგნად გამოსცემენ სპორტის ცნობილი სპეციალისტები, განსაკუთრებით მწვრთნელები, არადა საჭიროა. სწორედ ამიტომაც მისასალმებელია ფალავანთა სახელოვანი აღმზრდელის, მათ შორის ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონის, **დავით გობეჯიშვილის** პირველი მწვრთნელის **შურა მაისურაძის** „მწვრთნელის ჩანაწერები", რომელიც სულ ახლახან მიიღო მკითხველმა.

ავტორი ყმაწვილობიდან ეზიარა ქართულ ჭიდაობას, მერე წარმატებით გაითავისა, როგორც ბერძნულ-რომაული, ისე თავისუფალი სტილის ჭიდაობა. ცხადია, ჰქონდა წარმატებები, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონი 1994 წელს 68 წლისა გახდა. ეს შედეგი მომდევნო წელსაც გაიმეორა ... ცხადია, ვეტერანებში. კიდევ ორჯერ კი მონაწილეობას დასჯერდა. აი, ასეთ კაცს ბევრი რამ ჰქონდა მოსაგონარ-სათქმელი და ეს შეძლო კიდეც.

წიგნში საინტერესოდაა მოთხრობილი მწვრთნელის, როგორც სპორტის მთავარი შემოქმედი ადამიანის მძიმე შრომა, ურთიერთობები შეგირდებთან, ბრძოლა პრობლემებთან და ა.შ. ავტორი საქმის ღრმა ცოდნით გვახედებს საფალავნო სამყაროში და ტაქტიანად მიანიშნებს ახალგაზრდა სპეციალისტებს სამწვრთნელო საქმიანობაში გასათვალისწინებელ ნიუანსებზე.

წიგნის რედაქტორია **გაბრიელ ბარჯაძე**. გამომცემლობა „მწიგნობარი".

თენგიზ თომაშვილი




● სამბო

# სამბო მთელ იმერეთს გაუშინაურდება

იმერეთის სამბოს სამხარეო ფედერაციის ახალ პრეზიდენტს **მამუკა მღვდელაძეს** განზრახული აქვს მხარის ყველა ქალაქსა და რაიონში დანერგოს ჭიდაობა სამბო. ასეთი განცხადება გააკეთა მან ქუთაისის სპორტის სასახლეში გამართულ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის **გივი სარდანაძის** სახელობის მესამე ტურნირზე, რომელ შეჯიბრებაზეც 16 წლამდე ასაკის 9 რაიონისა და ქალაქის სამბისტები ასპარეზობდნენ.

საქართველოს სამბოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **სოსო ლიპარტელიანმა** დადებითად შეაფასა ტურნირის ორგანიზაციული მხარე და ქუთაისელ სამბისტებს ერთ საჭიდაო ლეიბსაც დაჰპირდა.

საქართველოში საშინაო ტურნირები სამბოში ჯერ კიდევ ცოტაა. ამიტომ ხსენებული ასპარეზობით ქუთაისელები დიდ სამსახურს უწევენ სამბოს განვითარებას ჩვენს ქვეყანაში.

უამრავ პრიზს შორის იყო ერთი განსხვავებული ჯილდო, - ფოთელი მხატვრის **ხუტა კვარაცხელიას** ფერწერული ნახატი, რომელიც ავტორმა ამაგდარ მწვრთნელს, გივი სარდანაძეს თვითონვე გადასცა საჩუქრად, მწვრთნელს, რომელიც ათეული წლებია წარმატებულ სამბისტებს წვრთნის ქუთაისში.

ტურნირს მსაჯობდნენ თბილისიდან ჩასული ეროვნული და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯთა კოლეგიის წევრები.

მამუკა მღვდელაძემ ისიც ბრძანა, რომ მომავალში ტურნირზე მეზობელი ქვეყნების სამბისტებსაც მოიწვევენ საასპარეზოდ. სხვათა შორის მესამე ტურნირის გამარჯვებულთა შორის არიან ფოთელი ძმები - **ოთარ და ალექსანდრე ოჩიგავები** (52 კგ და 56 კგ).


გამარჯვებულები

**კვარცხლბეკი**

**42 კგ.** 1. თამაზ კვერნაძე (თერჯოლა), 2. დავითი კიბორძალიძე (ქუთაისი), 3. ბექა სანაია (ფოთი), 3. ლაშა ვარძელაშვილი (გორი).

**45 კგ.** 1. ავთანდილ კუტალაძე (სამტრედია), 2. ანდრო არზიანი (ფოთი), 3. არჩილ ნადირაძე, 3. იაკობ ქურციკიძე (ორივე-ვანი).

**48 კგ.** 1. გიორგი ნარსია, 2. თენგიზ გედენიძე (ორივე-ფოთი), 3. გიორგი ბაჯაძე, 3. ნიკა ერემეიშვილი (ორივე-ვანი).

**52 კგ.** 1. ოთარ ოჩიგავა, 2. ხვთისო მჭედლიძე (ორივე-ფოთი), 3. ირაკლი ერქომაიშვილი (ვანი), 3. პაატა ჩიტორელიძე (ზესტაფონი).

**56 კგ.** 1. ალექსანდრე ოჩიგავა (ფოთი), 2. ლუკა მეგრელი (ქუთაისი), 3. სპარტაკ ხანთაძე (ფოთი), 3. მათე ტყეშელაშვილი (ვანი).

**60 კგ.** 1. გიორგი ნაროუშვილი (ვანი), 2. გიგა კაკაურიძე, 3. გოგა გოგოლიძე (ორივე-ქუთაისი), 3. მიხეილ მიხანაშვილი (გორი).

**65 კგ.** 1. გიგა გოგოლიძე, 2. გოდერძი მახვილაძე, 3. მამუკა ვასაძე (სამივე-ქუთაისი), 3. რატი ხელაძე (ტყიბული).

**70 კგ.** 1. ონისე ხურციძე (ქუთაისი), 2. ოთარ ლეჟავა, 3. ლევან ვაჩეიშვილი, 3. სერგო გოგიშვილი (სამივე-სამტრედია).

**75 კგ.** 1. დავით ხუბულავა (ვანი), 2. გიგა ცაგურია, 3. გიგა ჯაჯავა (ორივე-ხობი,) 3. ბაქარ უკლება (თერჯოლა).

**81. კგ.** 1. ოთარ დარსაველიძე (ქუთაისი), 2. ალექსი სვიანაძე (ზესტაფონი), 3. დავით რუხაძე (სამტრედია), 3. ერეკლე ზარნაძე (თერჯოლა).

**87 კგ.** 1. პაატა ტოგონიძე (ქუთაისი), 2. გიორგი ნინიკაშვილი (ზესტაფონი), 3. ვალერი ბუცხრიკიძე (თერჯოლა), 3. ირაკლი ბენდელიანი (ქუთაისი).

**+87 კგ.** 1. დავით არწივიძე (ქუთაისი), 2. გიორგი დვალიშვილი (ვანი), 3. ლადო რობაქიძე, 3. სოსო ხვანიძე (ორივე-ქუთაისი).

გაბრიელ ბარჯაძე
ავტორის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

## მეორე ადგილებს დასჯერდნენ

გუშინ ანტალიაში დამთავრდა ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი), რომელშიც სამი ქართველი მონაწილეობდა. მათგან **ეკატერინე გორგოძემ** იყოჩაღა: მესამე ნომრად განთესილმა ჩვენებურმა ზედიზედ დაამარცხა თურქი გიზემ მელისა ატესი (6:2, 6:4), სლოვაკი ვიქტორია კუზმოვა (7:5, 2:6, 6:1) და იაპონელი იოშიმი კავასაკი (6:3, 6:4), შაბათს ნახევარფინალში მონიკა ზუურს (ჰოლანდია) აჯობა - 6:2, 6:2. გუშინ ფინალში ტურნირის რეიტინგფავორიტ ანა ბოგდანს (რუმინეთი) დაუპირისპირდა. კარპატელმა ჩვენებურს ორივე სეტი მხოლოდ ტაიბრეიკებში მოუგო - 7:6, 7:6 და მთავარი პრიზი მოიპოვა, მეორე ადგილი გორგოძეს ერგო.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, გორგოძე პარალელურად ანტალიაში მორიგი 10.000- იანი ტურნირის საკვალიფიკაციოში იყო ჩართული, სადაც იაპონელ კუოკა ოკამურას სძლია 6:2, 6:4 და ძირითად ბადეში თამაშის უფლება მოიპოვა. ამავე ტურნირში მოსინჯავს ძალებს **სოფიო ქვაცაბაია.**

ანტალიაშივე ვაჟთა 10.000-იან ტურნირში გამოდიოდა თბილისელი **ნიკოლოზ ბასილაშვილი**. მანაც ოთხი მეტოქე ჩამოიშორა გზიდან - რუსი ანდრეი პლოტნი (7:6, 6:4), რუმინელი დრაგოშ დიმა (6:4, 6:2), ჰოლანდიელი კოლინ ვან ბეემი (0:6, 6:3, 7:6) და რუმინელი ტეოდორ კრაკიუნი (6:0, 6:2)8, ფინალური შეხვედრა კი ავსტრიელ მარკ რადისთან დათმო - 1:6, 3:6. ბასილაშვილმა წყვილებშიც ფინალური ორთაბრძოლა წააგო ტომ შონენბერგსა და მატიას უნერთან (ორივე-გერმანია) 0:6, 4:6. ბასილაშვილიც თურქეთში რჩება და ისევ 10.000-იან ტურნირში ჩაებმება. ამ ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპზე გამოდიოდნენ **გიორგი ჯავახიშვილი** და **დემურ დავითაძე**. ამ უკანასკნელმა პირველივე შეხვედრა ანგელოს ვენიზელოსთან (საბერძნეთი) წააგო - 4:6, 4:6. ჯავახიშვილმა სტარტზე ტიმურ სალბიევს (რუსეთი) აჯობა. 67:0, 5:7, მეორე წრეში კი მეტიუ გუნატთან (შვეიცარია) დამარცხდა - 2:6, 2:6.

ხვალიდან უკრაინულ ბუჩაში (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) იასპარეზებს **სოფიო შაფათავა,** რომელიც მეორე ნომრად იქნება განთესილი.

**ვაჟა დანელია**

ბატუტზე ხტომა



ანა ოდიშვილი (მარცხნივ) და თეონა ჯანჯღავა

## ოქრო ბოლო დღეს

რვა დღე გრძელდებოდა სოფიაში ბატუტზე მხტომელთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც უფროსებთან ერთად ახალგაზრდებიც მონაწილეობდნენ. გუშინდელი ბოლო აკორდი ჩვენი სპორტსმენებისთვის წარმატებული აღმოჩნდა: 15-16-წლიანთა სინქრონულ ხტომებში **თეონა ჯანჯღავა** და **ანა ოდიშვილი** ჩემპიონები გახდნენ. საკვალიფიკაციო ეტაპზე მათ 41.800 ქულით მე-4 ადგილი დაიკავეს და ფინალში გამოსვლის უფლება მოიპოვეს, იქ კი სხვებზე უკეთ იასპარეზეს და 44.500 ქულით პირველობა არავის დაუთმეს. გამარჯვებულებს 1.400-1.400 ქულით ჩამორჩნენ მონა ვაილერი, ფილის ლენსკერი (ორივე-გერმანია) და ვალერია კირილენკო, მარია შილოვა (ორივე-რუსეთი), რომლებსაც ვერცხლის მედლები ერგოთ.

ამ ასკში კიდევ ერთ მედლამდე ცოტა დააკლდა ანა ოდიშვილს ინდივიდუალურ ხტომებში: კვალიფიკაციაში მან მეორე შედეგი აჩვენა, ფინალში კი 49.165 ქულით მე-5 ადგილი დაიკავა - ბრინჯაომდე 0.8 ქულა არ ეყო.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

## უმედლოდ

პოლონეთის დედაქალაქში დამთავრდა მოჭადრაკეთა ევროპის გუნდური ჩემპიონატი. საქართველოს ქალთა ნაკრები შაბათს პრინციპულ მატჩში რუსეთის ეროვნულ გუნდთან 1:3 დამარცხდა (ვალენტინა გუნინა-**ნანა ძაგნიძე** 0,5:0,5, **მერი არაბიძე**-ალექსანდრა კოსტენიუკი 0:1, ნატალია პოგონინა-**ბელა ხოტენაშვილი** 1:0, **ლელა ჯავახიშვილი**-ოლგა გირია 0,5:0,5), რითაც მედლებისთვის ბრძოლის შანსი დაკარგა, სამაგიეროდ, მსოფლიოს ჩემპიონმა უკრაინის ნაკრებმა სომხეთს აჯობა 3:1 და 15 ქულით ევროპის ჩემპიონობა ვადამდე მოიპოვა, გუშინ ბოლო ტურში კი რუსეთს, ფაქტობრივად, უბრძოლველად დანებდა 1:3. ამ გამარჯვებით ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა 14 ქულა მოაგროვეს და ვერცხლის მედალი დაისაკუთრეს. ამდენივე ქულას მოუყარეს თავი პოლონელებმა, რომლებსაც უარესი დამატებითი მაჩვენებლებით ბრინჯაოს მედალი ერგოთ. საქართველოს ქალთა ნაკრებმა გუშინ ჰოლანდია დაამარცხა (ნანა ძაგნიძე-ლიზა შუტი 1:0, ჯაოფინ პენგი-მერი არაბიძე 0:1, ნინო ხურციძე-თეა ლანჩავა 1:0, ერლეთ ვან ვერსელი-ბელა ხოტენაშვილ 0:1) და 12 ქულით მე-4 ადგილი დაიკავა. ამდენივე ქულით სომხებს მეხუთე ადგილი ერგოთ.

საქართველოს ვაჟთა ნაკრებს კარგა ხანია, საერთაშორისო სარბიელზე ასეთი შედეგი არ ჰქონია. ათი წლის წინათ მან სწორედ ევროპაზე დაიკავა მესამე ადგილი. ჩვენები მიზანთან ახლაც ახლოს იყვნენ, მაგრამ... შაბათს ქართველმა მოჭადრაკეებმა 2010 წლის საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებული უკრაინის უძლიერესი ნაკრები დაამარცხეს 2,5:1,5



(ალექსანდრ არეშჩენკო-**ბაადურ ჯობავა** 0:1, **მიხეილ მჭედლიშვილი**-ანდრეი ვოლოკიტინი 0,5:0,5, ალექსანდრ მოისეენკო-**ლევან ფანცულაია** 0,5:0,5, **გაიოზ ნიგალიძე**-სერგეი ფედორჩუკი 0,5:0,5), გუშინ კი ჩეხეთს დაუზავდნენ - 2:2 (დავიდ ნავარა-ბაადურ ჯობავა 1:0, მიხეილ მჭედლიშვილი-ვიქტორ ლაზნიჩკა 0,5:0,5, ზბინეკ ჰაჩეკი-მერაბ გაგუნაშვილი 0,5:0,5, ლევან ფანცულაია-ირჟი სტოჩეკი 1:0), 9 ტურში მოაგროვეს 12 გუნდური ქულა და მე-6 ადგილზე გავიდნენ. 14 ქულით ჩემპიონობა აზერბაიჯანელებმა მოიპოვეს, 13-13 ქულით, შესაბამისად, მეორე-მესამე ადგილები ფრანგებმა და რუსებმა გაინაწილეს.

**ვაჟა დანელია**

## ლიდერს მიუახლოვდა

თბილისელ დიდოსტატ **სოფიკო გურამიშვილს**, რომელიც ინდურ ჩენაიში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს, სამი ტურის შემდეგ 2,5 ქულა ჰქონდა. გუშინ შავი ფიგურებით მან კრიშნან მურალი დაამარცხა, მოაგროვა 3,5 ქულა და სომეხ სამველ ტერ-საჰაკიანს, რომელიც უდანაკარგოდ ასპარეზობს (მე-4 ტურში მასპინძელ ლახმანს მოუგო), ნახევარი ქულით ჩამორჩება. სოფიკოს მსგავსად კიდევ შვიდ მოჭადრაკეს აქვს 3,5-3,5 ქულა. მათგან ვიშნუ სანტოშ ვიდითს ჩვენებური თეთრი ფიგურებით დღეს დაუპირისპირდება.

გუშინვე ბათუმელი **ნინო ბაციაშვილი** უკრაინელ დიდოსტატ ვლადისლავ ბოროვიკოვს შეუთანხმდა ყაიმზე და ორქულიან მონაგარს ნახევარი ქულა შესძინა. დღეს ბაციაშვილს მასპინძელი ათულ დაჰალე გაუწევს მეტოქეობას.

**ვაჟა დანელია**

სუმო. კიუშუს ბაშო. 10-24 ნოემბერი

## გაგამარუს თანაბარი ბალანსი

წლის უკანასკნელი ბაშო ეკვატორს გადაცდა და ელიტის ერთადერთ ქართველს კვლავ ნულოვანი ბალანსი აქვს - მე-13 მაეგაშირას რანგში მოჭიდავე **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)** ფუკუოკაში გამარჯვება 4-ჯერ იზეიმა, მაგრამ ამდენჯერვე დამარცხდა. დადებითი ბალანსის მისაღწევად მან დარჩენილი 7 ორთაბრძოლიდან 4 უნდა მოიგოს.



შაბათს გაგამარუ მძიმეწონოსან **ტოიოჰიბიკისთან** დამარცხდა, თუმცა სატურნირო მდგომარეობა კვირას გამოასწორა, როცა მანამდე დიდებულად მოასპარეზე **შოტენრო** დააგდო. ჩვენებურის მომდევნო მეტოქე ძურიოს დივიზიონის პირველი ნომერი **კაგამიო** გახლავთ.

**VII დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-შოჰოზანი (ჰატაკიკომი), **ჰარუმაფუჯი-ტაკეკაძე** (ჰატაკიკომი), კაკურიუ-ტოიონოშიმა (ჰატაკიკომი), გოეიდო-ტოჩინოვაკა (კუბინაგე), ტოიოჰიბიკი-**გაგამარუ** (კოტენაგე)

**VIII დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰარუმაფუჯი-ჰომაშო (ოშიდაში), ჰაკუჰო-ტაკეკაძე (ცუკიოტოში), კაკურიუ-ტაკაიასუ (ჰატაკიკომი), გოეიდო-კისენოსატო (კუბინაგე), **გაგამარუ**-შოტენრო (ჰატაკიკომი)

**სატურნირო მდგომარეობა**

**8-0**: ჰაკუჰო (იოკოძუნა), ჰარუმაფუჯი (იოკოძუნა)

**7-1**: აოიამა (მაეგაშირა 5)... **4-4**: გაგამარუ (მ 13)

**IX დღე**

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-ჰომაშო, ჰარუმაფუჯი-ტოჩინოვაკა, კისენოსატო-ტაკეკაძე, კაკურიუ-შოჰოზანი, **გაგამარუ**-კაგამიო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭიდაობა. მეტოქე

## წასვლაზე ბაროევიც ალაპარაკდა

სპორტიდან შესაძლო წასვლის შესახებ განცხადება კიდევ ერთმა სახელოვანმა ფალავანმა, რუსთა ნაკრების მძიმეწონოსანმა ოსმა, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში **ხასან ბაროევმა** გააკეთა. მისი თქმით, ამის მიზეზი წონითი კატეგორიების მოსალოდნელი შეცვლაა. შეგახსენებთ, რომ გაისად დასამტკიცებელი რეფორმების შედეგად, ბერძნულ-რომაულში მძიმე წონა 130 კილოგრამამდე იზრდება და ბაროევიც ამას წუხს. *„ვფიქრობ, თუ წონითი კატეგორია გაიზრდება, ეს ჩემი ბოლო სიმღერა იქნება, რადგან საკმარისი წონა არ მაქვს და არ შემიძლია ასეთ გიგანტებთან ჭიდაობა. თუ ასპარეზობა ორ დღეს გაგრძელდება, ეს კიდევ უფრო ძნელი იქნება – სპორტსმენებს ორჯერ მოუწევთ წონაში დაკლება“* - თქვა 31 წლის სპორტსმენმა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ წონის გაზრდა ლამის გადაწყვეტილია, ბაროევს შეგვიძლია, დავემშვიდობოთ. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ის აქამდეც წასული იყო სპორტიდან, რადგან რუსეთის ნაკრებში ველარ ხვდებოდა. მან ლონდონის ოლიმპიადაზე კი იჭიდავა, თუმცა წარუმატებლად. იქაც „ბოლო ვაგონს შეახტა“ - ბოლო სალიცენზიო ტურნირზე მოიპოვა საგზური, რადგან მანამ სხვებს აჭიდავებდნენ. როცა იმათ ვერაფერი ჰქნეს, რუსთა თავკაცმა **გოგი კოლუაშვილმა** ისევ მას უხმო. ბაროევმა ლიცენზია კი მოიპოვა, მაგრამ ლონდონში ვერაფერს გახდა. ბედის ირონიით, პირველივე წრეში რუსეთიდან სომხეთში გადასულმა ევროპის ჩემპიონმა, მსოფლიოსა და ოლიმპიურმა პრიზიორმა **იური პატრიკეევმა** მოუგო. ოლიმპიადის შემდეგ ბაროევს არსად უჭიდავია, რასაც ტრავმით ხსნის.

„თავისუფლების“ არ იყოს, რუსებს მძიმე წონაში ბერძენ-რომაელებშიც სერიოზული საკადრო პრობლემები აქვთ და ბაროევის დონის ნამდვილად არავინ ჰყავთ. წლეულს თბილისში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ჩეჩენი **ალიხან აიუბოვი** ჩამოიყვანეს, მსოფლიოზე **სერგეი ანდრუსიკი** აჭიდავეს, მაგრამ მათ ოდნავ დამაიმედებელიც კი ვერ აჩვენეს ვერაფერი. ამდენად, ამ წონიდან ჩვენს ფალავნებს სერიოზული საფრთხე თვით ბაროევის დარჩენის შემთხვევაშიც კი არ ემუქრებათ, მაგრამ ცუდია, რომ ამ წონაში ვერც ჩვენ გვაქვს საქმე სახარბიელოდ – ვერც **გურამ ფერსელიძე**, ვერც **ლევან არაბული** და ვერც ძმები **გოგისვანიძეები** ვერ აჩვენებენ საიმედო ჭიდაობას. რატომღაც ჩვენი ახალგაზრდების პროგრესიც შეწყდა. იმედია, ეს მხოლოდ დროებითი ჩავარდნაა, რაც ხშირად ახლავს ხოლმე ახალგაზრდებიდან უფროსებში გადასვლას. ასევე ვიმედოვნებთ, ფერსელიძე ოპერაციის შემდეგ კვლავ შეძლებს ძველ კონდიციებამდე ამაღლებას, აი, მაშინ კი მართლაც ეშინოდეთ მეტოქეებს მისი, ხოლო ჩვენ მედლების იმედი გვქონდეს. რა დონეზეც ის იყო ოპერაციამდე, მას ახლანდელი ბაროევიც ვერ დაუდგება, ოს ფალავანზე საუბარს კი ერთი, ჩვენთვის არცთუ კარგი ფაქტის ხაზგასმით დავასრულებთ – მან ითამაშა ოსი ჯარისკაცის როლი **ჯანიკ ფაიზიევის** პროპაგანდისტულ ფილმში „აგვისტოს რვაში“, რომელიც ცნობილმა რეჟისორმა რუსების დაკვეთით გადაიღო, როგორც ქართული „აგვისტოს 5 დღის“ საპირწონე.

**ირაკლი თავაძე**

თარიღები და მოვლენები

**18-21 ნოემბერი**

**18. 1964.** სსრკ ჩემპიონტის დამატებით მატჩში თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა 4:1 დაამარცხეს მოსკოვის „ტორპედო“ და პირველად მოიპოვეს სსრკ ჩემპიონობა

**18. 1990.** საქართველოს ეროვნული თასის პირველი გათამაშება მოგო ლანჩხუთის „გურიამ“, რომელმაც სოხუმის „ცხუმს“ დამატებით დროში 1:0 აჯობა

**20. 2007.** 21 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა შორის ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩში, საქართველოს ნაკრებმა რუსეთის გუნდს მოუგო (2:0). შეხვედრა თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ჩატარდა.

**20. 1919.** დაიბადა **სულიკო თორთლაძე** - კალათბურთელი, მწვრთნელი. გარდაიცვალა 1982 წელს

**20. 1926.** დაიბადა **ვახტანგ ბალავაძე** - თ\ჭიდაობა

**20. 1942.** დაიბადა **იმედო ფხაკაძე** - ხელბურთი

**20. 2002.** ტრაგიკულად დაიღუპა **კახი ასათიანი** - ფეხბურთი

**21. 1961.** თბილისის „დინამომ“ ჰავანაში კუბის ნაკრებს 6:0 მოუგო

**21. 1968.** დაიბადა **ინგა გიორგობიანი** - აკრობატიკა

**21. 2007.** ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩში საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული გუნდი ლიტვის ნაკრებთან 0:2 დამარცხდა თბილისში.

**წინა ნომრის კროსვორდის პასუხები**

**თარაზულად:** 1. ფიატი, 3. ლიტვა, 4. აფრა, 7. ინოკი, 8. სვანი, 10. ნონა, 12. ანი, 14. არენა, 15. ელენე, 17. ინსი, 19. იბრა, 21. კროლი, 22. ლეიბი, 24. ილაჯი, 26. ფრე, 28. ყაიმი.

**შვეულად:** 1. ფალავანი, 2. აუტი, 5. რბოლა, 6. ბილიკი, 8. საუნა, 9. ანთაძე, 11. სირაძე, 13. გაბელია, 16. ეუსებიო, 18. იაშინი, 20. სკოლარი, 23. ბრიჯი, 25. ლორია, 27. ჩუი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი NBA-ში

# ზაზა მეორეა: 96.2%



**ზაზა ფაჩულიას** „მილუოკი ბაქსმა“ პარასკევსა და შაბათს ორი რთული მატჩი ჩაატარა. ჯერ „ინდიანა პეისერსს“ ესტუმრა, შემდეგ „ოკლაჰომა თანდერსი“ მიიღო და ორივეში დამარცხდა.

## პეისერსი

ინდიანელებს „მილუოკისთან“ შეხვედრამდე რვა მატჩში 8 მოგება ჰქონდათ. მათ მეცხრე შეხვედრის ბოლო პერიოდი მაღალ დონეზე ჩაატარეს (29:16) და ბაქსთანაც“ იმარჯვეს - 104:77.

ზაზა ფაჩულია (ფეხი აწუხებდა) ერთმატჩიანი შესვენების შემდეგ „მილუოკის“ რიგებს დაუბრუნდა და **მიროსლავ რადულიცასთან** ერთად მეტოქის ლიდერის **როი ჰიბერტის** მეურვეობა დაევალა. ამ უკანასკნელმა 10 ორქულიანი, 8 საჯარიმო სტყორცნა, მხოლოდ ორი ორქულიანი ააცილა და 24 ქულამდე ავიდა. თანაგუნდელთა შორის ზაზას ყველაზე მეტი, 11 მოხსნა ჰქონდა, შეტევისას კი ბევრი ტყორცნა გაუცუდდა - 14-დან 2 ჩააგდო. 4 ქულისა და 11 მოხსნის გარდა ფაჩულიამ 1 პასი ჩაიწერა.

## თანდერსი

ზაზას მეორე მატჩშიც მაღალი დონის მეფარეების წინააღმდეგ მოუწია თამაშმა, ოკლაჰომელმა **კედრიკ პერკინსმა** მხოლოდ 2 ქულა და 5 მოხსნა მოაგროვა, სამაგიეროდ **სერჟ იბაკა** ავიდა 20 მოხსნამდე და 15 ქულამდე. მათთან ჭიდილში ფაჩულიამ 37 წუთში 13 მოხსნა, 7 ქულა, 3 პასი და 2 ჩაჭრა მოაგროვა. ქართველმა ცენტრმა 12 ორქულიანი ისროლა, 3 ჩააგდო, რასაც 1 ზუსტი საჯარიმო მიამატა.

მას მიმდინარე სეზონში 25-დან 24 საჯარიმო აქვს გამოყენებული, რაც რეალიზების 96.2 პროცენტია. ამ მაჩვენებლით ფაჩულია NBA-ში მეორეა, მხოლოდ კლიპერსის გამთამაშებელი **კრის პოლი** უსწრებს - 96.9%.

დავუბრუნდეთ „ოკლაჰომასთან“ შეხვედრას, რომელშიც „მილუოკის“ კალათბურთელებმა ბოლომდე იბრძოლეს, მაგრამ ამჯერადაც მეოთხე პერიოდში დათმეს - 79:92.

## ბლეიზერსი

„ბაქსს“ 9 მატჩიდან მხოლოდ 2 აქვს მოგებული და აღმოსავლეთის კონფერენციაში ბოლოსწინა ადგილზეა. იგი მომდევნო შეხვედრას 20 ნოემბერს ჩაატარებს - „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსს“ მიიღებს.

ქართველი NBA-ში




ტეილორი (№10) და შენგელია „კლიპერსის“ ფარქვეშ

# შენგელიამ ითამაშა!

„ბრუკლინ ნეთსმა“ მიმდინარე სეზონში მეათე მატჩი ჩაატარა და მის შემადგენლობაში პირველად გამოჩნდა ქართველი ფორვარდი **თორნიკე შენგელია.** ბრუკლინელებმა ლოს ანჯელესში „კლიპერსთან“ 103:110 წააგეს.

„ნეთსს“ ლოს ანჯელესში ვერ დაეხმარნენ ლიდერები: **ანდრეი კირილენკო, კევინ გარნეტი, პოლ პირსი, ბრუკ ლოპესი** და **დერონ უილიამსი.** შენგელიამ 8 წუთი ითამაშა, ერთი სამქულიანი, 2 ორქულიანი სტყორცნა, თუმცა არაზუსტად. მან მატჩი 1 პასითა და 3 ფოლით დაასრულა. საყურადღებოა, რომ 22 წლის ქართველი მწვრთნელმა **ჯეისონ კიდმა** მოედანზე დაძაბულ მომენტში შეიყვანა. იმედი დავიტოვოთ, რომ „ნეთსის“ დამრიგებელი მას მომდევნო მატჩებში მეტად ენდობა.

უახლოესი შეხვედრა „ბრუკლინს“ 18 ნოემბერს „პორტლენდთან“ შინ ელის.

ქართველები ესპანეთში

# ბურჯანაძემ სანიკიძესა და შერმადინს ორი ქულა აართვა

ესპანეთის პირველობაზე სამი ჩვენიანი თამაშობს: **ვიქტორ სანიკიძე, გიორგი შერმადინი** და **ბექა ბურჯანაძე.** გუშინ სამივე ერთ მოედანზე შეიკრიბა - ბურჯანაძის „კახასოლი“ „სარაგოსას“ წინააღმდეგ სათამაშოდ არაგონში ჩავიდა. წინასწარ გეტყვით, გამარჯვება სტუმრებს დარჩათ - 74:66.

სარაგოსელთა სასტარტო შემადგენლობაში გიორგი შერმადინთან ერთად ითამაშა ვიქტორ სანიკიძემ, რომელმაც პირველივე წუთებზე 5 ქულა ჩააგდო და თანაგუნდელებს მცირე უპირატესობა მოუტანა. ვიქტორმა მონაგარს კიდევ 4 ქულა წაუმატა და მისი საბოლოო სტატისტიკა ასეთი იყო: 21 წუთი, 9 ქულა, 5 მოხსნა, 1 პასი. ვიქტორმა 6-დან 6 საჯარიმო, 5-დან 1 სამიანი ჩააგდო და ხუთივე ორიანი ააცილა.

ორქულიანებში ვერც გიორგი შერმადინი გამოირჩა: 8-დან 2 გამოიყენა, რასაც 5 საჯარიმო მიაყოლა (6-დან) და 9 ქულას 11 მოხსნა წაუმატა. შერმადინმა მოედანზე 28 წუთი გაატარა.

სათადარიგოთა სკამიდან პირველივე პერიოდში ჩაერთო თამაშში „კახასოლის“ ქართველი ფორვარდი ბექა ბურჯანაძე. მან სულ 8 წუთი ითამაშა.

39-ე წუთამდე თანაბარი თამაში მიმდინარეობდა. **ლომპარტის** ორქულიანით ბოლოსწინა წუთზე „სარაგოსა“ დაწინაურდა - 65:63, თუმცა მას მერე ჩეხი **სატორანსკის** აქტიურობის ხარჯზე „კახასოლმა“ 9:1 გაქცევა მოაწყო და 74:66 მოიგო.

ამ შეხვედრამდე „სარაგოსას“ „კახასოლზე“ ერთით მეტი მატჩი ჰქონდა მოგებული, გუშინ კი არაგონელებს გაუთანაბრდა. ორივე გუნდს 3-3 მოგება-წაგება აქვს და სატურნირო ცხრილში მეექვსე-მეშვიდე ადგილებს ინაწილებს.

შერმადინსა და სანიკიძეს უახლოესი შეხვედრა ევროთასზე ბელგიაში ელით - 19 ნოემბერს „მონსის“ წინააღმდეგ ითამაშებენ. ბურჯანაძის „კახასოლი“ კი ევროსარბიელზე არ გამოდის და ესპანეთის ჩემპიონატში მომდევნო შეხვედრისთვის 24 ნოემბერს კუნძულელ „გრან კანარიას“ ესტუმრება.



საერთაშორისო სტუდენტური ლიგა

# ბოლოს და ბოლოს: გადამწყვეტი წამები ჩვენია

17 ნოემბერი, თბილისი
სპორტკომპლექსი „არენა“

სტუ (თბილისი) **73**

18:15, 15:18, 24:18, 16:21

კპუ (კიევი) **72**

**სტუ:** გურაბანიძე, ანთაძე (14ქ, 6მ), დიდია (10ქ, 5მ, 4პ), გრძელიძე (15ქ), გოგოძე (2ქ), ჯიქია (2ქ), ცირეკიძე (2ქ), მათიაშვილი (11ქ, 15მ, 3პ), ლომინაშვილი (8ქ, 6მ), ალხანაიძე (9ქ, 6მ).

**კპუ:** ლუტაკი (8ქ), ძიუბა (15ქ, 9მ, 4ჩ), მარჩენკო (18ქ, 8მ), ბორისოვი (2ქ), მოროზოვი (6ქ), იაკიმჩუკი (2ქ), მინტიი (4ქ), პავლენკო (11ქ, 4პ), ვერტება (4ქ), კორენიაკი (2ქ, 6მ).

**მსაჯები:** ა. სირიცა, ა. დავიდოვი.

საერთაშორისო სტუდენტურ ლიგაში მოასპარეზე ქართულმა სტუ-მ სეზონის მეექვსე მატჩი ჩაატარა და მეოთხე მოიგო. სიტყვა „მოიგო“ კლავიატურით, თუ კალმით, იოლი დასაწერია, რეალურად კი ამ გამარჯვებას დიდი ენერგია, ოფლისღვრა და ნერვიულობა დასჭირდა. სხვანაირად არც შეიძლებოდა, როცა ტაბლოზე საფინალო სხვაობა მხოლოდ 1 ქულა იყო - 73:72.

მატჩის დასრულებამდე სამი წუთით ადრე მეხუთე ფოლი მიიღო ქართველთა ლიდერმა **რიჩარდ მათიაშვილმა** და მოედნის დატოვებამ მოუწია. იგი ლიგაში საშუალოდ 17.3 მოხსნასა და 16.3 ქულას აგროვებს, ხოლო გუშინ, როცა თამაში დაასრულა 11 ქულა და 15 მოხსნა ჰქონდა. იოლი მისახვედრია, რომ ქართულ მხარეს დიდი ძალა დააკლდა, მაგრამ **ალხანაიძის, ცირეკიძის, ანთაძისა** და **ლომინაშვილის** სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გუნდს ფარქვეშ ურიჩარდობა არ დასტყობია. თამაში ქულა-ქულაში გაგრძელდა და ბოლო წუთს გუნდები თანაბარი ანგარიშით შეხვდნენ - 69:69.

მეორმოცე წუთის მოვლენებს ქრონოლოგიის სახით შემოგთავაზებთ:

**0:49 ანთაძე 2/1 საჯარიმო - 70:69**
**0:49 ლომინაშვილი - მოხსნა (მეტოქის ფარზე)**
**0:40 ანთაძე 2/1 საჯარიმო - 71:69**
**0:14 გრძელიძე 2/2 საჯარიმო - 73:69**
**0:04 ძიუბა 2/1 საჯარიმო - 73:70**
**0:00 მარჩენკო 2 ქულა - 73:72**

ქართველებმა მეტოქეს მოხსნებში 49:38 აჯობეს, კიეველებზე მეტი ორქულიანი ჩააგდეს - 26:21, თუმცა იყო კომპონენტები, რაშიც სტუმართა გუნდი აშკარად გვჯობდა: ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვით, ბურთი 23-ჯერ დავკარგეთ, მაშინ, როცა კიეველი ტექნიკოსები აკურატულობით გამოირჩნენ - 9 შეცდომა. კიდევ ერთი კომპონენტი, რის გამოც სტუმართა ძლევა გაგვიჭირდა, სამქულიანი ტყორცნები იყო - მხოლოდ 1 შორეული ტყორცნის რეალიზება მოვახერხეთ, მაშინ, როცა უკრაინელებისგან 5 სამიანი მივიღეთ.

მოკლედ, სტუმრები დალაგებული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდნენ, ხშირად ახერხებდნენ სატყორცნ პოზიციაზე ერთი კალათბურთელის გამოთავისუფლებას და ცოტა მეტი კლასიც რომ ჰქონოდათ, თბილისიდან ორ ქულას წაიღებდნენ. სტუ-ს კი დაცვაშიც მართებს თამაშის გაუმჯობესება და შეტევაშიც კომბინაციების გამრავალფეროვნება.

გუშინდელი მოგების შემდეგ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი სატურნირო ცხრილში მეორე პოზიციაზეა. ის ჯგუფიდან გამსვლელ სამ გუნდს შორის მოხვედრის რეალური კანდიდატია, თუმცა მდევრების სუნთქვა ზურგს უკან იგრძნობა. ქართველები მომდევნო თამაშს 8 დეკემბერს ხარკოველ სტუდენტებთან ჩაატარებენ. მატჩი თბილისში გაიმართება.



ლევან გრძელიძე კიეველთა ფარქვეშ

| გუნდი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. მსუ (მოსკოვი, რუსეთი) | 5 | 5 | 0 | 10 |
| 2. სტუ (თბილისი, საქართველო) | 6 | 4 | 2 | 10 |
| 3. ნტუ (ხარკოვი, უკრაინა) | 4 | 3 | 1 | 7 |
| 4. იუფუ (როსტოვი, რუსეთი) | 5 | 2 | 3 | 7 |
| 5. კპუ (კიევი, უკრაინა) | 4 | 0 | 4 | 4 |
| 6. რგეუ (როსტოვი, რუსეთი) | 4 | 0 | 4 | 4 |

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**
*გურამ დოლენჯაშვილის ფოტო*

# ბურთი მრგვალი არ არის, მაგრამ...

| საქართველო | 23 |
| --- | --- |
| აშშ | 25 |

**საქართველო** (15-9) კვირიკაშვილი, მჭედლიძე, კაჭარავა, შარიქაძე, ზიბზიბაძე (ნიკლაური 64), ხმალაძე, ბეგაძე. (1-8) ხინჩაგიშვილი (ნარიაშვილი 55), მამუკაშვილი (მაისურაძე 64), ქუზრიაშვილი (ჩილაჩავა 55), მიქაუტაძე, დათუნაშვილი (ნემსაძე 63), სუთიაშვილი (თხილაიშვილი 68), გორგოძე, ჩხაიძე.

**2ლ:** კვირიკაშვილი, შარიქაძე. 2გ,3ს: კვირიკაშვილი.

**აშშ** (15-9) ვაილესი, სკული, ნიუა, სინიულა, მაუპინი (ჰიუმი 58), სიდალი, პეტრი. (1-8) ვოლესი (კილიფი 78), თილი, ფრაი, ჰარიმანი, მანოა, კლევერი, აშბურნი (ქვილი 69), დოლანი.

**3ლ:** ვაილესი, სკული, ვოლესი. 2ს,2გ: სიდალი.

**მსაჯი:** მაიქ ფრეზერი (ახალი ზელანდია)

რუსთავის სარაგბო სტადიონი განზილებულებმა დავტოვეთ, თითქმის მოგებული მატჩი ჩვენმა ნაკრებმა ელემენტარული გაუგებრობის გამო წააგო, რაც ათასჯერ მეტად უფრო დასანანია.

მოდით, თხრობა ბოლოდან დავიწყოთ. თამაშის დასრულებას წამები აკლდა. საქართველოს ნაკრები მინიმალური სხვაობით 23:22 იგებდა და მეტოქის ნახევარზე, მოედნის ცენტრთან ახლოს ბურთს აკონტროლებდა. შეტევის მორიგი ფაზისას ბურთი ფულბეკ **მერაბ კვირიკაშვილს** გადააწოდეს, რომელმაც ის აუტში გადაიტანა იმის იმედით, რომ მატჩისთვის განკუთვნილი დრო ამოწურული იყო და გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა.

თუმცა, ასე არ ფიქრობდა მატჩის არბიტრი, რომლის წამმზომზეც დრო მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა იმისგან, რასაც რუსთავის სარაგბო სტადიონის ტაბლო აჩვენებდა. ამერიკელებმა აუტი მოაწოდეს, რამდენიმე ფაზა აკინძეს და მარჯვენა ფრთაზე, კიდესთან ახლოს, რაკში თამაშისას საჯარიმოს დარტყმის უფლება მიიღეს. სტუმართა მგეზავმა **ადამ სიდალმა** ბურთი ჩვენი კარის ძელებს შორის გაატარა და თავისიანებს ზღვა სიხარული მოჰგვარა.

როგორც მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე გაირკვა, კვირიკაშვილს მოედნის კიდედან დაუძახეს, დრო ამოიწურაო და ასე გადაიქცა მატჩის გმირი, რომელმაც მთლიანობაში მშვენივრად ითამაშა და გუნდს 18 ქულა მოუტანა, ანტიგმირად. არადა, „მეკო" მართლაც არაფერ შუაშია. დავუშვათ ეს გადაწყვეტილება მან ერთპიროვნულად მიიღო. ამის მერე, როგორც უკვე ვთქვით, ამერიკელებმა დერეფანი მოიგეს და რამდენიმე ფაზაც აკინძეს. ჩვენმა გუნდმა კი, მათი იერიშის მოგერიება წესის დარღვევის გარეშე ვერ შეძლო. ეს რომ მოეხერხებინა (არადა უნდა მოეხერხებინა), ახლა სულ სხვა ხასიათზე იქნებოდა მოთამაშეც და ქომაგიც. სალაპარაკოც და საკრიტიკებელიც სხვა გვექნებოდა.

არადა გასაკრიტიკებელი მართალაც ბევრია. ძნელი დასაჯერებელია, რომელიმე მაღალი დონის გუნდმა საწყის 13 წუთში ათქულიანი უპირატესობა მოიპოვოს და მერე ის ქარს გაატანოს. არ ვიტყვი, რომ ასეთი რამ არ ხდება. შეიძლება ხდება კიდეც, მაგრამ იმდენად იშვიათად, რომ ვერაფრით ვიხსენებ. ეს შემთხვევა კი არადროს დაგვავიწყდება. ალბათ, უფრო მატჩის მსვლელობის დრამატულობის გამო. არც მარცხის სიმწარის გაუთვალისწინებლობაა უპრიანი.

თამაში საქართველოს ნაკრებმა მართლაც აქტიურად დაიწყო. მართალია, იქამდე, სანამ პირველ ლელოს გავიტანდით, მეტოქის 22-მეტრიან ზონაში შეღწევას ვერ ვახერხებდით, მაგრამ არც ამერიკელებს ვაძლევდით თავისუფლად ბურთაობის საშუალებას. დაცვაში ყურადღებით ვირჯებოდით და მერე შეტევაშიც გავიბრწყინეთ.

ანგარიში მე-4 წუთზე გაიხსნა. კვირიკაშვილმა, რომელიც მოტეხილი თითით თამაშობდა, საჯარიმოს დარტყმა 55 მეტრიდან ითავა და არც შემცდარა - 3:0. ასეთი შორი მანძილიდან „მეკომ" მოგვიანებით კიდევ ერთხელ სცადა მეტოქის კარის დალაშქვრა, მაგრამ ამაოდ.

მე-13 წუთზე „ბორჯღალოსნების" პირველივე კარგად ორგანიზებული შეტევა ბრწყინვალე ლელოთი დასრულდა. დერეფანი მეტოქის ჩათვლის მოედნიდან 30 მეტრში მოვაწოდეთ. **გიორგი ჩხაიძემ** ბურთი სუფთად მოიგო და იქვე ცხრა ნომერ **გიორგი ბეგაძეს** ჩამოუგდო, ამან მარჯვნივ, გრძელ ფრთაზე განაგრძო იერიში, სადაც სტუმართა დაცვის ხაზი შუამარბმა **დავით კაჭარავამ** გაჭრა, მან რამდენიმე მეტრით წინ წაიწია და მერე **მამუკა გორგოძე** წამოეშველა. წარმოქმნილი რაკიდან ბეგაძემ ბურთი სწრაფად გამოიტანა და შეტევის მიმართულება შეცვალა. მან მარცხენა ფრთაზე მგეზავი **ლაშა ხმალაძე** მოძებნა, რომელმაც ბურთი მოსხეპით კიდესთან ახლოს მყოფ გარემარბ **თედო ზიბზიბაძეს** გადააწოდა, რომელიც ჩათვლის მოედნისკენ დიდი სისწრაფით დაიძრა და სალელოვე გარღვევაზე იქვე მიმყოლი მერაბ კვირიკაშვილი გაიყვანა. „ბორჯღალოსნების" დამრტყმელმა გარდასახვაც თავად დაარტყა - 10:0.

ასეთ დასაწყისს ვერც ვინატრებდით. ძალიან კარგი იყო. თუმცა, ამერიკელებმა მალე გამოაჩინეს, თუ რა შეუძლიათ. მათ ჩვენს გუნდს ხუთწუთიანი შტურმი მოუწყვეს, რომელიც მე-20 წუთზე ფულბეკმა **კრის ვაილესმა** კიდესთან ახლოს ლელოთი დაასრულა. სიდალმა გარდასახვა ვერ გამოიყენა - 5:10. სამ წუთში კვირიკაშვილმა საჯარიმოდან კიდევ ერთხელ დალაშქრა მეტოქის კარი - 13:5.

სამწუხაროდ, 62-ე წუთამდე ჩვენმა გუნდმა მონაგარს ველარაფერი შემატა. რასაც ვერაფრით ვიტყვით მეტოქეზე. 26-ე წუთზე სიდალმა საჯარიმოთი ანგარიში ხუთ ქულამდე შეამცირა. ტაიმის დასრულებამდე სამი წუთით ადრე კი, მოედნის ცენტრში ჩვენი დაცვის ხაზში წარმოქმნილი დიდი ინტერვალით შესანიშნავად ისარგებლა ფულბეკმა კრის ვოლესმა და „ბორჯღალოსნების" 22-მეტრიან ზონამდე ირბინა, მერე ბურთი მარჯვენა ფრთაზე კაპიტანს, **ტოდ კლევერს** გადააწოდეს, რომელმაც ნახტომში კიდესთან ახლოს მდგომი გარემარბი **ბლეინ სკული** ჩართო შეტევაში. მას წინაალმდეგობა არ შეხვედრია და ლელო ძელებს შორის გაიტანა. ცხადია, სიდალმაც გარდასახა - 15:13. ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

მეორე ნახევრის დასაწყისი კარგს არაფერს გვიქადდა. უპირატესობას მთლიანად ამერიკელები ფლობდნენ და ჩვენმა გუნდმა მეტოქის 22-მეტრიან ზონაში შეღწევა დიდხანს ვერ მოახერხა.

მატჩის 54-ე წუთზე კი, მართლაც დასანანი ლელო მივიღეთ. საფრთხე თითქოს დიდი არ იყო, მაგრამ მარცხენა ფრთაზე „არწივების" შერკინების ბურჯის **ნიკ ვოლესის** შეჩერება ვერავინ შეძლო. სიდალმა ესეც გარდასახა და აშშ-ს ნაკრები ცხრა ქულით დაწინაურდა - 22:13.

ცხადია, თამაშის დასრულებამდე დრო საკმარისი იყო საიმისოდ, რათა მდგომარეობა გამოგვესწორებინა. ასეც მოხდა, დასკვნით 20 წუთში საქართველოს ნაკრებმა ისევ იპოვა თავისი თამაში. 62-ე წუთზე შეტევა ისევ დერეფნიდან დაიწყო. ამჯერად მეტოქის ხაზი **მერაბ შარიქაძემ** გაჭრა, მას გარემარბი **თამაზ მჭედლიძე** წამოეშველა, ამან შეტევაში დავით კაჭარავა ჩართო, რომელიც ამერიკელებმა ლელოდან ორ მეტრში შეაჩერს. წარმოქმნილი რაკიდან ბურთი ისევ შარიქაძემ აიტაცა და ლელოში გადადო. კვირიკაშვილმა გარდასახა - 20:22.

76-ე წუთზე „ბორჯღალოსნებმა" ანგარიშში დაწინაურება შეძლეს. ხელსაყრელი პოზიციიდან კვირიკაშვილმა საჯარიმო გაიტანა - 23:22. მერე კი, მოხდა ის რაზეც ზემოთ გიამბეთ. უკვე ვთქვით, რომ ორივე სალელოვე შეტევა ჩვენმა გუნდმა დერეფნიდან დაიწყო. ცხადია, ეს ვარჯიშებზე კარგად დამუშავებული შეტევაა. „ბორჯღალოსნების" თამაში სხვა ბევრი კარგიცაა, მაგრამ მაინც გვეჩვენება, რომ ახლის შესწავლასთან ერთად, რაც


მერაბ კვირიკაშვილის სალელოვე შეტევა

იოლად არ ხდება, ჩვენს ტრადიციულ ძლიერ მხარეს ნელ-ნელა ვკარგავთ.

## მატჩის შემდეგ

**მაიკ ტოლკინი**, აშშ-ს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

„ზუსტად ისეთი თამაში გამოვიდა, როგორსაც ველოდით. საქართველოს ნაკრები ფიზიკურად ძლიერი გუნდია. ქართველი მორაგბეები 80 წუთის განმავლობაში ერთ ტემპში თამაშობდნენ, მადლობა ღმერთს, ეს ჩვენც შევძელით.

გავიმარჯვეთ იმიტომ, რომ ის მოთამაშეები, ვინც გადაწყვეტილებებს იღებენ, ცივსისხლიანად ირჯებოდნენ და ნებისყოფის ეს სიმტკიცე ბოლომდე შეინარჩუნეს. სტადიონზე ჩვენთვის რთული ატმოსფერო სუფევდა. მასპინძლებს გულშემატკივრები მხურვალედ ქომაგობდნენ. ჩვენმა მოთამაშეებმა შეძლეს ამ ფსიქოლოგიური წნეხის გადატანა.

**ტოდ კლევერი**, აშშ-ს ნაკრების კაპიტანი:

„საქართველოს ნაკრებს უდიდესი პატივისცემით ვეპყრობით. ფიზიკურად ძალიან ძლიერი გუნდია. მთელი გულით თამაშობენ. ერთიანად დაჟეჟილები ვართ და რამდენიმე დღე მოშუშებისთვის დაგვჭირდება.

აშშ-ს რაგბის კავშირის სახელით მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოს რაგბის კავშირს კარგი მასპინძლობისთვის. ყველაფერი კარგია, შესანიშნავი სარაგბო ატმოსფეროა. ძალიან კმაყოფილნი ვართ".

**მილტონ ჰეიგი**, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

„აუტში ბურთი იმიტომ გადავიტანეთ, რომ ტაბლოზე ჩანდა, მატჩის დრო დასრულებული იყო. ამის შემდეგ თამაში გაგრძელდა, კიდევ რამდენიმე ფაზა ვითამაშეთ. ჯარიმის მომენტი ვიდეოჩანაწერში ვნახეთ. იქ წესი არ დაგვირღვევია. არ გაგვიმართლა. ჩვენი კაპიტანი მსაჯს კარგა ხანს ელაპარაკა, თამაში კარგად მიჰყავდა. ვფიქრობ, ის, რაც გავაკეთეთ საკმარისი იყო მოსაგებად. ამ მარცხზე პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებ.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რაგბის ორი გუნდი თამაშობს. მეტოქესაც უნდა, რომ მოიგოს და ამისთვის ყველაფერს აკეთებს. დიახ, ჩვენ კარგად დავიწყეთ, მაგრამ ამერიკელებმაც მოახერხეს სახიფათო იერიშების განხორციელება. ხან ჩვენ გვყავდა მეტოქე წნეხის ქვეშ, ხანაც სტუმრები ფლობდნენ უპირატესობას.

მომდევნო მეტოქე სამოას ნაკრებია, რომელიც მსოფლის რეიტინგში მე-8 ადგილზეა. ძალიან ძლიერი, ტექნიკური გუნდია. ისევე როგორც ივნისში არგენტინის ნაკრებთან, შანსი გვაქვს, პირველი დონის გუნდს ვებრძოლოთ და დავამარცხოთ. მთავარია, მატჩს თავდაჯერებულნი შევხვდეთ და კარგად მოვემზადოთ"

**მამუკა გორგოძე**, საქართველოს ნაკრების კაპიტანი:

„გარედან იყო შეძახილი, თამაშის დრო დამთავრდაო. ვინ თქვა ეს, მოდი, ამას ნუ ჩავეძიებით. თამაშს ყველა ერთად ვიგებთ და ერთად ვაგებთ.

კანადასთან და ამერიკასთან პირველად ვითამაშე. მიმაჩნია, რომ კანადა ამერიკაზე უფრო ძლიერი, მობილური, სწრაფი გუნდია. ისინი უფრო საინტერსოდ თამაშობდნენ.

ვფიქრობ, ცუდად არ გვითამაშია. სამი წლის წინათ ჩვენ მოვიგეთ ბოლო წამებზე, ამჯერად ეს ამერიკელებმა შეძლეს. ბავშვური შეცდომების გამო სამი ლელო მივიღეთ. ბოჭვები გაგვიცუდდა. მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ გამარჯვება ჩვენ გვეკუთვნოდა.

შემდეგი მეტოქე, სამოას ნაკრები მართლაც ძალიან ძლიერი გუნდია. მართალია, ბურთი მრგვალი არ არის, მაგრამ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ გამარჯვების მისაღწევად"

| ნოემბრის ტესტები | |
| --- | --- |
| იაპონია-რუსეთი | 40:13 |
| რუმინეთი-კანადა | 21:20 |
| ურუგვაი-ესპანეთი | 16:15 |
| საფ.ბარბაროსები-სამოა | 20:19 |
| იტალია-ფიჯი | 37:31 |
| უელსი-არგენტინა | 40:6 |
| საფრანგეთი-ტონგა | 38:18 |
| ირლანდია-ავსტრალია | 15:32 |
| ინგლისი-ახ. ზელანდია | 22:30 |

**23 ნოემბერი**

საქართველო-სამოა

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები


ბურთით მამუკა გორგოძე

### საქართველოს ჩემპიონატი

**გამოტოვებული მატჩი**

| არმია-ბათუმი | 59:21 |
| --- | --- |

**არმია:** 9ლ - ტუჩაშვილი (2), ბიწაძე, შკინინი (3), დარასელია, ჩიტიძე, ნუცუბიძე. 7გ - კობახიძე (5), ნუცუბიძე (2)

**სინბინი:** მეკოკიშვილი, ზაქაშვილი.

**ბათუმი:** 2ლ - მჭედლიძე, საჯარიმო. 3ს,გ - ჩუბინიძე.

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 1. ლელო | 8 | 7 | 0 | 1 | +115 | 32 |
| 2. ლოკომოტივი | 8 | 6 | 0 | 2 | +56 | 28 |
| 3. აია | 8 | 6 | 0 | 2 | +68 | 28 |
| 4. არმაზი | 8 | 5 | 0 | 3 | -4 | 22 |
| 5. არმია | 8 | 4 | 1 | 3 | +60 | 22 |
| 6. ყოჩები | 8 | 4 | 1 | 3 | +26 | 21 |
| 7. ჯიქები | 8 | 3 | 2 | 3 | +51 | 20 |
| 8. აკადემია | 7 | 1 | 0 | 6 | -109 | 6 |
| 9. ბათუმი | 8 | 1 | 0 | 7 | -143 | 5 |
| 10. ხარები | 7 | 0 | 0 | 7 | -120 | 2 |

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ინდიანა ჩიკაგოში დაეცა


ჩიკაგო ჯორჯის წინააღმდეგ

ამა წლის მარტში, „ჩიკაგომ" არაოპტიმალური შემადგენლობით შეძლო „მაიამი ჰიტის" 27-მატჩიანი მოგებათა სერიის შეწყვეტა. გუშინ, „ხარებთან" სათამაშოდ ჩავიდა მიმდინარე სეზონის ერთადერთი წაუგებელი გუნდი - „ინდიანა პეისერსი", რომელსაც ერთი ნაბიჯი აკლდა თავის ისტორიაში საუკეთესო სტარტამდე. მაგრამ ინდიანაპოლისელებმა ეს ნაბიჯი ვერ გადადგეს.

„ბულზის" მოთამაშეებზე კარგად იმოქმედა **დერიკ როუზის** დაბრუნებამ, რომელმაც, მიმდინარე რეგულარულში თავისი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა, ყოველ შემთხვევაში, ტყორცნების სიზუსტის მხრივ. სტუმრები დერიკისგან მის საფირმო გარღვევებს ელოდნენ და ამაზე გაამახვილეს ყურადღება, პერიმეტრზე კი შორიდან სროლის საშუალებას აძლევდნენ გამთამაშებელს, რის გამოც დაისაჯნენ - „ჩიკაგოს" ლიდერმა ექვსი სამქულიანი მოახვედრა მიზანს (11-დან), რაც მისი პირადი რეკორდი გახლავთ. მართალია, მატჩის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი **ლუოლ დენგი** იყო, მაგრამ ყველაზე დიდი როლი „პეისერსის" დამარცხებაში სწორედ როუზმა შეიტანა.

საერთო ჯამში, „ბულზის" მოთამაშეები ძალიან იოლად გაუსწორდნენ ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო დაცვის მქონე გუნდს - მასპინძლების მაქსიმალური უპირატესობა 33 ქულას უდრიდა. თამაში პრაქტიკულად მეორე მეოთხედში დასრულდა, როცა როუზმა სამიდან სამი შორეული ტყორცნა გამოიყენა. გარდა ამისა, „ჩიკაგო" ჩვეულ სტილში კარგად მოქმედებდა დაცვაში. ამ ყველაფერმა ის გამოიწვია, რომ უკვე დიდი შესვენებამდე სხვაობა 25 ქულა იყო, თან იმ მომენტისთვის „პეისერსს" მხოლოდ 35 ქულა ჰქონდა მოპოვებული. ასევე უნდა აღვნიშნოთ დაცვაში **ჯიმი ბატლერის** შესანიშნავი თამაში. ის ნაკლებად მონაწილეობდა გუნდის შეტევით მოქმედებებში, სამაგიეროდ, წამით არ მოშორებია ჯორჯს და ამ უკანასკნელს 14-დან მხოლოდ სამი ბურთი ჩააგდებინა. ამ ბრძოლამ იმდენად დაღალა ჯორჯი, რომ გასული სეზონის ყველაზე პროგრესირებადი მოთამაშე მარტივი სიტუაციებიდანაც კი აცილებდა ბურთს.

### 16 ნოემბერი

**ინდიანა–მილუოკი 104:77**

31:21, 21:16, 23:24, 29:16

ი: ჰიბერტი (24+10 მოხსნა+8 დაფარება), ჯორჯი (22), სტივენსონი (11).

მ: მაიო (20), მიდლტონი (11+7 მოხსნა), ნილი (11), ფაჩულია (4+11 მოხსნა).

**ტორონტო–ჩიკაგო 80:96**

16:27, 15:18, 23:29, 26:22

ტ: დეროზანი (37), გეი (20+9 მოხსნა).

ჩ: დენგი (19+9 მოხსნა), ნოა (18+9 მოხსნა), ბუზერი (14+8 მოხსნა+6 პასი), ბატლერი (14+7 მოხსნა), ჰაინრიხი (12).

**ატლანტა–ფილადელფია 113:103**

25:17, 29:39, 28:17, 31:30

ა: ტიგი (33+10 პასი), კეროლი (21), ჰორფორდი (20+8 მოხსნა+3 დაფარება), კორვერი (13).

ფ: ტერნერი (27), როტენი (22+6 პასი), ტ. იანგი (17+7 მოხსნა), ჰოიესი (14+12 მოხსნა).

**ბოსტონი–პორტლენდი 96:109**

21:23, 30:34, 27:33, 18:19

ბ: სალინჯერი (26+8 მოხსნა), გრინი (14), ჯორ. კროუფორდი (11).

პ: ოლდრიჯი (27+12 მოხსნა), მო უილიამსი (18+8 პასი+3 ჩაჭრა), ბატუმი (18+6 პასი), ლილარდი (17), მეტიუზი (13), ლოპესი (3+10 მოხსნა).

**კლივლენდი–შარლოტი 80:86**

18:12, 19:21, 21:24, 22:29

კ: ირვინგი (18+10 პასი), ტომპსონი (15+10 მოხსნა), კლარკი (15), ჯეკი (11), ვარეჟაო (4+13 მოხსნა).

შ: კიდ-გილკრისტი (16+8 მოხსნა), მაკრობერტსი (13), უოკერი (12+7 პასი+5 ჩაჭრა), სეშენსი (12+7 პასი+3 ჩაჭრა), ტეილორი (11), ბიიომბო (0+12 მოხსნა+3 დაფარება).

**მაიამი–დალასი 110:104**

31:32, 29:19, 26:27, 24:26

მ: ჯეიმსი (39), უეიდი (17+8 პასი+8 ჩაჭრა), ბოში (14), კოული (11+3 ჩაჭრა), ლუისი (11).

დ: ნოვიცკი (28), კარტერი (21), ელისი (20), კალდერონი (12).

**დენვერი–მინესოტა 117:113**

35:26, 21:34, 30:21, 31:32

დ: ჩენდლერი (19), ფარიდი (16+10 მოხსნა), ლოუსონი (14+10 პასი), მილერი (13), ჰიქსონი (12+11 მოხსნა), მოზგოვი (10), ფურნიე (10).

მ: ლავი (28+10 მოხსნა+3 ჩაჭრა), მარტინი (27), ბარეა (21), პეკოვიჩი (14), კანინგემი (12), ბრიუერი (11), რუბიო (0+8 მოხსნა+12 პასი+3 ჩაჭრა).

**იუტა–სან ანტონიო 82:91**

29:16, 17:25, 21:19, 15:31

ი: ფეივორსი (20+18 მოხსნა+3 ჩაჭრა+3 დაფარება), გ. ჰეივორდი (15+9 მოხსნა), რ. ჯეფერსონი (14), ბერქსი (12), კანტერი (10+9 მოხსნა).

ს-ა: პარკერი (22+6 პასი), დიაო (17), დანკანი (14+9 მოხსნა+3 დაფარება).

**ფინიქსი–ბრუკლინი 98:100 (ო)**

29:18, 21:28, 17:27, 25:19, 6:8

ფ: დრაგიჩი (19+10 პასი), ტაკერი (17), ბლედსოუ (15+7 მოხსნა), მარკუს მორისი (13+9 მოხსნა), ფრაი (13).

ბ: ლოპესი (27+7 მოხსნა+3 დაფარება), ლივინგსტონი (18+6 პასი), პირსი (14), ჯონსონი (13), გარნეტი (4+14 მოხსნა).

**ლეიკერსი–მემფისი 86:89**

17:24, 23:16, 26:23, 20:26

ლ: მიქსი (25), ნ. იანგი (18), ჰილი (12+3 დაფარება), პ. გასოლი (10+13 მოხსნა), ბლეიკი (9+7 მოხსნა+10 პასი).

მ: რენდოლფი (28+11 მოხსნა), მ. გასოლი (18+8 მოხსნა+8 პასი+3 ჩაჭრა+3 დაფარება), ალენი (12), კონლი (11+7 პასი).

**საკრამენტო–დეტროიტი 90:97**

21:27, 30:27, 19:26, 20:17

ს: კაზინსი (26+13 მოხსნა+3 დაფარება), ტომასი (18+7 პასი), ვასკესი (13+6 პასი).

დ: სმიტი (21+8 მოხსნა+7 პასი+5 ჩაჭრა+4 დაფარება), სტაკი (16), დრამონდი (15+18 მოხსნა), ჯენინგსი (11+9 პასი), სინგლერი (11).

### 17 ნოემბერი

**შარლოტი–მაიამი 81:97**

16:26, 25:19, 19:23, 21:29

შ: უოკერი (22), ტეილორი (14), ჰენდერსონი (13+7 მოხსნა), სეშენსი (11).

მ: ჯეიმსი (30+7 პასი), ბიზლი (15), ანდერსენი (10+7 მოხსნა).

**ორლანდო–დალასი 100:108**

24:31, 22:28, 34:28, 20:21

ო: აფლალო (25), ვუჩევიჩი (16+8 მოხსნა), ნელსონი (15), ჰარკლესი (12), ოლადიპო (10+6 პასი).

დ: ელისი (19+8 პასი+3 ჩაჭრა), ნოვიცკი (18), ბლეირი (18), კარტერი (12), კალდერონი (11+9 პასი), მერიონი (11+8 მოხსნა).

**ვაშინგტონი–კლივლენდი 96:103 (ო)**

25:18, 24:26, 20:20, 21:26, 6:13

ვ: ბილი (28), ნენე (24+7 მოხსნა), უებსტერი (14+7 მოხსნა), გორტატი (12+11 მოხსნა), უოლი (9+12 პასი).

კ: ირვინგი (41), ტომპსონი (15+12 მოხსნა), ჯეკი (13), კლარკი (11).

**მილუოკი–ოკლაჰომა 79:92**

23:23, 17:17, 25:32, 14:20

მ: მაიო (22+3 ჩაჭრა), მიდლტონი (14), იუდო (11+11 მოხსნა), ჰენსონი (10), ფაჩულია (7+13 მოხსნა).

ო: უესტბრუკი (26), დურანტი (24), იბაკა (15+20 მოხსნა+4 დაფარება), ჯეკსონი (11).

**ნიუ იორკი–ატლანტა 90:110**

26:24, 21:30, 22:26, 21:30

ნ-ი: ენტონი (23+12 მოხსნა), ბარნიანი (16+9 მოხსნა), შამპერტი (11+7 მოხსნა).

ა: ტიგი (16+3 ჩაჭრა), კორვერი (15), მილსეპი (14+13 მოხსნა), მეკი (12+12 პასი), ჰორფორდი (12), სკოტი (11), კეროლი (10), აიონი (10).

**ჩიკაგო–ინდიანა 110:94**

31:20, 29:15, 24:24, 26:35

ჩ: დენგი (23+7 მოხსნა), როუზი (20), გიბსონი (15+8 მოხსნა), ბუზერი (13), ჰაინრიხი (13+8 პასი), ბატლერი (10), დანლივი (10).

ი: ჰიბერტი (14+10 მოხსნა+3 დაფარება), უესტი (13+7 მოხსნა), კოუპლენდი (13), ჯორჯი (12), სტივენსონი (12), ჰილი (11).

**ჰიუსტონი–დენვერი 122:111**

33:23, 30:23, 27:29, 32:36

ჰ: ჰოვარდი (25+7 მოხსნა), პარსონსი (20), ჰარდენი (17+9 პასი), ლინი (16+7 პასი), ჯონსი (14+12 მოხსნა+3 დაფარება), მოტეიუნასი (12), ბევერლი (11).

დ: ლოუსონი (28+17 პასი), ჰიქსონი (14+8 მოხსნა), ჩენდლერი (14), ფურნიე (10), მოზგოვი (9+10 მოხსნა), ფარიდი (8+10 მოხსნა).

**მინესოტა–ბოსტონი 106:88**

33:24, 22:26, 34:20, 17:18

მ: ლავი (23+12 მოხსნა), პეკოვიჩი (20+12 მოხსნა), მარტინი (20), ბარეა (13), კანინგემი (12+5 ჩაჭრა).

ბ: ბრედლი (27), ბასი (15+7 მოხსნა), კროუფორდი (10), ფავერანი (9+14 მოხსნა+4 დაფარება+3 ჩაჭრა).

**ნ. ორლეანი–ფილადელფია 135:98**

34:22, 33:24, 36:20, 32:32

ნ-ო: ანდერსონი (26), გორდონი (19+3 ჩაჭრა), ევანსი (15), რობერტსი (14+6 პასი), ჰოლიდეი (14+12 პასი), დევისი (13+9 მოხსნა+8 დაფარება), რივერსი (12), ამინუ (10).

ფ: მორისი (20), როტენი (19), ჰოიესი (14), იანგი (11), ანდერსონი (11).

**გ. სტეიტი–იუტა 102:88**

27:13, 24:21, 23:29, 28:25

გ-ს: ტომპსონი (25), იგუოდალა (16+4 ჩაჭრა), კარი (15+11 პასი), ლი (13), ბოგუტი (12+11 მოხსნა), ბარნსი (11).

ი: ფეივორსი (17+7 მოხსნა), ჰეივორდი (14), უილიამსი (14), ჯეფერსონი (12), კანტერი (10).

**კლიპერსი–ბრუკლინი 110:103**

29:26, 25:29, 22:20, 34:28

კ: გრიფინი (30+12 მოხსნა), რედიკი (26), კროუფორდი (13), პოლი (12+13 პასი+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), მალენსი (10), ჯორდანი (9+16 მოხსნა+5 დაფარება).

ბ: ბლეტჩი (19+8 მოხსნა), პლამლი (19), ანდერსონი (15), ჯონსონი (13+6 პასი), ტეილორი (13+3 ჩაჭრა), ლივინგსტონი (11), ევანსი (2+11 მოხსნა).

ამბები

## კობის უკვე შეუძლია

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მცველმა **კობი ბრაიანტმა**, რომელმაც ამა წლის აპრილში აქილევსის მყესის მძიმე ტრავმა მიიღო, პირველად ივარჯიშა გუნდთან ერთად ბოლო შვიდი თვის განმავლობაში.

ვარაუდობენ, რომ კალათბურთელი უკვე ორი-სამი კვირის შემდეგ შეძლებს მოედანზე გასვლას, თუმცა თავად კობის არ დაუსახელებია დაბრუნების ზუსტი თარიღი.

*„ახლა რომ მიდიოდეს პლეი ოფი, აუცილებლად ვითამაშებდი, არ ვიცი როგორ, მაგრამ ვითამაშებდი. საფირმო ტყორცნა მუშაობს, დრიბლინგიც წესრიგშია. ამ ყველაფრის გაკეთება უკვე შემიძლია.*

*მაგრამ, მადლობა ღმერთს, ახლა პლეი ოფი არ არის. ვცდილობ, არ მოვახდინო მოვლენათა ფორსირება და საკუთარ ორგანიზმს დავუჯერო. ექვსი-შვიდი თვე არ მირბენია და დრო დამჭირდება ფორმის აღსადგენად"*, - განაცხადა ბრაიანტმა.


კობი ბრაიანტი



## ოფიციალურად: ევრობასკეტი შეიცვალა

ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში გაიმართა „FIBA-ევროპის" აღმასკომის სხდომა, რომელზეც ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღეს. კერძოდ, შეიცვალა ევროპის ჩემპიონატის ჩატარების ფორმატი. ევროპის მთავარი საკალათბურთო ორგანომ შეისმინა ბევრის თხოვნა და ტურნირის გამოკლება გადაწყვიტა.

უკვე ოფიციალურად შეიძლება იმის გამოცხადება, რომ ევრობასკეტზე აღარ ჩატარდება მეორე ჯგუფური ეტაპი: პირველი ჯგუფური რაუნდის შემდეგ, პირდაპირ პლეი ოფის მატჩები დაიწყება.

თუმცა სიახლე მხოლოდ 2017 წლიდან შევა ძალაში. 2015 წლის ევრობასკეტი, რომელსაც უკრაინა უმასპინძლებს, ძველი სქემით ჩატარდება.

ჭადრაკი



ანანდი და კარლსენი

## კარლსენი თითქმის ჩემპიონია

ინდოეთის ქალაქ ჩენაიში გრძელდება მატჩი მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის, რომელშიც ინდოელი **ვიშვანათან ანანდი** ჩემპიონობას იცავს ნორვეგიელი **მაგნუს კარლსენის** წინააღმდეგ.

შაბათს, სკანდინაველმა დიდოსტატმა სერიოზული ნაბიჯი გადადგა ჩემპიონის ტიტულისკენ. გაიმართა მეექვსე პარტია, რომელშიც შავი ფიგურებით კარლსენი თამაშობდა და ზედიზედ მეორე გამარჯვებას მიაღწია. ნორვეგიელმა 68-ე სვლაზე გაიმარჯვა და საჩემპიონო მატჩის ზუსტად ეკვატორზე 4:2 დაწინაურდა.

თუ მეხუთე პარტიაში 22 წლის კარლსენმა უმძიმეს ენდშპილში გაიმარჯვა, ამჯერად, მან ანანდის უხეში შეცდომა გამოიყენა. მე-60 სვლაზე, ინდოელს პაიკი b4-ზე უნდა გადაეყვანა, რაც გარანტირებულად ყაიმს მოუტანდა, მაგრამ ანანდმა ეტლი ორი უჯრით მარცხნივ გასწია. შედეგად, ჩემპიონმა არა მხოლოდ ტემპი დაკარგა, არამედ, პრაქტიკულად სვლა გამოტოვა, რასაც მაშინვე მარცხი მოყვა.

დიდოსტატები დღეს მიუსხდებიან დაფას. იწყება მატჩის მეორე ნაწილი და თეთრი ფიგურები კვლავ ანანდს ექნება. შეხვედრა იქამდე გაგრძელდება, სანამ, ერთ-ერთი მოჭადრაკე არ დააგროვებს 6.5 ქულას. ამ სიტუაციაში, ანანდის მდგომარეობა თითქმის უიმედოდ მოსჩანს.

მძლეოსნობა

## საუკეთესო იამაიკელები

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ 2013 წლის საუკეთესო მძლეოსნებად იამაიკელი სპრინტერები - **უსაინ ბოლტი** და **შელი-ენ ფრეიზერ-პრაისი** დაასახელა.

გასულ სეზონში ბოლტმა თავის უამრავ პრიზსა და მედალს მსოფლიოს ჩემპიონატის სამი ოქრო დაუმატა: იამაიკელმა მოიგო 100 და 200 მეტრზე გარბენები და 4x100 მეტრზე ესტაფეტა.

წლის საუკეთესო მამაკაცი მძლეოსნის პრიზზე იამაიკელის კონკურენტები იყვნენ - უკრაინელი სიმაღლეზე მხტომელი **ბოგდან ბონდარენკო** და ბრიტანელი მორბენალი **მო ფარა**. ბოლტმა IAAF-ის პრიზი მეხუთედ (2008, 2009, 2011, 2012, 2013) დაიმსახურა.

შელი-ენ ფრეიზერ-პრაისმა საუკეთესო ქალი მძლეოსნის ტიტულისთვის ბრძოლაში გაუსწრო ჩეხ მორბენალს **ზუზანა ჰეინოვასა** და ზელანდიელ ბირთვის მკვრელს **ვალერი ადამსს**. ისევე როგორც ბოლტმა, ფრეიზერ-პრაისმა მსოფლიოს 2013 წლის ჩემპიონატზე სამი ოქრო (100 მ, 200 მ, 4x100 მ) მოიგო.

გარდა ამისა, დაჯილდოების ცერემონიაზე რუსმა ჭოკით მხტომელმა **ელენა ისინბაევამ** პრიზი მიიღო მძლეოსნობაში ბრწყინვალე კარიერისთვის. იგივე ჯილდო დაიმსახურა ცნობილმა ამერიკელმა სიგრძეზე მხტომელმა **დუაიტ ფილიპსმა**. ამერიკელმა მორბენალმა **მერი კეინმა** მიიღო „წლის ამომავალი ვარსკვლავის" პრიზი.

**გვერდი მოამზადა**
**გია თვალაბეიშვილმა**

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

### 16 ნოემბერი

**ბაფალო-ტორონტო 3:1**

0:0, 2:1, 1:0

**გოლები:** 0:1 ტ. სმიტი-2 (კლარკსონი-2, რეიმონდი-7), 1:1 ოტი-3 (მიერსი-4, პისკი-3), 2:1 ფოლინო-3 (ოტი-4, სტეფორდი-5), 3:1 ერჰოფი-1 (პისკი-4).

**ნიუ ჯერსი-ლოს ანჯელესი 0:2**

0:0, 0:0, 0:2

**გოლები:** 0:1 დ. კინგი-6 (მუზინი-9, ჰასტინ უილიამსი-8), 0:2 კოპიტარი-5 (დაუტი-6, ვ. მიტჩელი-2).

**პიტსბურგი-ნეშვილი 4:1**

2:1, 2:0, 0:0

**გოლები:** 0:1 გ. ბურკი-2 (კლაინი-1), 1:1 დუპუი-3 (დ'აგოსტინი-1, ბ. სუტერი-5), 2:1 ჯ. ნილი-1 (მალკინი-14, კროსბი-16), 3:1 ლეტანგი-4 (მალკინი-15, ჯ. ნილი-2), 4:1 ბ. სუტერი-3 (ი. იოკინენი-5, პ. მარტინი-6).

**კაროლინა-ანაჰაიმი 2:3 (ბ)**

0:0, 1:1, 1:1, 0:0

**გოლები:** 0:1 პერი-12 (გეტცლაფი-13), 1:1 ე. სტაალი-4 (სიომინი-6, მერფი-5), 2:1 ბოუმენი-2 (სეკერა-6), 2:2 პენერი-4 (პერი-11, ფაულერი-9).

**ბულიტები გაიტანეს:** რაილი ნეში (კაროლინა), პერი (ანაჰაიმი), ტერი (კაროლინა).

**კოლამბუსი-მონრეალი 2:3 (ბ)**

2:1, 0:1, 0:0, 0:0

**გოლები:** 1:0 უმბერგერი-4 (ფოლინო-4, ვიშნიევსკი-13), 2:0 ანისიმოვი-5 (ნიკიტინი-3, სავარი-5), 2:1 გალჩენიუკი-4, 2:2 ელერი-7 (ბრიერი-3, მარკოვი- 9).

**ბულიტები გაიტანეს:** დეშარნე (მონრეალი).

**ოტავა-ბოსტონი 4:2**

1:2, 0:0, 3:0

**გოლები:** 0:1 ლ. ერიქსონი-4 (ბარტკოვსკი-3, პ. ბერჟერონი-5), 0:2 მარჩანდი-3 (ბარტკოვსკი-4, ლ. ერიქსონი-5), 1:2 კ. ნილი-3, 2:2 სპეცა-9 (ე. კარლსონი-13, მ. მიხალეკი-8), 3:2 კოუენი-3 (კონაჩერი-2, სპეცა-9), 4:2 რაიანი-10.

**დეტროიტი-ვაშინგტონი 3:4 (ბ)**

2:1, 1:0, 0:2, 0:0

**გოლები:** 0:1 ლეიჩი-3 (ოლეკსი-5), 1:1 ფრანცენი-3 (კინდლი-6, დეკეისერი-6), 2:1 ფრანცენი-4 (ტატარი-2, ჰელმი-1), 3:1 დეკეისერი-2 (ფრანცენი-5, კინდლი-7), 3:2 ოვეჩკინი-15 (მ. იოჰანსონი-15, ბექსტრიომი- 16), 3:3 ლატა-1 (ჯ. კარლსონი-4, ელზნერი-3).

**ბულიტები გაიტანეს:** ბექსტრიომი (ვაშინგტონი).

**მინესოტა-ფლორიდა 3:2**

2:0, 0:0, 1:2

**გოლები:** 1:0 პარიზე-10 (მ. კოივუ-12, პომინვილი-4), 2:0 პომინვილი-12 (სპარჯონი-6, ნიდერაიტერი-8), 2:1 კოპეცკი-1 (ვინჩესტერი-4), 2:2 იუბერდო-4 (ბიუგსტადი-4), 3:2 კოილი-2 (მ. კოივუ-13, რ. სუტერი-12).

**ვინიპეგი-ფილადელფია 3:2 (ბ)**

1:2, 0:0, 1:0, 0:0

**გოლები:** 1:0 ბაფლინი-2 (სეტოგუჩი-6, ო. იოკინენი-8), 1:1 ჰარტნელი-3 (ვორაჩეკი-6, ჟირუ-10), 1:2 სიმონდსი-2 (ჰარტნელი-2, ტიმონენი-2), 2:2 ბაფლინი-3 (ო. იოკინენი-9, ე. კეინი-6).

**ბულიტები გაიტანეს:** სეტოგუჩი (ვინიპეგი), ჟირუ (ფილადელფია), ლიტლი (ვინიპეგი).

**ედმონტონი-სან ხოსე 1:3**

0:2, 1:1, 0:0

**გოლები:** 0:1 პაველსკი-7 (მარლო-10, კუტური-12), 0:2 ჰერტლი-12 (ჯ. ტორნტონი-19, უინგელსი-9), 0:3 მარლო-10 (დემერსი-9, ჯ. ტორნტონი-20), 1:3 იაკუპოვი-3 (სემ განიე-2, ჰემსკი-7).

### 17 ნოემბერი

**ტორონტო-ბაფალო 4:2**

2:0, 1:0, 1:2

**გოლები:** 1:0 ვან რიმსდიკი-8 (ფრენსონი-11, გარდინერი-4), 2:0 ვან რიმსდიკი-9 (ფრენსონი-12, ფანოფი-6), 3:0 კულემინი-1 (რეიმონდი-8, რეინჯერი-5), 3:1 მაკბეინი-2 (გირგენსონსი-5, მ. ფოლინო-5), 3:2 ენისი-3 (მოულსონი-10, ჰოჯსონი-9), 4:3 რეიმონდი-7 (ტ. სმიტი-1, კლარკსონი-3).

**მონრეალი-რეინჯერსი 0:1**

0:0, 0:1, 0:0

**გოლი:** 0:1 კელეჰანი-6 (ბ. რიჩარდსი-10, სტეპანი-10).

**ნიუ ჯერსი-პიტსბურგი 4:1**

1:0, 1:1, 2:0

**გოლები:** 1:0 ე. გრინი-2, 1:1 კუნიტცი-9, 2:1 ლარსონი-1 (ზეიჯაკი-5, ზუბრუსი-3), 3:1 იაგრი-6 (ზუბრუსი-4), 4:1 იაგრი-7.

**აილენდერსი-დეტროიტი 5:4 (ბ)**

1:2, 2:1, 1:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ტავარესი-9 (ბეილი-5), 1:1 ჰელმი-2 (ჯ. ერიქსონი-3, კრონვალი-11), 1:2 დაციუკი-10 (სამუელსონი-1, ზეტერბერგი-12), 2:2 ჩიზიკასი-2 (კ. მაკდონალდი-1, მ. მარტინი-2), 2:3 ფრანცენი-5 (ჰელმი-2, ტატარი-3), 3:3 ნელსონი-3 (ტავარესი-16, ე. მაკდონალდი-6), 4:3 კლატერბეკი-2 (ბუშარი-5, ნესი-1), 4:4 დაციუკი-11 (დეკეისერი-7, ზეტერბერგი-13).

**ბულიტები გაიტანეს:** ნილსენი (აილენდერსი).

**სტ ლუისი-კაროლინა 4:2**

0:0, 2:2, 2:0

**გოლები:** 1:0 პოლაკი-3 (კ. სტიუარტი-4, სტინი-9), 2:0 ბექსი-8 (მოროუ-2, ბოუმისტერი-12), 2:1 ე. სტაალი-5 (მალორტა-1), 2:2 გერბე-5 (რაილი ნეში-2), 3:2 სტინი-17 (პოლაკი-1, ი. კოული-1), 4:2 ოში-3 (პიეტრანჯელო-12, ბოუმისტერი-13).

**ნეშვილი-ჩიკაგო 7:2**

2:0, 2:1, 3:1

**გოლები:** 1:0 კულენი-3 (კ. სმიტი-6, ს. ჯონსი-6), 2:0 სპალინგი-2 (კ. სმიტი-7, ელისი-4), 3:0 ჰორნკვისტი-6 (იოსი-2, შ. უებერი-5), 4:0 კ. სმიტი-4 (კულენი-3), 4:1 პ. კეინი-11 (ბოლიგი-3, კიტი-14), 4:2 პირი-5 (სიბრუკი-11, ვერსტიგი-6), 5:2 სტალბერგი-2 (გ. ბურკი-3, ლეგუანდი-12), 6:2 ფიშერი-3 (ჰორნკვისტი-7), 7:2 შ. უებერი-5 (იოსი-3, ლეგუანდი-13).

**ფინიქსი-ტამპა ბეი 6:3**

2:0, 2:2: 2:1

**გოლები:** 1:0 სტოუნი-6 (რიბეირო-10, რუნდბლადი-1), 2:0 ჰანზალი-6 (კორპიკოსკი-2), 3:0 რიბეირო-6 (ჰანზალი-10, ვრბატა-9), 3:1 პაიკი-1 (ტ. ჯონსონი-5, კილორნი-9), 4:1 კ. მერფი-1 (ვრბატა-10, კორპიკოსკი-3), 4:2 ჯ-ტ. ბრაუნი-1 (პურსელი-7, სასტრი-3), 5:2 დოუნი-10 (ჰანზალი-11, ვრბატა-11), 5:3 კილორნი-6 (სან ლუი-12, სასტრი-4), 6:3 კორპიკოსკი-4 (ჰანზალი-12).

**კოლორადო-ფლორიდა 1:4**

0:1, 1:2, 0:1

**გოლები:** 0:1 ბოიესი-7 (აპშოლი-5, გილბერტი-5), 0:2 ბ. კემპბელი-3 (გილბერტი-6, აპშოლი-6), 1:2 რ. ო'რაილი-8 (პარენტო-7, სერიჩი-4), 1:3 კოპეცკი-2 (გილბერტი-7, ტ. ტომასი-1), 1:4 იუბერდო-5 (ბიუგსტადი-5, ბ. კემპბელი-9).

**კალგარი-ედმონტონი 2:4**

1:0, 1:0, 0:4

**გოლები:** 1:0 მონეჰანი-8 (ჰუდლერი-14), 2:0 ვიდემანი-2 (სტაიანი-5, ბაერტჩი-6), 2:1 ებერლე-5 (ტ. ჰოლი-8, ბელოვი-4), 2:2 ჰემსკი-4 (სემ განიე-3, იაკუპოვი-3), 2:3 პერონი-5 (ბ. გორდონი-5, რ. სმიტი-2), 2:4 ბ. გორდონი-5.

## კრივი

# უორდი სუპერჩემპიონია

გასულ უქმეებზე კალიფორნიის შტატის ქალაქ ონტარიოში გათამაშდა WBA-ის სუპერჩემპიონის ტიტული მეორე საშუალო წონაში (76.2 კგ). ერთწლიანი შესვენების შემდეგ ტრიუმფალურად დაბრუნდა რინგზე საუკეთესო მოკრივეთა რეიტინგის მეორე ნომერი, ამერიკელი **ანდრე უორდი** (27-0, 14KO), რომელიც დომინიკელ **ედვინ როდრიგესს** (24-1, 16KO) ხვდებოდა.

როდრიგესმა პირველივე რაუნდიდან სცადა თავისი მეტსახელის (La bomba) გამართლება და ძლიერი დარტყმებით დაიწყო მოქმედება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, რადგან ანდრე დაცვაში კარგად მუშაობდა.

საერთო ჯამში, თორმეტივე რაუნდი ერთი სცენარით წარიმართა: უორდი კარგად იყენებდა მარჯვენა ხელს, რამაც ედვინს ბევრი პრობლემა შეუქმნა. თუმცა ამერიკელი მხოლოდ ჯებით არ შემოიფარგლებოდა და მის არსენალში იყო მარცხენა გვერდითი დარტყმა, რომელმაც არაერთხელ შეაზანზარა მისი მოწინააღდეგე.

მეოთხე რაუნდამდე როდრიგესი აწუხებდა ჩემპიონს ძლიერი დარტყმებით და იმის იმედი ჰქონდა, რომ ამერიკელი რომელიმეს გაატარებდა, თუმცა შემდეგ დომინიკელი ამასაც ველარ ახერხებდა და მორჩილად იღებდა უორდის დარტყებს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბრძოლა საკმაოდ „ბინძური" გამოვიდა, რაზეც მეტყველებს მეოთხე რაუნდში მოკრივეებისთვის ჩამორთმეული ორ-ორი ქულა. ეს იმ დროს მოხდა, როცა რეფერიმ მებრძოლების დაშორება გადაწყვიტა, მათ კი ჩხუბი გააგრძელეს და რამდენიმე დარტყმა რეფერისაც მოხვდა.

რომ არა როდრიგესის „ქვასავით" ყბა, ბრძოლა უფრო ადრე დასრულდებოდა. ედვინი უპრობლემოდ უძლებდა ყველა დარტყმას, თუმცა ამას საბოლოო შედეგზე არ უმოქმედია. უორდის საკრივო გაკვეთილი მსაჯებმა ასე შეაფასეს - 118:106, 117:107, 116:108 ჩემპიონის სასარგებლოდ.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



უორდის შეტევა

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **ევრო 2014** | |
| **UNDER19** | |
| სლოვაკეთი-საბერძნეთი | 3:3 |
| ბულგარეთი-ალბანეთი | 1:1 |
| **ინგლისი** | |
| **I ლიგა** | |
| ბრედფორდი-ქოვენთრი | 3:3 |
| **ამხანაგური მატჩი** | |
| ლუქსემბურგი-ჩერნოგორია | 1:4 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| მოდენა-კაპრი | 2:3 |
| ჩეზენა-ჩიტადელა | 2:2 |
| ემპოლი-ლანჩანო | 3:0 |
| ლატინა-ბარი | 1:0 |
| პესკარა-ტერნანა | 2:1 |
| სიენა-სპეცია | 2:0 |
| ტრაპანი-ნოვარა | 2:1 |
| ვარეზე-კროტონე | 2:0 |
| აველინო-იუვე სტაბია | 2:1 |
| **ესპანეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| დეპორტივო-მალიორკა | 3:1 |
| ნუმანსია-ტენერიფე | 0:0 |
| ეიბარი-კასტილია | 6:0 |
| კორდობა-ერკულესი | 4:2 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ჰაველსე-სტ. პაული II | 2:1 |
| ვოლფსბურგი II-ჰანოვერი II | 2:1 |
| ვილჰელმშავენი-ნოიმუნსტერი | 2:0 |
| **რეგიონალლიგა (დ)** | |
| ვიდენბრიუკი-ფორტუნა (კ) | 0:2 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| აიაქსი II-სპარტა | 2:1 |
| ტვენტე II-ფორტუნა | 3:2 |
| მაასტრიხტი-ვოლენდამი | 1:2 |
| ტელსტარი-ოსი | 1:2 |
| **ბელგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ბრიუსელი-ეუპენი | 1:2 |
| ვესტერლო-მუსკრონი | 1:0 |
| **პორტუგალია** | |
| **II დივიზიონი** | |
| შავეში-ფეირენსე | 1:1 |
| კოვილია-ბეირა მარი | 1:0 |
| ვიზეუ-ატლეტიკო | 3:0 |
| მარიტიმუ B-პორტიმონენსე | 0:1 |
| **პორტუგალიის თასი** | |
| **1/16 ფინალი** | |
| ფაფე-ავეში | 1:2 |
| ტონდელა-ფერეირა | 0:1 |
| **პორტუგალია** | |
| **ლიგის თასი** | |
| გიმარაეში-ლეიქსოეში | 1:2 |
| **შოტლანდია** | |
| სტ. მირენი-როსი | 2:1 |
| **დანია** | |
| **II დივიზიონი** | |
| სილკებორგი-ვენდსისელი | 2:0 |
| აკადემისკი-ბრონსჰოი | 1:1 |
| ჰორსენსი-მარიენლისტი | 4:1 |
| კიოგე-ჰვიდოვრე | 3:0 |
| **უელსი** | |
| რილი-ქონეჰსი | 2:1 |
| **ჩეხეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ჟიჟკოვი-ბუდეიოვიცე | 1:0 |
| სლოვანი-ტაბორსკო | 2:2 |
| მოსტი-ლოკო | 4:1 |
| **რუსეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| უფა-როტორი | 3:2 |
| გაზოვიკი-მორდოვია | 1:2 |
| სიბირი-ენისეი | 1:0 |
| ნეფტიხიმიკი-ლუჩ ენერგია | 0:2 |
| ანჟუტი-სალუტი | 1:1 |
| ხიმიკი-ტორპედო | 0:3 |
| შინიკი-არსენალი | 5:0 |
| ალანია-ბალტიკა | 1:0 |
| **ბულგარეთის თასი** | |
| **1/8 ფინალი. II მატჩები** | |
| ბოტევი-ჩერნო მორე | 1:0 (0:0) |
| ჩერნომორეცი-მონტანა | 0:1 (3:1) |
| ბეროე-ლუდოგორეცი | 1:1 (1:2) |
| **ლატვია** | |
| **პლეი ოფი** | |
| გულბენე-მეტა | 2:4 |
| **ესტონეთი** | |
| **პლეი ოფი** | |
| რაკვერე-ტამეკა | 1:2 |
| **ბოსნია** | |
| მლადოსტი-ლეოტარი | 2:0 |
| ვიტეჟი-ბორაცი | 3:1 |
| სარაევო-სლავია | 3:0 |
| **არგენტინა** | |
| როსარიო-ველესი | 2:3 |
| **ბრაზილია** | |
| კორინთიანსი-ვასკო | 0:0 |
| კრუზეირო-პონტე პრეტა | 2:2 |
| ფლუმინენსე-სან პაულუ | 2:1 |
| ვიტორია-სანტოსი | 2:0 |
| **პარაგვაი** | |
| ფრეზიდენტე-ხენერალი | 3:0 |
| **პერუ** | |
| რეალ გარსილასო-მელგარი | 1:0 |
| ხუან აურიჩი-კახამარკა | 2:0 |
| ინტი გასი-უნ. პერუ | 3:2 |
| **ურუგვაი** | |
| რივერ პლეიტი-სუდ ამერიკა | 2:2 |
| სერო-მირამარი | 1:2 |
| პენიაროლი-ფენიქსი | 2:1 |
| მონტევიდეო-რენტისტასი | 1:0 |
| რასინგი-დანუბიო | 0:2 |
| **კორეა** | |
| სეული-ინჩეონი | 2:2 |
| ბუსანი-სუვონი | 1:0 |
| ჯეჯუ-დაეგუ | 1:2 |
| დაეჟეონი-სეონგნამი | 1:0 |
| **ავსტრალია** | |
| ნიუკასლი-ბრისბენი | 2:1 |

### კალათბურთი

| | |
|---|---|
| **NBA** | |
| ტორონტო-პორტლენდი | 110:118 (ო) |
| **გერმანია** | |
| ბონი-ბამბერგი | 69:83 |
| ბრემერჰავენი-ბაიროიტი | 87:74 |
| ბაიერნი-ტიუბინგენი | 105:68 |
| **საბერძნეთი** | |
| იკაროსი-დრამასი | 89:73 |
| პაოკ-პანელეფსინიაკოსი | 81:72 (ო) |
| პანათინაიკოსი-პანიონიოსი | 90:65 |
| **ესპანეთი** | |
| კახა ლაბორალი-უნიკახა | 82:75 |
| გრან კანარია-რეალი | 70:75 |
| სარაგოსა-კახასოლი | 66:74 |
| ბილბაო-ბარსელონა | 80:72 |
| მანრესა-ვალიადოლიდი | 75:72 |
| **იტალია** | |
| კრემონა-კანტუ | 98:91 |
| რეჯო ემილია-პისტოია | 67:56 |
| მონტეპასკი-მონტეგრანარო | 84:73 |
| სკავოლინი-სასარი | 77:82 |
| ვარეზე-ბრინდიზი | 71:85 |
| რომა-ბოლონია | 81:89 |
| **თურქეთი** | |
| გალათასარაი-ბანვითი | 68:79 |
| **საფრანგეთი** | |
| ნანტი-ორლეანი | 71:69 |

### ჰოკეი

| | |
|---|---|
| **NHL** | |
| ოტავა-კოლამბუსი | 1:4 |
| **კჰლ** | |
| ადმირალი-დინამო (მ) | 3:4 |
| ამური-ვიტიაზი | 4:2 |
| მეტალურგი (ნ)-ტორპედო | 1:4 |
| სიბირი-აკ ბარსი | 0:2 |
| მეტალურგი (მ)-ზაგრები | 4:0 |
| ს. იულიაევი-დონბასი | 2:3 (ბ) |
| ტრაქტორი-სპარტაკი | 3:2 |
| ნეფტიხიმიკი-დინამო (მნ) | 5:2 |
| ცსკა-ავტომობილისტი | 2:1 |
| დინამო (რ)-იუგრა | 4:3 (ო) |
| ლევი-ავანგარდი | 3:2 (ბ) |
| სლოვანი-ბარისი | 2:6 |
| **ავსტრია** | |
| გრაცი-ზალცბურგი | 1:2 |
| ლინცი-ვენა | 4:2 |
| ინსბრუკი-ვილახი | 2:6 |
| ოლიმპია-ფეჰერვარი | 5:2 |
| **გერმანია** | |
| აისბარენი-ნიურნბერგი | 6:1 |
| აუგსბურგი-კრეფელდი | 3:4 |
| ჰამბურგი-ინგოლშტადტი | 2:1 (ო) |
| კიოლნი-იზერლონი | 2:0 |
| დიუსელდორფი-სტრაუბინგი | 1:6 |
| შვენინგერი-მიუნხენი | 1:8 |
| ვოლფსბურგი-მანჰაიმი | 2:5 |
| **დანია** | |
| ჰერლევი-სონდერიისკი | 1:4 |
| ოლბორგი-ოდენსე | 6:3 |
| **ნორვეგია** | |
| ლილეჰამერი-ტონსბერგი | 2:1 |
| სტორჰამარი-რუსენბორგი | 4:1 |
| ფრისკ ასკერი-ლორენსკოგი | 1:3 |
| **სლოვაკეთი** | |
| ბისტრიცა-პოპრადი | 2:0 |
| ტრენჩინი-ზვოლენი | 4:3 (ო) |
| ჟილინა-ნიტრა | 3:5 |
| მარტინი-კოშიცე | 3:2 |
| პიეშტანი-სკალიცა | 1:2 |
| **ჩეხეთი** | |
| ვიტკოვიცე-ზლინი | 2:4 |
| პარდუბიცე-ხომუტოვი | 4:2 |
| კარლოვი ვარი-ტრშინეცი | 3:1 |
| ბრნო-კრალოვე | 3:0 |
| კლადნო-პლზენი | 2:1 (ბ) |
| ლიტვინოვი-სპარტა | 2:3 |

### ჩოგბურთი

| | |
|---|---|
| **ჰელსინკი** | |
| ნიემინენი-ბერანკისი | 6:3, 6:1 |
| **სან პაულუ** | |
| ვოლანდრი-გონსალესი | 4:6, 6:4, 6:2 |
| **იოკოჰამა** | |
| ებდენი-სოედა | 2:6, 7:6, 6:3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეიტინგი

# ისევ ყველაზე მდიდარი



მარია შარაპოვა

რუსი ჩოგბურთელი **მარია შარაპოვა** კვლავაც პირველ ადგილზეა ყველაზე მაღალანაზღაურებადი ქალი სპორტსმენების რეიტინგში, რომელიც ჟურნალმა „ფორბსმა" 2013 წლის შედეგების მიხედვით შეადგინა.

შარაპოვას შემოსავალმა 29 მილიონი დოლარი შეადგინა, საიდანაც 23 მილიონი სპონსორულ და სარეკლამო კონტრაქტებზე მოდის. რეიტინგში მეორე-მეოთხე ადგილებზეც ჩოგბურთელები არიან - ამერიკელი **სერენა უილიამსი,** ჩინელი **ნა ლი** და ბელარუსი **ვიქტორია აზარენკა.**

2013 წლის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ქალი სპორტსმენები:

1. მარიას შარაპოვა (რუს, ჩოგბურთი) - $29 მლნ
2. სერენა უილიამსი (აშშ, ჩოგბურთი) - $ 20,5 მლნ
3. ნა ლი (ჩინ, ჩოგბურთი) - $18,2 მლნ
4. ვიქტორია აზარენკა (ბლრ, ჩოგბურთი) - $15,7 მლნ
5. დანიკა პატრიკი (აშშ, ავტოსპორტი) - $15 მლნ
6. იუ ნა კიმი (კორ, ფიგურული სრიალი) - $14 მლნ
7. კაროლინ ვოზნიაცკი (დან, ჩოგბურთი) - $13,6 მლნ
8. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, ჩოგბურთი) - $7,4 მლნ
9. ანა ივანოვიჩი (სერ, ჩოგბურთი) - $7 მლნ
10. პაულა კრიმერი (აშშ, გოლფი) - $5,5 მლნ

ფორმულა 1



| აშშ-ის გრან-პრი. XVIII ეტაპი | |
|---|---|
| ოსტინი (56 წრე, 308.405 კმ) | |
| 1(1). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია) | 1:39.17,148 (1 პიტსტოპი) |
| 2(3). რომენ გროსჟანი (ლოტუსი, საფრანგეთი) | +6,2 (1) |
| 3(2). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) | +8,3 (1) |
| 4(5). ლუის ჰემილტონი (მერსედესი, ბრიტანეთი) | +27,3 (1) |
| 5(6). ფერნანდო ალონსო (ფერარი, იტალია) | +29,5 (1) |
| 6(4). ნიკო ჰიულკენბერგი (ზაუბერი, გერმანია) | +30,4 (1) |
| 7(7). სერხიო პერესი (მაკლარენი, მექსიკა) | +46,6 (1) |
| 8(9). ვალტერი ბოტასი (უილიამსი, ფინეთი) | +54,5 (1) |
| 9(12). ნიკო როსბერგი (მერსედესი, გერმანია) | +59,1 (1) |
| 10(15). ჯენსონ ბატონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | +1.17,2 (1) |
| 11(10). დანიელ რიკარდო (ტორო როსო, ავსტრალია) | +1.21,0 (1) |
| 12(14). ჟან-ერიკ ვერნი (ტორო როსო, საფრანგეთი) | +1.24,5 (1) |
| 13(13). ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია) | +1.26,9 (2) |
| 14(20). ესტებან გუტიერესი (ზაუბერი, მექსიკა) | +1.31,7 (2) |
| 15(8). ჰეიკი კოვალაინენი (ლოტუსი, ფინეთი) | +1.35,0 (2) |
| 16(11). პოლ დი რესტა (ფორს ინდია, ბრიტანეთი) | +1.36,8 (2) |
| 17(17). პასტორ მალდონადო (უილიამსი, ვენესუელა) | 1 წრე (1) |
| 18(19). ჟიულ ბიანკი (მარუსია, საფრანგეთი) | 1 წრე (1) |
| 19(18). გიდო ვან დერ გარდე (კატერჰემი, ჰოლანდია) | 1 წრე (1) |
| 20(22). შარლ პიკი (კატერჰემი, საფრანგეთი) | 1 წრე (2) |
| 21(21). მაქს ჩილტონი (მარუსია, ბრიტანეთი) | 1 წრე (2) |
| 22(16). ადრიან სუტილი (ფორს ინდია, გერმანია) | 56 წრე |

**საერთო ჩათვლა**

1. **სებასტიან ფეტელი** (რედ ბული, გერმანია) - 372 (12 მოგება); 2. **ფერნანდო ალონსო** (ფერარი, იტალია) - 227 (2); 3. **ლუის ჰემილტონი** (მერსედესი, ბრიტანეთი) - 187 (1); 4. **კიმი რაიკონენი** (ლოტუსი, ფინეთი) - 183 (1); 5. **მარკ უებერი** (რედ ბული, ავსტრალია) - 181; 6. **ნიკო როსბერგი** (მერსედესი, გერმანია) - 161 (2); 7. **რომენ გროსჟანი** (ლოტუსი, საფრანგეთი) - 132; 8. **ფელიპე მასა** (ფერარი, ბრაზილია) - 106; 9. **ჯენსონ ბატონი** (მაკლარენი, ბრიტანეთი) - 61; 10. **პოლ დი რესტა** (ფორს ინდია, ბრიტანეთი) - 48; 11. **ნიკო ჰიულკენბერგი** (ზაუბერი, გერმანია) - 47; 12. **სერხიო პერესი** (მაკლარენი, მექსიკა) - 41; 13. **ადრიან სუტილი** (ფორს ინდია, გერმანია) - 29; 14. **დანიელ რიკარდო** (ტორო როსო, ავსტრა) - 19; 15. **ჟან-ერიკ ვერნი** (ტორო როსო, საფრანგეთი) - 13; 16. **ესტებან გუტიერესი** (ზაუბერი, მექსიკა) - 6; 17. **ვალტერი ბოტასი** (უილიამსი, ფინეთი) - 4; 18. **პასტორ მალდონადო** (უილიამსი, ვენესუელა) - 1.

**კონსტრუქტორთა თასი**

1. **რედ ბული** - 553; 2. **მერსედესი** - 348; 3. **ფერარი** - 333; 4. **ლოტუსი** - 315; 5. **მაკლარენი** - 102; 6. **ფორს ინდია** - 77; 7. **ზაუბერი** - 53; 8. **ტორო როსო** - 32; 9. **უილიამსი** - 5.

როგბურთი. დევისის თასი

# მხოლოდ ჯოკოვიჩი საკმარისი არ არის




ჩეხეთის ნაკრებმა „ბელგრად-არენაზე" დაამარცხა სერბეთის ნაკრები და ზედიზედ მეორედ დაეუფლა დევისის თასს, ხოლო ჩეხების ვეტერანი **რადეკ შტეპანეკი** მესამე მოთამაშე გახდა ისტორიაში, ვინც ორ ფინალში მოიგო გადამწყვეტი მეხუთე მატჩი. თან ის პირველია, ვინც ზედიზედ ორჯერ გააკეთა ეს. შარშან, შტეპანეკმა ესპანელი **ნიკოლას ალმაგრო** დაამარცხა და ჩეხეთს ესპანეთთან 3:2 მოაგებინა.

როგორც ელოდნენ, ფინალის პირველი დღის შემდეგ, ანგარიში მატჩში თანაბარი იყო. **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** სამ სეტში მოუგო შტეპანეკს, მაგრამ **ტომაშ ბერდიხმა** ასევე სამ პარტიაში დაამარცხა **დუშან ლაიოვიჩი**, რომელიც ტრავმირებულ **იანკო ტიპსარევიჩს** ცვლიდა.

დიდი იყო იმის ალბათობა, რომ გუნდები კვირას, ფინალის მესამე დღესაც გაიყოფდნენ ქულებს, ამიტომაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა შაბათს, წყვილთა შეხვედრას.

თავდაპირველად, სერბების სამწვრთნელო შტაბი სერიოზულად განიხილავდა ჯოკოვიჩის კორტზე გასვლას, მაგრამ გაითვალისწინა ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში მისი უმძიმესი გრაფიკი და არ შეცვალა **ილია ბოჟოლიაკისა** და **ნენად ზიმონჯიჩის** წყვილი, რომელმაც, სხვათა შორის, მეოთხედფინალში ძმებ **ბრაიანების** დუეტი დაამარცხა. ჩეხებმა კი გარისკეს და ფინალის მეორე დღეს, წყვილთა მატჩში ბერდიხისა და შტეპანეკის დუეტი დააყენეს.

ამ სვლამ გაამართლა. განსაკუთრებით ბრწყინვალედ გამოიყურებოდა შტეპანეკი, რომელიც ძალიან კარგად მომზადებული შეხვდა ფინალს. პირველ ორ გეიმში ჩეხებმა სამი ბრეიკი გააკეთეს და 6:2, 6:4 დაწინაურდნენ. საინტერესოა, რომ სერბების წყვილში სუსტი წერტილი არა ბოჟოლიაკი, არამედ გამოცდილი ზიმონჯიჩი იყო, რომელსაც წყვილებსა და მიქსტში „დიდი სლემის" შვიდი ტიტული აქვს მოგებული. სამიდან ორი ბრეიკი ბერდიხმა და შტეპანეკმა სწორედ ნენადის მოწოდებაზე აიღეს.

მესამე სეტში სერბებმა ტაი-ბრეიკამდე მიაღწიეს, მაგრამ გმირობა ვერ შეძლეს და ჩეხეთმა დიდი ნაბიჯი გადადგა ტიტულისკენ.

გუშინ პირველები კორტზე გუნდების ლიდერები - ჯოკოვიჩი და ბერდიხი გავიდნენ. ჩეხი ბევრს ეცადა, იბრძოლა პირველ და მეორე სეტებში, მაგრამ ბოლოს მაინც დანებება მოუხდა. ასე რომ, ტიტულის ბედი უნდა გადაეწყვიტა მეხუთე შეხვედრას, რომელშიც 34 წლის შტეპანეკი 23 წლის ლაიოვიჩს ხვდებოდა. ამ უკანასკნელს, პარასკევს ცუდი შთაბეჭდილება არ დაუტოვებია ბერდიხის წინააღმდეგ, მაგრამ კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ შტეპანეკის ძალიან კარგ ფორმას. საკმარისია აღინიშნოს, რომ ჯოკოვიჩთან მატჩში რადეკს უფრო მეტი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, ვიდრე მის მეტოქეს, უბრალოდ ამ შანსების რეალიზაციაში წააგო.

სამაგიეროდ, შტეპანეკს ყველაფერი წესრიგში ჰქონდა ლაიოვიჩთან მატჩში. მას მხოლოდ ერთხელ გაუჭირდა, როცა პირველი სეტის პირველივე გეიმში ბრეიკი გააკეთებინა სერბს, მაგრამ იქვე დაიბრუნა დაკარგული მოწოდება და ამის შემდეგ, 22 გათამაშებული გეიმიდან 18 თავის სასარგებლოდ დაასრულა.

რადეკ შტეპანეკი შეუერთდა ორ ლეგენდას - ფრანგ **ანრი კოშესა** და ბრიტანელ **ფრედ პერის**. სწორედ მათ შეძლეს ორჯერ ფინალში გადამწყვეტი მატჩის მოგება.

| სერბეთი-ჩეხეთი | 2:3 |
|---|---|
| 1:0 ნოვაკ ჯოკოვიჩი-რადეკ შტეპანეკი | 7:5, 6:1, 6:4 |
| 1:1 დუშან ლაიოვიჩი-ტომაშ ბერდიხი | 3:6, 4:6, 3:6 |
| 1:2 ბოჟოლიაკი/ზიმონჯიჩი-ბერდიხი/შტეპანეკი | 2:6, 4:6, 6:7(4) |
| 2:2 ნოვაკ ჯოკოვიჩი-ტომაშ ბერდიხი | 6:4, 7:6(5), 6:2 |
| 2:3 დუშან ლაიოვიჩი-რადეკ შტეპანეკი | 3:6, 1:6, 1:6 |

სამთო თხილამურები. მსოფლიოს თასი

# ფავორიტებმა მოიგეს

გასულ უქმეებზე, ფინეთის ქალაქ ლევიში გაიმართა სამთო თხილამურებში მსოფლიოს თასის მეორე ეტაპი - ქალები და მამაკაცები სლალომში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს და ორივე შემთხვევაში ლოგიკური შედეგები ვიხილეთ.

ქალებს შორის გამარჯვებული გახდა 18 წლის ამერიკელი ვუნდერკინდი **მიკაელა შიფრინი**, რომელმაც უახლოეს მდევარს, სახელგანთქმულ გერმანელ **მარია რიშს** წამზე მეტი მოუგო.

შიფრინს შარშან ბრწყინვალე სეზონი ჰქონდა: მან სლალომში მსოფლიოს თასიც მოიგო და მსოფლიოს ჩემპიონატიც და, როგორც ჩანს, ამ დისციპლინაში წელსაც აპირებს დომინირებას. ამერიკელი პირველი ცდის შემდეგ ლიდერი იყო და მეორე ცდაზეც დამაჯერებლად გამოიყურებოდა. მართალია, ფინიშთან ახლოს მან მცირე შეცდომა დაუშვა, მაგრამ ამას საბოლოო შედეგზე არ უმოქმედია.



მიკაელა შიფრინი

რიში, რომელსაც ლევიში სამჯერ აქვს მოგებული სლალომი, 1.06 წამით ჩამორჩა გამარჯვებულს. პოდიუმი შეავსო მსოფლიოს თასის მოქმედმა მფლობელმა, სლოვენიელმა **ტინა მაზემ.**

ასევე ლოგიკური შედეგი ვიხილეთ მამაკაცებში, სადაც სლალომში მსოფლიოს თასის შარშანდელმა მფლობელმა **მარსელ ჰირშერმა** იმარჯვა.

ორივე დღეს, სრულიად უცნობმა ახალგაზრდა მოთხილამურეებმა გაიბრწყინეს. ქალებს შორის 18 წლის ავსტრიელმა **კრისტინა აგერმა** მსოფლიოს თასზე დებიუტი მეოთხე ადგილით აღნიშნა. მამაკაცებში კი პირველი პოდიუმი მოიპოვა 19 წლის ნორვეგიელმა **ჰენრიკ კრიტოფერსენმა.**

**სლალომი**

**ქალები**

1. **მიკაელა შიფრინი** (აშშ) - 1:55.07 (57.23+57.84); 2. **მარია რიში** (გერ) - 1:56.13 (57.92+58.21); 3. **ტინა მაზე** (სლოვენ) - 1:56.68 (57.75+58.93); 4. **კრისტინა აგერი** (ავსტრია) - 1:56.73 (57.93+58.80); 5. **მარი-მიშელ განიონი** (კან) - 1:56.80 (58.28+58.52); 6. **კრისტინა გაიგერი** (გერ) - 1:56.86 (58.18+58.68)...

**საერთო ჩათვლა**

1. **მიკაელა შიფრინი** (აშშ) - 140; 2. **ლარა გუტი** (შვეიც) - 100; 3. **კატრინ ცეტელი** (ავსტრია) - 96; 4. **მარია რიში** (გერ) - 80; 5. **ტინა მაზე** (სლოვენ) - 73; 6. **მარი-მიშელ განიონი** (კან) - 71...

**კაცები**

1. **მარსელ ჰირშერი** (ავსტრია) - 1:45.42 (52.80+52.62); 2. **მარიო მატი** (ავსტრია) - 1:46.04 (53.11+52.93); 3. **ჰენრიკ კრისტოფერსენი** (ნორ) - 1:46.35 (53.45+52.90); 4. **ივიცა კოსტელიჩი** (ხორ) - 1:46.64 (53.51+53.13); 5. **მატიას ჰარგინი** (შვედ) - 1:46.71 (53.51+53.20); 6. **პატრიკ ტალერი** (იტა) - 1:47.15 (53.46+53.69)...

**საერთო ჩათვლა**

1. **მარსელ ჰირშერი** (ავსტრია) - 160; 2. **ტედ ლიჯეტი** (აშშ) - 124; 3. **მარიო მატი** (ავსტრია) - 80; 3. **ალექსის პინტურო** (საფ) - 80; 5. **სტივ მისილიე** (საფ) - 76; 6. **ივიცა კოსტელიჩი** (ხორ) - 74...

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

ISSN 2233-3827

9 772233 382000

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38)**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28), გია ტუხაშვილი (555 50 05 13)**;
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: contact@pallitra.ge; მისამართი: **იოსებიძის, 49.** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:40 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ნიკოლოზ ნეფარიძე**

ტელეფონი: **599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** *leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge* ინდექსი **66435 INDEX.** სარეკლამო განყოფილება: **237 78 07; 2 38 78 70**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**